

# წიგნის სახელი



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО


19 ივლისი, 2013 წ.

№53 (3663)

ბათუმის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი

## „დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“



ბატონ მურმან ლებანიძეს  
ბატონ ტარიელ ჭანტურიას  
ბატონებო!

ჩემს სამარცხვინო საქციელზე უნდა ვიამბოთ, რომელმაც უშუალო გაგზავნა მოახდინა თქვენდამი რწმუნებული კომიტეტის ერთი მეტად სერიოზული საკითხის გადაწყვეტაზე! საქმე რევაზ მიშველაძისთვის რუსთაველის პრემიის მინიჭებას ეხება!

საჯაროდ ვგმობ რა იმჟამინდელ ჩემს საქციელს, მზად ვარ, ყოველივე ეს ნებისმიერ საჯარიმო პირობებში მოვიწინაო!

საქმე ის გახლავთ, რომ კომიტეტის წევრების ხმათა დიდი რაოდენობა ამ პრემიის მაძიებელ რევაზ მიშველაძეს, მე თვითონ მოვუპოვე!

ნეტა, თქვენი თვალთ გენახათ, ბატონო მურმან და ბატონო ტარიელ, რა კატორღული შრომა დამჭირდა ამისათვის – თითოეული „გადმობირებული ობიექტი“ გაუგონარ წინააღმდეგობას მინევიდა!

„რა სისულელეს მეუბნები, თამაზ, როგორ შეიძლება ამ ბითურისთვის რუსთაველის პრემიის მინიჭება!“ – პირდაპირ მომახალა კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა.

მე მის დამშვიდებას ვეცადე და ვუთხარი: – გურამ, განა მე არ ვიცი, რა მწერალიც ესაა და რა ბითურიც, მაგრამ ისეთი ოჯახური ტრადიცია შეემთხვა და თანაც ბოლმა კაცია, შეიძლება, ამ კენჭისყრას კიდევ გადაწყვეს-მეთქი!

ამ ჩემს ნათქვამს აშკარად ირონიით შეხვდნენ: – არ ცვოდნია, თამაზ,

შენ, რევაზ მიშველაძეო, ეს ისეთი არამზადაა, საკუთარი უახლოესი ნათესავიც რომ შემოაკვდეს ხელში, ამ ამბავს გულთანაც არ მიიტანსო!

ამას მეუბნეოდა კაცი, რომელიც რევაზ მიშველაძისთვის ათასჯერ უფრო მახლობელი იყო, ვიდრე მე თვითონ გახლდით.

ერთი სიტყვით, ბატონო მურმან და ბატონო ტარიელ, კომიტეტის ბევრი წევრი თითქმის მე გადავიბირე მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ყოველმხრივ ბოლმა პიროვნება ადამიანებისკენ შემომებრუნებინა!

და, ნეტა იცოდეთ, თითოეული თხოვნა რა სირცხვილის გადატანის ფასად მიჯდებოდა!

ერთმა ისიც კი მითხრა – კომიტეტის გაუქმება ხომ არ გინდაო!

ხოლო მეორემ, თეატრალური სამყაროს წარმომადგენელმა, პირდაპირ განმიცხადა: „თუ ეს ნაძირალია ამ პრემიის ლაურეატი გახდა, რუსთაველის პრემიის ყველა ღირსეული მფლობელი ამ ჯილდოს უკან დააბრუნებს!“

ბატონებო! როცა ამ ჭეშმარიტებას მეუბნოდნენ, თავი სად წამელო, აღარ ვიცოდი!

და, ჰოი, საოცრებავ! ამ ჩემი სიჯიუტით, დედამინის ზურგზე ეს ყველაზე სუსტი „მწერალ-მეანექლოტე“, ყველაზე დიდი ჯილდოს – რუსთაველის პრემიის ლაურეატი გავხადე!

და ეს იყო ყველაზე სამარცხვინო დღე ჩემს ცხოვრებაში!

მით უმეტეს, ჩემი საქციელის მაშინ უფრო მრცხველია, როცა ეს ჩემი ცოდვით სავსე აღარც უნივერსიტეტში, აღარც რედაქციებში და აღარც სუფრებზე აღარ მალავდა – „რუსთაველის პრემია თამაზ ნივნივამე მარჯა“-ო!

ბატონო მურმან და ბატონო ტარიელ! დამერწმუნებით, ალბათ, რომ ჩემთვის ადვილი არ იყო ამ უგუნური მოქმედების აღიარება, მაგრამ მეტი აღარ შემეძლო – აღარც დღე მაქვს მოსვენება და აღარც ღამე!

არადა, რა უბედურებაც მომიტანია, ახლა ვხვდები: რევაზ მიშველაძისნაირ „მწერალს“ რუსთაველის პრემიას რომ მიანიჭებ, ეს იგივეა, თითქოს ეს უმაღლესი ეროვნული პრემია სულაც გაგუქმებინოს!..

ამიტომ, მინდა ამ უკიდურესი საქციელის გამო ჩემი თავი დავსაჯო!

მით უმეტეს, ახლა, როცა რევაზ მიშველაძე ან ჩემს ჯიბრზე, ან კიდევ იმის შიშით, მართლა არავინ გამოუქმოს თამაზ ნივნივადის ხელით მოცემული ეს ჯილდო, თავის ყველა სულელურ ნოველაზე თუ ერთ ციდა ინფორმაციაზეც კი, ამ ტიტულით წარუდგება ხოლმე თავის მკითხველს!

ამას, მოგეხსენებათ, რუსთაველის პრემიის არც ერთი ღირსეული მფლობელი არ აკეთებს!

ბატონებო!

რაკი ჩემ მიერ ჩადენილ ამ უზნეო საქციელს „შენდობა არ უხერხდება“, მთელ კომიტეტს ჩემი პიროვნების მიმართ გადამჭრელი ზომების მიღებისთვის მოგინოდებთ!

არადა, მე თვითონაც შემეძლო, ამ გულწრფელი აღიარების შემდგომ, კომიტეტის წევრობა განცხადების საფუძველზეც დამეტოვებინა, მაგრამ ჩემს დასასჯელად ეს საკმარისი არ იქნებოდა!

ამ ან უკვე გამოუსწორებელი შეცდომისთვის – გნებავთ დანაშაულები უნოდეთ! – მე გაცილებით მეტ სასჯელს ვიმსახურებ და, ალბათ, მეტ შვებასაც ის მომგვრის, თუ კომიტეტის პირველსავე სხდომაზე თქვენი რიგებიდან გამრიცხავთ!

უფრო დიდ სიხარულს მე ვერავინ მომანიჭებს!

ხოლო თუ ამას ჩემდამი პატივისცემის ნიშნად არ გააკეთებთ, არის ჩემი დასჯის სხვა ფორმაც! თუნდაც ის, რომ დამავალოთ, რევაზ მიშველაძეს ბარემ ნობელის პრემიაც მოვუპოვო!

თუმცა, არა მგონია, ამის მისაღწევად იმაზე მეტი შრომა დამჭირდეს, რა ჯაფაც მისთვის რუსთაველის პრემიის მინიჭებისას გადამხდა!..

არადა, რატომ ის დღე არ დაიქცა, ბატონებო!

*პატივისცემით,  
თამაზ ნივნივამე  
„ლს“ №14, 2000*

**P. S. კვირვასო მკითხველო!**  
ზემოთ მე მოგიყვით, როგორ „გახდა“ რეზო მიშველაძე რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ხოლო ქვემოთ პუბლიცისტი **ლავრო მხაიძე** მოგითხრობთ იმის შესახებ, თუ როგორ მონათლა მან საკუთარი თავი „ცოცხალ კლასიკოსად“.

„როგორც წესი, ესა თუ ის მწერალი (მხატვარი, მოქანდაკე, მუსიკოსი და ა. შ.) კლასიკოსის, გნებავთ, გენიალურის სახელს გარდაცვალების შემდეგ თუ მოიპოვებს ხოლმე. ამის დადგენას ხან ათეული წლები, ხან საუკუნეებიც კი სჭირდება. თუმცა, გამონაკლისებიც არსებობენ ქართულ მწერლობაში: ილია, აკაკი, ვაჟა, ჭაბუა და რა ვიცი, კიდევ ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, ვისაც ერმა იმთავითვე, სიცოცხლეშივე მიანიჭა გენიალური კლასიკოსის სახელი.“

ამას წინათ ერთი ჩემი ყმანვილი კოლეგა, ჯაბა ჟვანია, როცა გაიგო, რომ ბატონ ჭაბუა ამირეჯიბთან ვაპირებდი მისვლას, მისივე თხოვნით თან წაგიყვანე; ძალიან უნდოდა დიდი ჭაბუასთვის ხელის ჩამორთმევა, რაც არათუ ავუსრულე, ქართული მწერლობისთვის მართლაც ცოცხალ კლასიკოსთან სურათიც კი გადავუღე, რაც მთელი სიცოცხლე საამაყო და, იქნებ, შვილიშვილებთან სატრიაზოდაც ექნება. ორიოდ დღის შემდეგ გაზეთ „სა-

ქართველო და მსოფლიოში“, რომელშიც იმჟამად ერთად ვმუშაობდით მე და ჯაბა, ამ უკანასკნელის ინტერვიუს წაგანყვი რევაზ მიშველაძესთან, რომელიც ასე იწყებოდა: „საუბარი ცოცხალ კლასიკოსთან.“

რომ იტყვიან, პირკატა ეცაო, ეს დამემართა და ტელეფონს „ვეცი“: ბიჭო, მართლა ცოცხალი კლასიკოსი გაგაცანი და ვერ ყოფილხარ „მატორზე“, თუ რევაზ მიშველაძეც კლასიკოსი გგონია-მეთქი.

„– რა მექნა, – მიპასუხა, – ინტერვიუს ჩაწერას რომ მოვრჩი, თავად მითხრა, ასე დანერე – ცოცხალი კლასიკოსი. მკითხველებს გაეხარდებათ.“

„– მართალს მეუბნები ბიჭო?“ – ჩავეკითხე.


„– თუ გინდა, აუდიოჩანაწერს მოგასმენინებ“, – მიპასუხა.

რა ჰქვია ამას, ხალხო? უზომო პატივმოყვარეობა, ამპარტყენება თუ თავხედობა – თქვენ განსაჯეთ.“

*„ტრიბუნა“ №3, 2011*

ალექს ბაბუაია

# მაოხრებელი მკვდრის, მის ჭირისუფალთა, პრაქტიკატი ტანისა და ახალ ეტუალთა შესახებ



ყოველნაირი კანონზომიერებით, ყოველი მდინარე ლეთაში უნდა ჩაედინებოდეს, ანუ დავინყებების სტიგიურ ჭანჭრობებში, რომელიც, მითური ტოპოგრაფიით, ჰადესს აკრავს გარს.

როგორც ჩანს, ამ ჩვენს მაოხრებელ მკვდარს ჰადესი, - ინფერნალური სამყაროს ძლიერად მოსილი მეუფე, - ცოცხალი თავით არ იღებს თავის საბრძანისში. არადა, კარგად გახსოვს, ძვირფასო მკითხველო, ქვესკნელის ეს ქედდაუდრეკი, მზვობარი და შეუვალელი მბრძანებელი, როგორ უჩიოდა ახირებულ ასკლეპიოსს ოლიმპოს მბრძანებელთან, - მაგის „წყალობით“ დღითი დღე მაკლდებო მკვდრები. ახლა, პირიქით, გაუტყეხელი ჰადესი მაოხრებელ მკვდარს თავისთან არ იღებს და მუხლმოდრეკით ევედრება ჯადოსან მკურნალს, - ნაიყვანე, მომამორე ეს კაცი!

მოკლედ, ამ კაცს ცოცხალს სამზეო არ იღებს, მკვდარს - საიქიო. ეს ნამდვილად დიდი უბედურებაა, მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება მაინც ისაა, სტიგიური ჭაობიც რომ არ ითრევეს ფსკერზე ბოლომდე. არის ასე ბაგებამდე ჩაყურული და, სხვა თუ არაფერი, ჩემდა და ჩემნაირთა თავში საცემად, ამ მაოხრებლისთვის ლაშქარის უნარი მაინც დაუთმია განგებას. სხვათა შორის, - მესხიერების უნარიც, რადგან დროდადრო, პერმანენტულად, მაინც ვახსენდებით „ვიღაც-ვიღაცები“ და მათ შორის - მეც. არადა, რამდენჯერ წავუყურე?! მაინც არ მასვენებს. ეტყობა, გამჩენი არ ასვენებს და...

ვინ არის ეს მაოხრებელი მკვდარი და ვინ მეარანე მისნი, ჩემმა თაობამ ძალიან კარგად უნყის, მაგრამ, შეიძლება, ახალმა თაობამ ამ გუალ-გუალამის ვინაობა დაზუსტებით არ იცოდეს, ამიტომ ვშიფრავ: ეს რეზეციელ მიშველია! ფსევდონიმით და ფსევდოკაცობით - რეზო მიშველაძე!

და... რადგან „რეზეციელად“ მოვიხსენიე იგი, თავს უფლებას მიეცემ, დიდი წინასწარმეტყველის, ებეკიელის სიტყვებით გავმართო მასთან საუბარო:

ალარ გაერდი, ხომ? - „... აჰა, მე თავად წამოვად შენზე და აღვასრულებ შენს წინაღონი სამართალს ხალხების თვალნი.“

ისეთ რამეს გაგიკეთებ შენს სისაძაგლეთა გამო, რაც არასდროს გამიკეთებია და რის მსგავსსაც არასდროს გავაკეთებ.

... აღვასრულებ სამართალს თქვენზე (შენზე და შენს ჭირისუფლებზე! - ა. გ.) და ყველა ქარის მიმართ გავფანტავ თქვენს ნატამალს (შენსას და შენი ჭირისუფლებისას! - ა. გ.).

... შენი მესამედი ჭირისგან დაიხოცება და შიმშილით განყდება შენ შორის; მესამედი მახვილით დაეცემა შენს გარშემო; მესამედი ყველა ქარის მიმართ გავფანტავ და მახვილს ვიშოშვლებ მათ კვალზე.

... იქნები შესარცხვენად და საციცხველად, საარაკოდ და შესაზარად ხალხების თვის, შენს გარშემო რომ არიან, როცა აღვასრულებ შენზე მსჯავრს რისხვით, წყრომით და სასტიკი სასჯელებით. მე, უფალი, ვლაპარაკობ ამას“ (ეზეკიელი, 5:8-15).

მომიტყე, უფალი! ხელი გამეჭვა, დროით ვერ დავსვი სამი წერტილი და შენი წარმოუთქმელი სახელი მივისაკუთრე, თუმცა...

იქნება ესეც შენი განგებით მოხდა?! იქნებ, მართლა შენსავით ვდგავარ ამ მაოხრებელ მკვდარსა და მის შებრეცილულთა წინაშე? მათ წინაშე, რომელთაც ჰგონიათ, „დალეკო“ არ წავსულვარ და, თითქოს, მათ გვერდით ვიდგე? ნეტარ არიან, უფალი, უმეცარნი, რამეთუ არ უწყინან, რა კოლოსალური და თვალამოთხრილი უფსკრული მაშორებს მათგან და რომ ისეთივე სიმორეა ჩვენ შორის, როგორც შენსა და ყველაზე დიდ ცოდვილს შორის!..

## ტალახიდან ტახტზე (რუსული ხატოვანი ანდრეზის - „იზ გრიაზი ვკნიაზი“-ს - ქართული ვარიანტი)

მაშინ, როცა ქვეყანა სულიერ უდაბნოში იხრუკებოდა, პოლიტიკური კატაკლიზმების ხვატსა და სამუმებში იხრჩობოდა, როცა ცოტნეები და ცოტნეიდლეები თავლანსამულნი მზის გულზე ეყარნენ და კრახანები კბენდნენ, ჩვენი პატივმისაყრელი მაოხრებელი მკვდარი გრილ ტლაპოში ნებივრობდა და გვამდამამებელ ტალახის აბაზანებს იღებდა.

როგორც კი გამოკეთდა პოლიტიკური ამინდი და ჰორიზონტზეც სულიერი ოახისი გაკრთა, ლაგაზიდან ჯერ თავის ნიკველი ამოსწია, მერე ლაბაბიანი თავ-კისერიც წამოიღერა და ბოლოს მთლიანადაც ამოღრუტუნდა. შორიახლო, მცირე ველობზე, ჯერაც ფოშიმანში მყოფი დიდი ჯგუფი შენიშნა. ნებიერ ქოსმენს (ე. ი. ნასუქარს) ჯგუფი კოლტად მოეჩვენა და შიგ გაერია, თუმცა შეამჩნია, რომ მის გარდა არავინ ჩანდა ლაფიანი. არ დაბნულა. წამსვე ბაქები აიშალა და კვენას მოჰყვა: „თქვენ რომ რისა და თავლის აბაზანებში ნებივრობდით, მე მაშინ ჭუჭყსა და ფამფილაში ვშრომობდიო. განგებამ, როგორც რჩეულს, მე დამაკისრა ავგეას ბოსლის გამოსუფთავების საძნელო საქმეო.“

ჯგუფი მსმენელთა თან-თან მცირდებოდა, მაგრამ დინგოსანი ამას სულაც არ ეუბებოდა, თავისას უბერავდა. ისე გაუტყა, თავი ეშვიანი ტახის ავატარაში მყოფ პრაჯაპატად წარმოიდგინა, რომელმაც თავისი ეშვებით მსოფლიო ოკეანიდან (ლაფიდან ა. გ.) დედამინა ამოზიდა (ამ ამბავში მცირედით მორწმუნენმა იხილონ „შატაპატა ბრაჰმანა“, XIV 1, 2, 11). (ხედავ, პატივთხელეზილო, ბატონო რეზეციელო, რა „დალეკო“ წავსულვარ შენგან და შენთა ჭირისუფალთაგან?! იქნებ ანი მაინც დამიფასოთ ეს დიდებული პარალელი „შატაპატა ბრაჰმანასა“ და შენს შატაპატა ბრახვანას შორის რომ გავავლე და ყოველის შემოქმედი ღვთაების დიდებით რომ შევმოსე შენი ღორული ბრწყინვალეობა?!).

ეეჰ, ჩემო ძვირფასო მკითხველო! ამ სამგლე ტახმა, ლაქარდიანმა ლაქაფმა იმდენი რომა, იტიკიკა და ირაჭრატა, მაღალთა ღმერთთა ნისქვილიც კი დაადუმა და თავისი აარაკუნა. თითზე სათვლელად დარჩენილი ბრიყენი მცირე კოლტად შეკრა და ტალახიდან პირდაპირ მათგან აღმართულ ტახტზე დასკუდა.

ბრიყეთა და ჰოტროველთ დიდების ტალახის მოზიარეობა მოსურდათ. ტახი სულაც არ გამოდგა ქვანვია. ალაღად მოინდობა ჭუჭყის მათთვისაც განილადება, ოლონდ... „მცირე“ და „მწირი“ ეპითეტეპოლეტების საფასურად.

მათაც უშურველად მიუბოძეს, თანაც იმგვარი, დღემდე რომ არ ღირსებია მცირე თუ დიდ, მოკვდავ თუ იკვდავ შემოქმედს:

აი, მთელი ეტრატე ჩინ-მენდლებისა: „საქართველოს შოთა რუსთაველის სახელმწიფოს სახელმწიფო, საქართველოს სახელმწიფო, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ლორთქიფანიძის, მემედ აბაშიძის, დავით კლდიაშვილის სახელობის, მწერალთა კავშირის ყოველწლიური და გამომცემლობა „მესხეთის“ პრემიების ლაურეატი;

ლირსების ორდენის კავალერი; ივანე ჯავახიშვილისა და ავეტიკ ისაკიანის სახელობის, ასევე „ქართული კულტურის ამავდარის“ მედლების მფლობელი; ქართული პროზის რაინდი“.

(არა!.. ეს ეპოლეტ-ჩინ-მენდლები ზღვაში ნვეთია! რეზეციელი მეტს იმსახურებს!

მის ტიტულებს აუცილებლად უნდა ამკობდეს: მრგვალი მაგიდის რაინდი! გრაალის თასის მცველი! რეზეციელ ლომგული!

ლირსება, სინდის- და ნამუსდაკარგულთა ორდენის უმაღლესი მაგისტრი!.. ასე მიუყარეს მარგალიტი ღორს, ხოლო მათ მიიღეს კუთვნილი წილი ფაფილასი... და იქცნენ ისინიც ღორებად.

ხომ არ გავგონებთ, ბატონებო, ეს ლაფიანი ღორების კრებული გენისარეთის ზღვის სანაპიროზე, გერგესველის მხარეზე მობალახე კოლტს? თქვენი არ ვიცი, მაგრამ თავად დარწმუნებული ვარ, ეს სწორედ ის კოლტი გახლავთ, რომელმაც მათხოვარმა „სამარხებიდან გამოსულნი და ძალზე მძინვარენი“ ეშმაკი შედენა. ხომ გახსოვთ, რა ევედრნენ და რა უთხრეს ეშმაკეულბმა ვადაზე ადრე გამოცხადებულ ქრისტეს? - „თუ განგვედენი, ნება გვიბოძე, ღორების კოლტს შევერიოთ“-ო. ისინიც შეერივნენ „და, აჰა, მთელი კოლტი კბოდვადან გადაეშვა ზღვაში და წყალში დაინთქა“ (მათე, 8:28-32).

განსხვავება სახარებაში აღნიშნულ კოლტსა და რეზეციელის (რეზო მიშველაძის) კოლტს შორის ის გახლავთ, ბატონებო, რომ ამათ კბოდვადან გადაშვება არ ნებათ, ისევე ნოყიერი საძოვრებისა და იალალებისკენ იცქირებიან. ახალა სჭირდებოთ მათ, ბატონებო, ნაცადი ჩუბინი ჩობანი, დიდი კომბლით, ვიდრე ეს ჭუჭყიან-ლაგაზიანი კოლტი გოჭებს გაგვისვრიდეს.

## კულისაგიდან ღია ეთერში

ჩვენ თუ არ ვიცით, პატივცემულნი, დავეკითხოთ აგერ თორიების გვარის წარმომადგენელს, ის გვეტყვის, რა ბედი ეწევთ მახა-ზანდურით პირთამდე ამოვსებულ კასრში გამოლალებულ, გაზიპულ, მსუყე ზანდაროზიან და გათანთალებულ ღუმთან ვირთაგვებს, როცა მსუყე საკვები ელევათ. დიახ, დიახ!.. ჭემმარიტებსა ლაღადებენ თქვენი ბაგენი! სწორად, რომ ერთმანეთს დაერევიან, ერთმანეთს დაჭამენ და დაგლეჯენ. რად ჰკვირობთ და ჰბუცობთ? განა არ იცით, გაკვინიუბულთა სააზროვნო ორგანო კუჭი რომაა?

ჰოდა, როგორც კასრში გამომწყვდეულ ვირთაგვებს, ისე დაემართათ ჩვენს გაკვინიუბულ მეტიჩარა-ტარაკუჭებს, რომელთაც მთელი ქვეყანა სადავლი ეგონათ. ვირთაგვებისგან განსხვავებით, ეს მაიმახები კასრიდან, კულტურულად რომ ვთქვათ, კულისებიდან გამოძვრნენ და პირდაპირ ღია ეთერში დაეძვრნენ ერთმანეთს. ისე დაუნდობლად დაეძვრნენ ერთეთს, ტიბეტურ „მკვდართა ნიგნში“ ნახსენები შვიდი ცოდვილი ქოფაკი კოალებად მოგჩვენებოდათ.

ბრძენთაგან მომისმენია: ადამიანი შუა წერტილია უმაღლეს კანონზომიერებასა და ცოდვილ მინას შორისო.

ნეტა არ გენახათ, მაგრამ თუკი ნახეთ ღია ეთერით გამოსული გონაშვილი, ოთარაშვილი და მიშველაძე, რომელ გაშუალეებულ წერტილებზე შეიძლება ამის მერე ლაპარაკი?

როგორ დაეცნენო! - თქვა ერთხელ მანანმა, ამ „დიდებული“ ახალი ეტუალები-სა და ახალი „ტროიკის“ ღია ეთერით გამოსვლის შემდეგ.

წურას უკაცრავად, ჩემო იმანო! „ისინი არ დაცემულან და არც არასოდეს დაეცემიან. დაცემას სიმაღლე სჭირდება. ამ „შესანიშნავი“ სამეულის სულელები და „მე“-ები იმთავითვე ფსკერს იყენენ გართმულნი. არ მითხრათ ახლა, ყველა ხისგან მერკურიუსი არ გამოითლებო. რა თქმა უნდა, არ გამოითლება, მაგრამ შიბაკიც ხომ არ ითლება ყველა ხისგან? ერთადერთი კეთილშობილი და გამონაკლისი ხე მუხაა, რომლისგანაც აკვანიც ითლება და კუბოც. კაციც ასეა, მეგობარო! მისგან აკვანიც გამოითლება და კუბოც. ამ ჩვენი „ტროიკიდან“ უკვე გამოითალა კუბოები და შიგ ძვირფასი ცხედრებიც, - მწერლური სინდისი, ნამუსი და ღირსება - ჩაუსვენებიათ!

ცდუნება და უფალი, ჩემო კეთილნი, ყოველ ჩვენგანს მოგვიკაუნებს კარზე! ვაი მას, ვინც კარს პირველს გაუღებს და არა მეორეს!

ჯერ აბრაგების ატანა თქვი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებად, მერე იკითხე პატივმოყვარე აბრაგთა შესახებ, გარყვნილ სულსა და სხეულებზე ღირსების მანტიის მოსხმასაც რომ ითხოვენ. თანაც, ეს დინგაინები პატიოსანი ადამიანებისკენ იშვერენ ხელს - ის არის დინგაინი!

ვაი, თქვენ, მარხვის ქორწილით ნაშობნი! ბაკენრენეფის ვერძებივით ამეტყველებულხართ წმიდა ქალწულის ქვეყანაში! რომელმაც ღმერთმა, რომელმაც ალაჰმა დაიკვივმდებარათ ის, რაც ცაშია?! ის, რაც მიწაზეა?!

იქნება ფრენა ისწავლო, მაგრამ სოკრატესა და დიოგენესავით ვერ იცხოვრებ კაცი.

ცვილის ფრთებს გაუფრთხილდით, მზისკენ მიმფრენო, ცვილის ფრთებს!..

## ეეჰ, მიხეილო, მიხეილო! უსამართლობით გინდათ იხეიროთ?!

იქნებ მგლის თავზე სახარებას ვკითხვოლოდ, მაგრამ მაინც ვცდი, ბატონო ჩემო, მიხეილო, ერთი-ორი შეგონება რომ მოგცეთ.

თქვენც აგორაზე თავშეყრილ იმ მოსამართლეთაგანი ბრძანდებით, რომლებმაც სოკრატეს კი არა, სიმართლეს მიუსაჯეს სიკვდილი. თქვენ ხელგენიფებთ ციკუტის შხამით გალიციციცებული ფილესი დაგვიდგათ წინ, მაგრამ ვერ შეძლებთ ტალახის უმნიშვნელო მნიშვნელობაზე მოგვეცხოთ. ამისი შიში ნაღდად არა გვაქვს, რადგან იმ ადამიანთა სულელები, რომლის გაბინძურებასაც ასე ცდილობთ, თეთრი გედებივით არიან, რამდენჯერაც გასურდეთ, იმდენჯერ ჩაყურყურულავთ ლაფიან ჭაობში, ტალახის წვეთსაც არ აიკრავენ, მაინც პირველთოვლისფერი სინმინდით ამოხედებინან. ეს თქვენ ჩამდგარხართ ჭაობში, გომბეშოთა შორის, და ძმათა თქვენთა ყოყინს თქვენიც დაგირთავთ ზედ. თანაც პირველ მევიოლინეთა რიგებშიც კი ამოგიყვიათ თავი. ზოგიერთ გულურყვილო კოლეგას კი უკვირს, რატომ ისმის ჭაობიდან ყოყინის ხმაო. ნეტავ, რას ელოდნენ ჭაობიდან? მოცარტის „ჯადოსნური ფლიეისი“ ჰანგებს ხომ არა?!

ჯალათი რომ ჯალათია, თუკი პატიოსანი პროფესიონალია, ისიც კი ცდილობს ნაჯახის სტერილიზებას, ემანდ, მსხვერპლს ინფექცია არ შეეჭრასო! თქვენ ამ ჯალათზე დაბლა დაშვებულხართ, ეს ხანმოყრილი კაცი! ორი დღე დაგარჩენიათ და იმაზე უნდა ფიქრობდეთ, სიყვარული მოჰფინოთ ირგვლივ და არა სიძულვილი და უკეთურებანი. იფიქრეთ იმაზე, ბატონო მიხეილო, ჯერ სიკეთის მქნელს რა უხეირნია ამ ობროდ წუთისოფელში, ბოროტმა რომ იხეიროს?!

ახლა კი დავემშვიდობოთ ერთმანეთს. ამაღამ, მარტოობის თავსასთუმალზე თავს რომ მიდებთ, ვიდრე ძილის ღმერთი გენვეოდეთ, წუთით მაინც ჩაფიქრეთ თქვენს საქციელზე; წამით მაინც გაუსწორეთ ეგ თქვენი ალიელი თვალი სიმართლეს, წამით მაინც მიუგდეთ ყური სინდისის ძახილს, თუკი ბოლომდე ჯერაც არ დაგდუმებიათ იგი...

დასასრული მეოცე გვერდზე

წიგნი „საქართველო“

ერის სინამდვილეში შექმნილმა ურთულესმა კულტურულ-ეკონომიკურმა და ზნეობრივმა ვითარებამ გვიკარნახა საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის დაარსების აუცილებლობა.

ერისთვის ზნეობრივად შეუთავსებელი „კოპიატივური“ ძალადობის პირობებში, მწერლობა აღმოჩნდა ყოველგვარი ინტელექტუალური და ქონებრივი კუთვნილების გარეშე – განდევნილი ქუჩის ბორღიურებზე, გადასასვლელ გვირაბებსა და ხიდის ყურეებზე.

ჩვენი რწმენა და ისტორიული ცნობიერება გვიკარნახებს: თუ გვსურს გადავარჩინოთ ერი და ქვეყანა (სამშობლო), უპირველეს ყოვლისა, უნდა გადავარჩინოთ მწერლობა...

ხელისუფლებამ მკვეთრად და გაბედულად უნდა შეუწყოს ხელი ძლიერი სამწერლო ინსტიტუტის (ცენტრის) – (აწ უკვე დაარსებული „საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის“) გაძლიერებას, მის სტრუქტურულ სრულყოფას და ფუნქციონირებას, ამისათვის ჩვენი წინადადებები და მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ ასეთია:

მწერალთა აკადემიას უნდა გადაეცეს, ანუ დაუბრუნდეს, მისი ისტორიულად კუთვნილი შენობა-ნაგებობები, კერძოდ:

– სახლი მაჩაბლის 13-ში, რომელიც სარაჯიშვილისეული და ხოშტარასეული ძეგლია მწერლობისთვის;

– სახლი მაჩაბლის 11-ში, რომელიც ორი პრეზიდენტის (ზ. გამსახურდიას და ე. შევარდნაძის) განკარგულებით გადაცემულია მწერლობისათვის (არსებობს ამის დამადასტურებელი საბუთები) და ჩამორთმეულია ერთი პრეზიდენტის (ზ. ფვანას) ბრძანებით 2004 წ. და გადაცემულია ეკონომიკის და კულტურის სამინისტროსთვის;

– უნდა დაუბრუნდეს, მწერალთა კავშირის უნიათო და მედროვე მესვეურთა ხელშეწყობით დაკარგული მწერალთა პოლიკლინიკა – ტაშკენტის ქუჩაზე, აგრეთვე, სხვადასხვა ობიექტები: სამწერლო-საგამომცემლო სახლები, თუ აგარაკები...

მწერალთა ეროვნულ აკადემიას, უეჭველად სჭირდება სახლი ფუნქციონირებისათვის, შემოქმედებითი პროცესების წარმართვისთვის, მისი განყოფილებების მუშაობისთვის, კერძოდ:

### საქართველოს მწერალთა აკადემიაში

საქართველოს ეროვნული აკადემიის პროგრამული მოდელი ჩამოყალიბებული კულტურის მინისტრ, ბატონ გურამ ოდიშარიასთან შეხვედრის შედეგად; აუცილებელი პირობები მწერალთა ეროვნული აკადემიის მხარდაჭერისათვის სახელმწიფოს მხრიდან

ბისათვის, შემოქმედებითი პროცესების წარმართვისთვის, მისი განყოფილებების მუშაობისთვის, კერძოდ:

– აკადემიას ექნება ახალი თაობის მწერალთა სულიერი მხარდაჭერის და სამწერლო დაოსტატების სკოლა, აგრეთვე კინო-ტელე-ვიდეო სასცენარო (სწავლების) ლაბორატორია;

– „ტრადიციითა ცოდნის კათედრა“ – ერის ეთნო-კულტურისა და საკრალური ცოდნის სალექციო კურსები;

– მწერლობა არ გახლავთ არც მუსიკა, არც კინო, არც ფერწერა, რომ ისინი ნებოდეს და იხილვებოდეს; იგი თარგმანებით უნდა მიეწოდებოდეს ცივილიზებულ მსოფლიოს, ამდენად აკადემიას უნდა ჰქავდეს პროფესიონალ მთარგმნელთა ძლიერი გაერთიანება... (განყოფილება);

– აკადემიას უეჭველად სჭირდება (და ექნება) კინო-ვიდეო ლაბორატორია: ერის სივრცეზე დრამატულ მოვლენათა ფიქსაციისთვის, ცოცხალ მწერლებსა და ისტორიაზე დოკუმენტური კინოვირსიების, მინი-ფილმების მომზადებისათვის;

– აკადემიას სჭირდება უცხოელ მწერლებთან (აგრეთვე ქართულ დიასპორებთან) ურთიერთობის განყოფილება.

– აკადემიას ექნება სამწერლო-სამწიგნობრო ცენტრები და ფილიალები საკუთარ ქვეყანაში და უცხოეთში.

აკადემიამ აღადგინა ისტორიული გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რომელსაც სჭირდება ადგილი და დაფინანსება სახელმწიფოს მიერ.

– აკადემიას ექნება პროფესიონალ მწერალთა დაცვის ფონდი: მწერალთა ყველა თაობის მატერიალური, სულიერი და შემოქმედებითი მხარდაჭერისთვის.

ფონდის პროექტი წარმოდგენილია „ლიტერატურული საქართველოს“ წინა ნომერში, ვახტანგ ხარჩილავას მიერ. ეს პროექტი მეტად მნიშვნელოვანია და

მთლიანად თანხვედრია აკადემიის და ზოგადად მწერლობის ერთიან ინტერესებთან.

აღნიშნული ფონდის პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს ან იუსტიციის სამინისტროს.

აკადემიის ფონდი, სახელმწიფოსთან ერთად, უზრუნველყოფს პროფესიონალ მწერლებს შემოქმედებითი სტიპენდიით (არა უმცირეს 1000 ლარის ოდენობით, როგორც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში);

– ახალგაზრდა, ნიჭიერ მწერლებს არა უმცირეს 300 ლარისა.

– წარმართავს ლიტერატურულ პროცესებს – დააფინანსებს წიგნების გამოცემას და მწერლების შემოქმედებით მივლინებებს;

– იზრუნებს მწერლების საპენსიო კვლევის გაზრდისთვის, 500 ლარამდე მანძი;

აკადემიის საგანგებო ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს მწერალთა წარდგინების რეკომენდაციებს სახელმწიფო პრემიებზე, გრანტებზე, აგრეთვე, გაცემს საერთაშორისო ბიენალებზე და წიგნის ბაზრობებზე მწერალთა მონაწილეობის ვიზებს;

– მწერალთა ეროვნული აკადემია შეიმუშავებს მოსწავლე-ახალგაზრდობის (ბავშვების) ტრადიციულ ფასეულობებზე აღზრდის პროგრამას;

– მწერალთა საგანგებო ფუფი ქმნის ერის სულიერი და ზნეობრივი დაცვის კონცეფციას, აყალიბებს ისტორიულ კუთხეთა და თემთა გადარჩენის საკრალურ მოდელს.

#### რეზიუმეს სახით უნდა ითქვას შემდეგი:

ყოველ დაუშვებელი და შეურაცხმყოფელია (ანომალურია) მწერლებს მუშაობის გრაფიკის უდგენდეს რურუა-საკაჟმ-ვილის დროინდელი, მათი დანიშნული „მანდატური“ – ვინც უნდა იყოს იგი!

ბის გრაფიკის უდგენდეს რურუა-საკაჟმ-ვილის დროინდელი, მათი დანიშნული „მანდატური“ – ვინც უნდა იყოს იგი!

ამდენად, საქართველოს მწერალთა აკადემიას, მის აკადემიურ საბჭოს (პროფესიონალ მწერალთა დარბაზს და ახალი თაობის მწერალთა ლიგას, რომლებიც ქმნიან აკადემიის სისტემას, მიეკუთვნება, თავად შეადგინონ და განსაზღვრონ საკუთარი მუშაობის გრაფიკი, შიდა განაწილება, უცხოელ მწერლებთან თუ „ბილიგ-რიმებთან“ ურთიერთობის რეჟიმი – საკუთარ სახლსა და ქვეყანაში!

ხელისუფლებამ დაუყოვნებლად უნდა დაუბრუნოს „მწერალთა ეროვნულ აკადემიას“ წინა რეჟიმისგან ექსპრობირებული შენობები და გადასცეს აგრეთვე ახალი (!) მისი სულიერი ცენტრებისა და სასწავლო კერების გასასწრაფად.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ყოველგვარი ზნეობრივი („კოპიატივური“) ძალადობის შეწყვეტას ერზე და ქართული მწერლობის საარსებო სივრცეზე!

ჩვენ არ მოვიტოვებთ XXI საუკუნის „პიქსოსების“ დიდხანს ყოფნას (დარჩენას) ლეთისმშობლის წილზედერ მიწაზე!

ვითვალისწინებთ რა გლობალურ ძალადობას ჩვენს ერზე და ახალ ხელი-სუფლებასზე, რამდენადმე ლოიალურად ვეკიდებით მის მოქმედებას და ვუცხადებთ აქტიურ მხარდაჭერას ამ ურთულეს ვითარებაში, ვინაიდან ქართველი ერი კულტურულ-მწიგნობრული ერია, ზოგადად, უდიდესი მისია აკისრია კულტურის ინსტიტუტებსა და უწინარესად, მწერლობას, რომლის მთავარ „ლოგოსურ ლერძად“ აკადემია უნდა იქცეს ეკლესიასთან ერთად!

კულტურის მინისტრთან, ბატონ გურამ ოდიშარიასთან შეხვედრამ, რომელიც კარგი მწერალიც გახლავთ, გავგვიჩინა იმისი რწმენა, რომ შეგვიძლია რეალური მოთხოვნების დაყენების და მათი აღსრულების შესაძლებლობა უფლისა და გონიერი მამულიშვილების კეთილი ნებით!

აკადემიის საგანგებო ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს მწერალთა წარდგინების რეკომენდაციებს სახელმწიფო პრემიებზე, გრანტებზე, აგრეთვე, გაცემს საერთაშორისო ბიენალებზე და წიგნის ბაზრობებზე მწერალთა მონაწილეობის ვიზებს;

#### მწერალთა აკადემიის დამფუძნებელთა საბჭო

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსის ეს ფრთიანი გამონათქვამი, ალბათ ყველაზე უფრო შეეფერება იმ სიტუაციას, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ დაიწყო და ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა ჩვენს ბედკრულ სამშობლოში. ცალკეული პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორის და, ვინ იცის, კიდევ ვისგან არა, უცნაური გამძვინვარებით განიხილება ერთი სამართლებრივი კაზუსი, რომელთან დაკავშირებითაც ვნებები ჯერ კიდევ არ ჩამცხრალა. სიმართლე გითხრათ, არ ვაპირებდი ხმა ამომელო ამ შემთხვევასთან დაკავშირებით, რადგან მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ჩვეულებრივი იურიდიული კაზუსისტიკის გამო ამხელა ხმაური არ უნდა ატეხილიყო. მინდა ხაზი გავესვა – ფუჭად არ უნდა ატეხილიყო. საკითხი დღეს იმდენად პოლიტიკურული, იმდენად დაირღვა ჩვენი ქვეყნის სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობის ჩვეული რიტმი, რომ როგორც იურიდიული მეცნიერების რიგითმა წარმომადგენელმა, თავს ნება მივცე, გამომეთქვა საკუთარი მოსაზრება რამდენიმე აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით.

ძვირფასო მკითხველო, მე მესმის, რაოდენ რთული და მოსაწყენი საკითხავია იურიდიული პუბლიცისტიკა, განსაკუთრებით მის ძალზე სპეციფიკურ საკითხებზე, მაგრამ მაინც გავრისკავ და გთხოვთ, თუ ჩემი წერილი საინტერესო არ გამოვიდა, დიდსულოვნად მომიტყეოთ.

მამ ასე, დაეინყოთ! 2013 წლის ივნისში საქართველოს მთავარმა პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს, ბატონ ლაშა ჩხიკვაძეს, განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმ-

# «ЛЕГКОСТЬ В МЫСЛЯХ НЕОБЫКНОВЕННАЯ»

**ბატონ თამაზ!**  
შეპირებისამებრ, გიგ ზავნით ჩემი წერილის «ЛЕГКОСТЬ В МЫСЛЯХ НЕОБЫКНОВЕННАЯ» ელექტროვერსიას. მე მგონი, თქვენ მაინც არ გამიბრაზდებით „რუსეთუმეობის“ გამო. რა ვენა, როგორც ბაღდათელი, მაიაკოვსკის ვაჟლენას აქაც განვიციდი! საკითხი ეხება მთავარ პროკურორსა და მის ირველივ ატეხილ აბსოლუტურად უსაფუძვლო ხმაურს, რომელსაც აშკარად პოლიტიკური სუნი ასდის. ვფიქრობ, სწორედ ქართველ მწერალთა გაზეთში უნდა გამოქვეყნდეს ჩემი ეს წერილი.

ლი, იმ გაზეთში, სადაც მე ჩემი „პუბლიცისტიური ახალგაზრდობა“ განველე. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს...

პატივისცემით,  
**ბია მიუზარიშვილი**  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამართლის დოქტორი, იუსტიციის ვადამდგარი მთავარი სახელმწიფო მრჩეველი

გებლობისგან გათავისუფლების შესახებ. როგორც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, მოქალაქე ვლადიმერ ბედუკაძეს, სხვა პირებთან ერთად, ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441 მუხლის მე-2 ნაწილითა (წამება) და 1443 მუხლის მე-2 ნაწილით (დამამცირებელი ან არადადამიანური მოპყრობა) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

სასამართლომ მთავარი პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და დამატეხა საპროცესო შეთანხმება საქართველოს მთავარ პროკურორსა და ბრალდებულ ვლადიმერ ბედუკაძეს შორის. სასამართლოს გადაწყვეტილებით ვლადიმერ ბედუკაძე სრულად გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან.

მერ ბედუკაძე სრულად გათავისუფლდა პასუხისმგებლობისგან.

იურისტებმა და საქმეში ჩახედულმა პირებმა კარგად იციან, რომ ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ასეთი წესი კარგა ხანია რაც დაწერა ქართულ კანონმდებლობაში. შეგახსენებთ, რომ სწორედ 2004 წლის 13 თებერვლის ცვლილებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა საკანონმდებლო ნოვაცია (მუხლი 701), რომლის მიხედვით, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულის მიერ საგანმთიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად გამოვლინდა თანამდებობის პირის ანდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის (პირე-

ბის) ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით მოხერხდა ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობების შექმნა, სასამართლო უფლებამოსილია სრულიად გათავისუფლოს ბრალდებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. თავის დროზე, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ხელისუფლებაში ახლად მოსულმა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახდინა, ხალხმა „ჩამშვების ინსტიტუტად“ მონათლა, მაგრამ ეს სამართლებრივი ინსტიტუტი დღესაც მოქმედებს და, შესაბამისად, გამოიყენება კიდევაც.

მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლეოდა ვლადიმერ ბედუკაძის მიერ დანაშაულის ჩა-



დენის დასაბუთებელ ვარაუდს, საქართველოს მთავარმა პროკურორმა ჩათვალა, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ზემოთ აღნიშნული 701 მუხლი და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლით (ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისგან სრულად გათავისუფლება) მისთვის მინიჭებული უფლება და ბრალდებულ ვლადიმერ ბედუკაძესთან უნდა დადებულიყო საპროცესო შეთანხმება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ, რომლითაც ბრალდებული ვლადიმერ ბედუკაძე სრულად იქნა გათავისუფლებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ვლადიმერ ბედუკაძემ მისთვის შერაცხილი დანაშაული ჩაიდინა 2011 წლის მარტიდან ივნისამდე პერიოდში, როდესაც იგი სასჯელალსრულების დეპარტამენტის №8 დაწესებულების ოპერატიულ მორიგე ინსპექტორად მუშაობდა.

ვლადიმერ ბედუკაძის მიერ პირადად გადაღებულმა და მისი დავალებით მამუკა ფარულავას მიერ ფარულად გადაღებულმა ვიდეომასალებმა (ე.წ. კარანტინის დაშლა) ახილა არა მხოლოდ ცალკეული დანაშაულებრივი ეპიზოდები, არამედ ამ ვიდეომასალამ დასაბამი მისცა გამოძიების დაწყებას მთლიანად საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში, რომლითაც მხილებულ იქნა სისტემური დანაშაული. აღნიშნული დანაშაულის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს სასჯელალსრულების სისტემაში ადგილი ჰქონდა პატიმრების სისტემატურ ცემას, წამებას, სექსუალურ ძალადობას, ღირსებისა და პატივის შემლახვე მდგომარეობაში ჩაყენებას, დამცირებას და არაადამიანურ მოპყრობას. ზემოაღნიშნული მეთოდები წარმოადგენდა სასჯელალსრულების სისტემის მართვის საშუალებას. გამოძიების მიერ მოპოვებულ იქნა რამდენიმე ათასი პატიმრის ჩვენება და სხვა მტკიცებულებები, რომლებიც სასჯელალსრულების დეპარტამენტის სისტემაში ციხეების ადმინისტრაციების მიერ პატიმართა მიმართ ჩადენილ დანაშაულებს ააშკარავებენ. მხილებულმა სისტემურმა დანაშაულმა საშუალება მისცა სახელმწიფოს, გაეტარებინა გადაუდებელი ღონისძიებანი პატიმართა უფლებების დაცვის მიზნით. სისხლისსამართლებრივი დევნა იქნა დაწყებული სასჯელალსრულების დაწესებულებების ათეულობით მოხელის, მათ შორის, დეპარტამენტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის მიმართ. გასტარებული ღონისძიებების შედეგად სასჯელალსრულების სისტემაში პატიმართა უფლებები დაცული გახდა. ამ ზომებმა, რასაც საფუძვლად ვლადიმერ ბედუკაძის მიერ უშუალოდ და მისი დავალებით მამუკა ფარულავას მიერ გადაღებული ვიდეომასალა (კარანტინის დაშლა) დაედო, ათასობით პატიმარი იხსნა ცემისაგან, წამებისაგან, სექსუალური ძალადობისაგან, დამცირებისაგან თუ სხვა სახის არაადამიანური მოპყრობისაგან, რასაც მათ სასჯელალსრულების სისტემის მართვის დანაშაულებრივი მეთოდები მომავალში უქდადა.

მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ვლადიმერ ბედუკაძის მიერ დანაშაულის ჩადენის დადგენა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილი ვიდეომასალის საფუძველზე, ურომლისოდაც ვერც ვლადიმერ ბედუკაძისა და ვერც სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა ვერ დადგინდებოდა. ამ ვიდეომასალის წარმოდგენით ვლადიმერ ბედუკაძემ საფრთხეში ჩააგდო არა მარტო საკუთარი სამსახურებრივი კარიერა, არამედ საკუთარი უსაფრთხოებაც, რის გამოც იგი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა. საფრთხე შეექმნა ასევე ვლადიმერ ბედუკაძის ოჯახის წევრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ვიდეომასალის გამოსაქვეყნებლად გადაცემით ვლადიმერ ბედუკაძემ სისტემური დანაშაულთან ერთად საკუთარი თავიც ამხილა დანაშაულის ჩადენაში და იმ დროს, როდესაც ვლადიმერ ბედუკაძემ ვიდეომასალა გამოსაქვეყნებლად გადასცა, მას არ ჰქონდა არავითარი განაჩენა, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო იგი შეიძლება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულიყო. საქმის მასა-

ლებით ირკვევა, რომ ვლადიმერ ბედუკაძის მიერ ვიდეომასალის გამოსაქვეყნებლად გადაცემა, ისევე როგორც მისი მითითებით კარანტინის დაშლის ეპიზოდის ფარული გადაღება, არ უკავშირდებოდა ანგარებით მოტივს ან სხვა პირადი სარგებლის მიღებას.

სწორედ ამიტომ, ვლადიმერ ბედუკაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, მის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გახსნისა და ასევე სისტემური დანაშაულის მხილების საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, მთავარმა პროკურორმა მიიჩნია, რომ გამოყენებული უნდა ყოფილიყო განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმება და ვლადიმერ ბედუკაძე სრულად უნდა იქნეს გათავისუფლებული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საპროცესო შეთანხმება ბრალდებულ ვლადიმერ ბედუკაძესა და საქართველოს მთავარ პროკურორს შორის დამტკიცდა. იგი ძალაშია და აღსასრულებლად მიექცა.

აი, ეს იყო სულ. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი იურიდიული რუტინა, თუმცა ჯერ სადა ხართ! სულ ცოტა ხანში, ქართულ მასმედიაში ჩნდება პუბლიკაციები, რომლებიც ამტყუნებენ საქართველოს მთავარ პროკურორს, რომ მან კანონის დარღვევით და არასწორად გააფორმა საპროცესო შეთანხმება ვლადიმერ ბედუკაძესთან. მასმედიაში გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა არასამთავრობო სექტორიც, ხოლო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პირდაპირ ბრალი დასდო საქართველოს მთავარ პროკურორს, რომ მან არასწორად გააფორმა საპროცესო შეთანხმება და დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც აკრძალულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441 (წამება), 1442 (წამების მუქარა) და 1443 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებულთან (ხაზგასმა ჩემია – გ. მ.) საპროცესო შეთანხმების დადება.

ფრთხილი, მაგრამ მაინც კრიტიკული იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მ. ივლიძის გაკეთებული პირველი განცხადება, რომელმაც სთხოვა მთავარი პროკურორს გადაეხედა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რადგან მან ჩათვალა, რომ არჩილ კვიციანი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიცავდა გარკვეულ რისკებს. სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 13 ივლისს ქალაქ ბათუმში ჟურნალისტებთან შეხვედრისას ოფიციალურად დააფიქსირა, რომ იგი უფლებამოსილი არ იყო და არც ჰქონდა სურვილი, ჩარეულიყო პროკურატურის საქმიანობაში.

მკვეთრად კრიტიკული იყო საპარლამენტო ოპოზიცია, რომელიც დღესაც მოითხოვს საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გათავისუფლებას. რას აკეთებს ამ დროს საპარლამენტო უმრავლესობა? პასუხი ასეთია: მმართველი გუნდის ყველა წევრი შეცდომად მიიჩნევს საქართველოს მთავარი პროკურორის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, თუმცა, აღნიშნავენ, რომ არჩილ კვიციანის კანონი არ დაურღვევია (?!). საქართველოს მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება უხეშ შეცდომად ჩათვალა საქართველოს პრეზიდენტმა, ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიჩნია, რომ მთავარი პროკურორი გასცდა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და საპროცესო შეთანხმება დალო წამების და დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის გამო დანაშაულში მხილებულ ბრალდებულ ბედუკაძესთან, რაც არ შეესაბამება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებს და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს.

ამრიგად, კრიტიკული შენიშვნები უხვად გამოითქვა, თუმცა საქართველოს მთავარი პროკურორი უკან არ იხევს და მიიჩნევს, რომ მას კანონი არ დაურღვევია და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვაზე უარს ამბობს. სი-

ტუაცია დაიძაბა და ჩვეულებრივმა სამართლებრივმა დავამ აშკარად მიიღო პოლიტიკური შეფერილობა. გახშირდა მოთხოვნები – „თანამდებობიდან გადადგეს საქართველოს მთავარი პროკურორი!“.

რატომღაც მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჭიქაში გვინდა ქარიშხლის გამოწვევა. ბატონებო და ქალბატონებო, თავისი მოქმედებით არც არჩილ კვიციანის და არც თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის კანონი არ დაურღვევია და არც არავითარი პრობლემა არ შეუქმნიათ საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან. მიაქციეთ ყურადღება, რა წერია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 ნაწილში, სადაც იმპერატიულადაა განსაზღვრული, რომ დაუშვებელია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441 (წამება), 1442 (წამების მუქარა) და 1443 (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირის სასჯელისგან სრულად გათავისუფლება (ხაზგასმა ჩემია – გ. მ.).

ვლადიმერ ბედუკაძე ბრალდებული იყო. ანუ, პირი, რომლის მიმართაც არსებობდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული (ხაზგასმა ჩემია – გ. მ.). რაც შეეხება მსჯავრდებულს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, მსჯავრდებულია პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენი (ხაზგასმა ჩემია – გ. მ.). მამ, რა დაარღვია მთავარმა პროკურორმა? ჰქონდა მას უფლება, საპროცესო შეთანხმება დაედო ბრალდებულთან განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე? ჰქონდა, ბატონებო და ქალბატონებო! ზემოაღნიშნული კანონისმიერი აკრძალვა ეხება მსჯავრდებულს და არა ბრალდებულს. ეს ორი საპროცესო ფიგურა ერთი და იგივე არ არის და მათ შორის არსებითი განსხვავებაა. ასე რომ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 218-ე მუხლის მე-8 ნაწილის მოთხოვნები არ დარღვეულა!

რაც შეეხება საკითხს, რამდენად შეესაბამება საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს საქართველოს მთავარი პროკურორის და მოსამართლის მოქმედებები, როდესაც მათ მიიღეს გადაწყვეტილებები განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების შესახებ. წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას საერთაშორისო სამართალი მკაცრად კრძალავს. ამ საკითხზე დაკავშირებით, მრავალი საერთაშორისო აქტი არსებობს, რომელიც სახელმწიფოებს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებებს, რეაგირების გარეშე არ დარჩეს ასეთი შემთხვევები. ასეთი საერთაშორისო დოკუმენტები მიღებულია როგორც გაეროს, ასევე ევროსაბჭოს მიერ. არსებობს სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებები. თანამედროვე მსოფლიო მეტად მგრძობიარეა ადამიანის უფლებათა დარღვევის ასეთი შემთხვევების მიმართ და მას „ბოროტებას“ უწოდებს, ამასთან, ავალებს სახელმწიფოებს, შესაბამისი რეაგირება მოახდინონ თითოეულ ამგვარ ფაქტზე. აკრძალვა, რომ სახელმწიფომ გამოიყენოს პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საკანონმდებლო მექანიზმები, თუნდაც წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, არ არსებობს. პირიქით, თანამედროვე მეცნიერება და კანონმემოქმედებითი საქმიანობა დღეს ორიენტირებულია სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმების ძიებაზე. სახეზეა სასამართლო-საგამომძიებო დეკრიმინალიზაცია, რომლის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობა, განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების თაობაზე.

რაც შეეხება მთავარი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზანშეწონილობას, ეს სხვა საკითხია. ამასთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რომ წარმოდგენილია ორგანიზებული დანაშაულის ყველაზე სამიშ გამოვლინებებთან ეფექტური ბრძოლა, თუ არ იქნება მყარი საკანონმდებლო გარანტიები იმ პირთა სტიმულირებისათვის, რომლებიც ხელს შეუწყობს მძიმე დანაშაულის გახსნისა და მასში მონაწილე პირების დადგენის პროცესს. ასე არის ძალზე ბევრ ქვეყანაში და ასე არის ჩვენთანაც. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ქართველი სამართალდამცავები ბოლო წლების განმავლობაში არცთუ იშვიათად მიმართავენ ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლებას მაშინაც კი, თუ მათ ბრალი მიუძღოდათ უმძიმესი დანაშაულების ჩადენაში. არსებობს არაერთი შემთხვევა, როდესაც ბრალდებული, სწორედ, განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, სრულად გაათავისუფლეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის და ნარკოტიკების განსაკუთრებით დიდი ოდენობით შექცენის, შენახვისა და გადაზიდვისთვის. იმ დანაშაულებზეა საუბარი, რისთვისაც კანონით უფადო თავისუფლების აღკვეთა გათვალისწინებული. დასავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებული თანამშრომლობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებიან პირები, ვინც ითანამშრომლეს გამოძიებასთან და ხელი შეუწყვეს დანაშაულის გახსნას, მათ შორის ტერორიზმის, ნარკოტიკების, ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების და სხვა დანაშაულის საქმეებზე. ეს არავის უკვირს, მათ შორის, არც იურიდიულ მეცნიერებს და არც სასამართლო პრაქტიკოსს.

სულ ეს არის, აი, ამის გამო ატყდა ერთი ამბავი. სამწუხარო ერთი მხოლოდ: მე იქმნის, რომ საზოგადოება და სამოქალაქო სექტორი უმწვევლებად უნდა რეაგირებდეს კანონიერების დარღვევის თითოეულ შემთხვევაზე. ეს აუცილებელია. რაც უფრო მეტია ასეთი განწყობა სახელმწიფოში, მით უკეთესი. მაგრამ იქნებ გავერკვეთ, რაზე ვდაობთ და არ გადავწყლოთ ბავშვი ნაბან წყალს. მე მეშინია, რომ ასეთი, თუნდაც უსაფუძვლო, პოლიტიკური „შეშხაპუნების“ შემდეგ, გაბედულება და პრინციპულობა ქართველ სამართალდამცავებს ნამდვილად არ მოემატებათ. ვინ იხიერებს ამით? ყველა, ჩვენ გარდა.

დაბოლოს, მე მეჩვენება, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი აშკარად შეცდომაში იქნა შეყვანილი (ოჰ, ეს ბოროტი ვეზირები!), რადგან მოქმედი კანონმდებლობით მას საერთოდ არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო პროკურატურის საპროცესო საქმიანობაში. იგივე ეხება საქართველოს პრეზიდენტსაც, რადგან „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური, და საქართველოს პრემიერ-მინისტრი, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, პერიოდულად ისმენენ მთავარი პროკურორის ინფორმაციას. ეს ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთია კანონის მოთხოვნა, სწორი და სამართლიანი მოთხოვნა!

რაც შეეხება კითხვას – შეიძლება თუ არა ვლადიმერ ბედუკაძის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა, ასეთი რამის გაკეთების შესაძლებლობა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო (თავი XXVII) და მას ძალზე რთული პროცედურა აქვს, რომელიც ასე იოლად მისაცდევია არ იქნება. სხვა შესაძლებლობას ჩვენი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას...

# „სულს ვკურნავ“

ასათიანის ქუჩა თბილისის მოსახლეობამ ამ ქუჩაზე არსებული დაწესებულების მნიშვნელობის გამო იცოდა. ეს იყო ფსიქიატრიის ინსტიტუტი, რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფო, ნარკოლოგიური კლინიკა, ნარკოლოგიური დისპანსერი, ფსიქონევროლოგიური დისპანსერი – ყველაფერი ერთად, ერთ ტერიტორიაზე. ეს ჯერ კიდევ ნაწილია იმისა, რასაც ქვევით მოგახსენებთ.

კარგად, მყარად შემოღობილ ულამაზეს ტერიტორიაზე, იშვიათი ჯიშის ნაძვებისა და კედლების დიდი ბაღის გარშემო, განლაგებული იყო შენობები, საგულდაგულოდ შერჩეული იმ ფუნქციონისათვის, რაც მათ ევალებოდა.

როგორც ჩემი ერთ-ერთი ავადმყოფის დედა, ქალბატონი კესო იტყობდა (და, საზოგადოდ, თხრობას ასე იწყებდა): „ქე რო კაი დრო იყო, ქე რო კომუნისტები იყვნენ...“

ნება მომეცით, მეც კესოს ციტირება მოვასწარმო: „ქე რო კაი დრო იყო, ქე რო კომუნისტები იყვნენ“ – თბილისში 1200-ზე მეტი საწოლი იყო სულით ავადმყოფთათვის.

600 ავადმყოფი იყო ასათიანის ქუჩაზე, რესპუბლიკურ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში;

700 ავადმყოფი – ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, გლდანში;

კოჯორში 70 საწოლი ეკუთვნოდა ქალაქის დისპანსერს. ეს განსაკუთრებული ადგილი იყო, ავადმყოფებიც – ნაკლებად მწვავე, უმეტესად ნევროზული სიმპტომებით. იმ პირობებში, ჰაერზე, ნაძვარში მკურნალობით ავადმყოფები ძალიან კმაყოფილი იყვნენ.

მუშაობა დაიწყო 1961 წლის მარტში – ძველ საავადმყოფოში, რომლის ფანჯრები სანაპიროს უყურებდა. თვითონ შენობას და შავი რკინის ბაღიდან გამომხიროლ ავადმყოფთა სახეებს გამვლელზე თვალს არიდებდნენ. ეზო შენობების შუა იყო მოქცეული. ძველი, ჭეშმარიტი, ტრადიციული ფსიქიატრები – ბ-ნი ავლია ზურაბაშვილი, პროფ. ირაკლი მენთეშაშვილი, პროფ. ევგენი გობრონიძე, ფსიქიატრიის პატრიარქი, უკეთილშობილესი ალექსანდრე სავანელი, პროფ. ვალიკო იაშვილი (მეშინია, ვინმე არ გამოძრჩეს) – იქვე ცხოვრობდნენ.

ასე იყო ევროპაშიც უწინ. ექიმები (ფსიქიატრები) საავადმყოფოს ტერიტორიის შორიანხლოს ცხოვრობდნენ.

ამ დროს ასათიანის ქუჩაზე დიდი საქმიანობა მიმდინარეობდა. ხეები იყო, მაგრამ – პატარა. რვაგდნენ. საიდან არ ჩამოჰქონდათ იშვიათი ჯიშები: კედრები, თუთის ხეები, ნაძვები, ფიჭვები. ბატონი შოთა გამყრელიძის დიდი მონღოლებითა და ძალიანხმევით, იშვიათი ტყე გაშენდა შუა ქალაქში.

ახალა საავადმყოფოს ეზოში 250 ცისკენ მაცქერალი ხეა: უნიკალური თუთის ხეები, 50-მდე კედარი, იშვიათი ჯიშის 50 ნაძვი.

ფსიქიატრიული საავადმყოფო – ეს მთელი „იმპერია“ იყო. შესასვლელთან (მკვიდრად შემოღობილ ეზოში ჭიშკრით უნდა შესულიყავი), იქვე, სადარაჯო ოთახი იყო, სადღელამისო. ეს ჭიშკარი ყველა ძველი და საშუალო თაობის ფსიქიატრისთვის დაკავშირებული იყო ერთი კარგი კაცის სახელთან. პარმენი ყველა სანიტრის, ექთნის, ექიმის, პროფესორის მეგობერი იყო. იცოდა, ვინ როდის გავიდა და როდის დაბრუნდებოდა. უბარებდნენ და, რა ექნა. უნდა დაემახსოვრებინა.

ასათიანის ქუჩის მხრიდან კედელში ამოშენებული იყო ორსართულიანი შენობა. პირველ სართულზე – საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მისი მოადგილე,

აფთიაქი, საავადმყოფოს არქივი, ბუღალტერია, და რაც მთავარია, ტაბელი. ეს კედელზე გაკრული დიდი ფიჭარი, თავისი ნომრებით და გვარებით, დიდი ფუნქციის მატარებელი იყო.

მეორე სართული – მარცხენა მხარეს ინსტიტუტის დირექცია, ბატონი ავლიპის კაბინეტი, მისი უცვლელი მოადგილის, ბატონი ბიძინა ნანეიშვილის კაბინეტი, ინსტიტუტის მდივანი და ბუღალტერია.

მარჯვენა ფლიგელში – კათედრა, თავისი დირექციით, ასისტენტების ოთახებით. სემინარები ტარდებოდა აქ, კათედრის გამგე გახლდათ ბატონი ფაიზოლა კონტრძი. ინსტიტუტსა და კათედრას შორის იყო საკონფერენციო დარბაზი. აქ უტარდებოდა სტუდენტებს ლექციები; რაიონებიდან ჩამოსული ექიმები აქ იგებდნენ ახალს, იზიარებდნენ გამოცდილებას, ურთიერთობდნენ კოლეგებთან. ყოველ დღე იქ იკრიბებოდნენ ექიმები: მორიგე ექიმი მოახსენებდა, ვინ მიიღო, ვის ეთქვა უარი და რატომ, რომელ განყოფილებაშია მძიმე ავადმყოფი და ა. შ. მთავარი ექიმი კი იბარებდა ამ პატაკს და, რაც მთავარია, ცხადდებოდა ავადმყოფების რაოდენობა თითოეულ განყოფილებაში.

პარასკეობით, 12 საათზე, როცა ექიმები განყოფილებაში თავიანთ ავადმყოფებს მოუვლიდნენ, პატრონებს პასუხს გასცემდნენ, იწყებოდა კონფერენცია – ავადმყოფის წარდგენა – ისტორიის წაკითხვა, ანალიზი, განყოფილების დიაგნოზის გამოცხადება და მერე გარჩევა – ვინ რას ფიქრობს ამ დიაგნოზის შესახებ, ვის როგორი აზრი აქვს მკურნალობის შესახებ და სხვა.

წინა ორი რიგი ეკავათ პატრიარქებს, ჩვენს პროფესორებს, დამსახურებულ ფსიქიატრებს. იყო მსჯელობა, კამათი, ახალგაზრდა ფსიქიატრები ისმენდნენ და სწავლობდნენ.

ბაღსა და უკანა კედელს შორის იდგა ლამაზი შენობა, თეორად შეღებილი რკინისბადებებიან ფანჯრებით.

ამ შენობის ფანჯრებიან სარდაფში განთავსებული იყო ლაბორატორიები, სტომატოლოგიური კაბინეტი, რენტგენის კაბინეტი, სადურგლო, – ყველაფერი იქვე, მოხერხებულად, რომ ავადმყოფს მომსახურებოდა.

პირველ სართულზე ცალ-ცალკე კიბით ავდიოდით კლინიკურ განყოფილებაში: იქ იყო საერთო მისაღები და ავადმყოფების ახლოობებითა შეხვედრის ადგილი. მარცხნივ – 60-საწოლიანი მწვავე ავადმყოფ მამაკაცთა განყოფილება, მარჯვნივ – მწვავე ავადმყოფ ქალთა განყოფილება. განყოფილებების ბოლოს – საბაზანო, იქვე – დასახლისის ოთახი, თეთრეულის თაროები და სხვა ისეთი საჭირო ნივთები, ისეთი რამეები, რაც იდეალური სისუფთავის დაცვაში ეხმარებოდა დასახლისისებს.

სამანიპულაციო, ანუ ექთნის ოთახი ბზინავდა. იქვე იყო „ბუფეტი“ და სასადილო. მეორე სართულზე, მარჯვნივ და მარცხნივ, – მამაკაცთა განყოფილებები. პალატები – ნათელი და დიდი. თითო განყოფილებაში 60-ზე ნაკლები ავადმყოფი იშვიათად ჰყავდათ. უწინ, როცა ინსულინოთერაპია ტარდებოდა, პალატაში ექიმი მორიგეობდა, ხშირად – ექთანი.

განყოფილებას ორი ექთანი ემსახურებოდა. უფროსი ექთანი წამლებს ვასცემდა, მორიგეობას, წესრიგს განაგებდა; მეორე – საინექციო ექთანი – წამლებს არიგებდა, უკეთებდა.

განყოფილებაში ორი სანიტარი იყო: ერთი, მორიგე, კარებს ალებდა, ავადმყოფ-

ფი გამოჰყავდა პატრონთან, ან პატრონი შეჰყავდა განყოფილების სასადილოში. მეორე სანიტარი თვითონ პალატის ავადმყოფებს უვლიდა, წამლის დარიგებას ესწრებოდა, რომ რომელიმე ავადმყოფს წამალი ჩუმად არ დაეძალა, არ გადაეგდო (ასეც ხდებოდა).

განყოფილებას ჰყავდა სამეცნიერო ხელმძღვანელი – ინსტიტუტის თანამშრომელი – და გამგე – საავადმყოფოს კადრი.

ყოველ დღე, საერთო კონფერენციის შემდეგ, გამგის ოთახში ყველა იკავებდა თავის ადგილს და იწყებოდა ავადმყოფების – ახლისა თუ გასაწერის – გარჩევა, გამოკითხვა. ეს იყო მეორე ინსტიტუტი.

ახლა სუბორდინაციას არ იტყვით. ეს სიტყვა იმ დროს ძალიან ხშირად იხმარებოდა, უფროს-უმცროსობის გარდა, უფროსის პატივისცემას გულისხმობდა.

ეს პირველად მაშინ გავიგე, როდესაც ახალმისულს ხანშიშესული სანიტარი ფეხზე წამომიდგა. ჩვენ უჩვეულოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა დაბალ მედპერსონალთან.

მესამე სართულზე მარჯვნივ ქალთა განყოფილება იყო, მარცხნივ – საექსპერტო განყოფილება, რომელსაც შესასვლელი შენობის მეორე მხრიდან, სადარბაზოდან ჰქონდა.

ფუნქციონირებდა ტვინის განყოფილება – თავისი აპარატურით, ენცეფალოგრაფიის კაბინეტი, ლაბორატორიული განყოფილება – სისხლის, შარდის ყველა გამოკვლევით და, რაც მთავარია, ბიბლიოთეკა – უძველესი, რომელიც თანდათან იგებოდა ჩვენი თუ სხვა რესპუბლიკების ფსიქიატრიული კლინიკებიდან გამოგზავნილი წიგნებით.

ცალკე იდგა ორსართულიანი შენობა: პირველ სართულზე ბავშვთა განყოფილება იყო, მეორეზე – ნევროზების.

ეზოს, ე. ი. ბაღის ბოლოში შეგზდებოდათ კიდევ ერთი შენობა – ზედა სართულზე იყო მამაკაცთა დიდი განყოფილება, ნარკოლოგიური სტაციონარი. ამავე შენობაში განთავსდებოდა აფთიაქი-საწყოები და პირველ სართულზე – შრომათერაპიის ოთახები. აქ ავადმყოფები შრომობდნენ და ეს შრომა არ იყო დამღლევი. საქმე მათ ფუნქციას ანიჭებდა – კერავდნენ ხალათებს, აკეთებდნენ ქაღალდის პარკებს, იყო სადურგლო სახელოსნოც. ეს საქმიანობა ეხმარებოდა მათ გამოკეთებაში.

ყველაფერი (რასაკვირველია, არასრულად), რაც მე ზემოთ მოვეყვი და ასე თუ ისე აღვწერე – ამჟამად მიწასთან არის გასწორებული.

ამ უზარმაზარ შენობაში არსებული აპარატურა გაქრა, გაქრა ბიბლიოთეკაც. მარტო ხეებია დროებით დატოვებული და ისიც – მეჩხერად. აღარც ერთი შენობა აღარ არის. ვინ იყდა ეს ტერიტორია, ვინ მისცა ამის უფლება, რატომ არაა ჩააგდეს ფსიქიატრია?! ის ზომ ყველა ქვეყანაში ელიტური დარგია, რადგან Psichiatria ნიშნავს – „სულს ვკურნავ“.

თუ სულს კურნავს, რატომ წაართვეს ის ძალა და ერთობა, რომელიც ამ რამდენიმე შენობაში იყო გადნაწილებული და რომ არა შემორჩენილი ხეები, ისე მოასწორეს, რომ ნასახლარს, უფრო მეტი – უდაბნოს ჰგავს. კუთხეში ეკლესიაა. მე არ ვიცი, რას ფიქრობს ამ ეკლესიის მრევლი, ჯანდაცვის სამინისტრო. იკითხეთ, პირველ ხანებში რამდენი ავადმყოფი გადმოხტა და მოიკლა თავი იმ ახალ საავადმყოფოში.

რამ მოაფიქრებინათ ასეთი სახესრული ფსიქიატრიული-სამეცნიერო-სამკურნალო-სასწავლო (კათედრა, ინსტიტუტი, საავადმყოფო) იმპერიის დანგრევა-დაქუცმაცება, ასეთი ორგანიზებული, ურთიერთდაკავშირებული განყოფილებე-

ბისა და ლაბორატორიების განადგურება?

სად წავიდა საავადმყოფოს შენობა? ხალხია მოწმე, როგორ აწყობდნენ ეზოში დაყრილ აგურებს მანქანებზე და გაქქონდათ.

რატომ დასჭირდათ ასე დაქუცმაცება?

ქავთარაძის ქუჩაზე – ინსტიტუტი, დირექცია; აქვეა ნარკოლოგიური დისპანსერი, პოლიკლინიკა. 80 ავადმყოფია.

თემქა – მეორე ნაწილი დაკუწული ფსიქიატრიისა;

ლულუშაურის კლინიკის გვერდით შენობაში – მესამე ნაწილი;

გლდანში – (ძველად იქ ქალაქის საავადმყოფო იყო);

ქავთარაძის ქუჩაზე აბრას: კათედრის გამგე – სილაგაძე.

არ ტარდება ლექციები, არ ეწყობა კონფერენციები, აპარატურა გაქრა, ბიბლიოთეკა გაქრა, ფსიქიატრთა თავშეყრის, ავადმყოფთა წარდგენის, განხილვის ტრადიციაც გაქრა. სუბორდინაცია – ეს სიტყვა აღარ არსებობს. სად არის საზოგადოება, რატომ არ იცია არავის – ვინ, როდის, ვისი ნებართვით იყდა ეს ტერიტორია, მოსპო შეკრული, აწყობილი ფსიქიატრიული სამსახური? ადამიანებს სული აღარ აქვთ? მკურნალობა აღარ სჭირდებათ? მე მგონი, პირიქით!

სწორედ ახლა, როდესაც დილა იწყება უსიამოვნო განცხადებებით: „პიროვნება ჩავარდა მეტროს რელსებში“, „გადავარდა მტკვარში და მამშველებმა ამოიყვანეს“, „ავადმყოფი ბავშვის ოჯახი საჭიროებს დახმარებას“ – არ შეიძლება არ შეწუხდე, არ შემფოთდე. სწორედ ახლა სჭირდება საზოგადოებას ასეთი სრულყოფილი ფსიქიკური დახმარების კვალიფიციური სამყოფელი.

მიწასთან გასწორებულ, ცარიელ ეზოს რომ ნახავთ, სადაც შემორჩენილი ხეები მოწყვნილი უყურებენ მომსპარგარემოს, ძალიან დამძიმებული გულით და დათრგუნვილი სულით დატოვებთ იქაურობას.

არის ასეთი სიტყვა – ვანდალიზმი.

საზოგადოება ითხოვს პასუხს: ის, რაც ჩვენი ფულით აშენდა, გაკეთდა, ემსახურებოდა შეწუხებულ სულს, რას გიშვებდათ?

ვის მოუვიდა აზრად ამ ადგილის ყიდვა, დანგრევა, განადგურება? რატომ აიგდეს აბუნად ფსიქიატრიული საზოგადოება, რომელიც გამორჩეულად იმსახურებდა პატივისცემას?

ვინ დაანგრია ფსიქიატრია? ვითხოვთ პასუხს!

ახლა მკურნალობა – როგორც ევროპაში – მხოლოდ ორი კვირა შეიძლება, 20 დღემდე – მერე უნდა გაეწეროს ავადმყოფი და სადაც უნდა, იქ გააგრძელოს მკურნალობა. უმეტესად ეს ხდება მიკრო-საავადმყოფოში დაწვევით. სულით ავადმყოფობა გრძობი არ არის.

ნუთუ ასე დაკნინდა ქართველი საზოგადოება, რომ უხმოდ დათმო სულის სამკურნალო?

P. S. ვინც ეს მოიფიქრა და ჩაიდინა, ალბათ თვითონ განიცდიდა სულიერ სიმწირეს და დეფექტს. სხვაგვარად, სრულყოფილი სულისა და ფსიქიკის პატრონი ამას არ ჩაიდენდა.

თამილა მაპარიძე

„დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმა-  
ტა ადამიანთა უკეთურობამ ამქვეყნად,  
რომ უკეთური იყო მუდამაჟამს მათი ყო-  
ველი გულისთქმა.

ინანა უფალმა რომ შექმნა ადამიანი  
ამქვეყნად და შენუხდა.  
თქვა უფალმა: მიწის პირისაგან აღვგვი  
ადამიანს, რომელიც შევქმენი, ადამიანი-  
დან დაწყებული პირუტყვამდე, ქვენარ-  
მავლამდე, ცის ფრინველამდე, რადგან  
ვნახობ, რომ გავაჩინე“ (დაბ. 6-5,6,7).

უფლის სინამდვილეში  
ადამიანებს მიუძღ-  
ვით ბრალი!



ჭ რ ი ა ლ ე ბ ს  
ცხოვრების ურემი  
და ლენცოფის

თესლი ჰხარობს და მრავლობს.  
სიკეთეს, პატიოსნებას ბოროკლი  
ადევს და ჭიხვინით ყალყზე შემდგარა  
ბოროტება.

საყოველთაო ქვეყნადანობას ჰყავს  
უამრავი მომხრე და წარმმართველი. ისი-  
ნი ყველგან, მსოფლიოს ყოველ მხარეში  
არის, შავი ცეცხლის მამხალეები უკავი-  
ათ და ეშმაკის საქმეებს ემსახურებიან.

ამ მხრივ, არც ჩვენი საქართველოა გა-  
მონაკლისი.

სამაგალითოდ შორს წასვლა და გარჯა  
არ არის საჭირო. აქვეა, ცხვირწინაა. ყვე-  
ლაზე ძალიან ამგვარ არსებებს გამომყ-  
დავენის, მხილებისა ეშინიათ.

ამიტომ, ჩვენს ქვეყანაში საყოველთა-  
ოდ ცნობილ, ერთ-ერთ უკეთურზე უნდა  
ვისაუბრო, უნდა ვამხილო! უნდა გამო-  
ვამხეურო მისი ბნელი საქმეები, რომ მო-  
მავალმა თაობამ ამკარად დაინახოს:

როგორ არ უნდა იყოს ადამიანი!  
როგორ არ უნდა იცხოვროს ადამიანმა!  
როგორ არ უნდა იქცეს ეშმაკის საბუ-  
დარად!

როგორ არ უნდა შეიქმნას სანყევრად!  
როგორ არ უნდა ჩადგეს სოდომელთა  
და გომორელთა რიგებში!

როგორ არ უნდა იქცეს დამნაშავე ეა-  
ცობრობის და საკუთარი ქვეყნის წინაშე!  
ვინ არის ეს ადამიანი? – დაინტერეს-  
დება მკითხველი.

ოოო! ეს გახლავთ უნივერსიტეტის პრო-  
ფესორი, ახალი ქართული ლიტერატურის  
კათედრის გამგე, რუსთაველის პრემიის  
ლაურეატი, რამდენიმე გაზეთის და ჟურნა-  
ლის რედაქტორი, პარლამენტარი და ა.შ.  
რატომ „ა.შ.“?

იმიტომ, რომ ასე უცბად ვერ გავიხსე-  
ნებ იმ უამრავ ტიტულს, რაც ამ არსებას  
გულ-მკერდზე ჰკიდია! ამიტომ გზადაგ-  
ზა, თანდათან, ნელ-ნელა მოგახსენებთ!  
თუმც!

უჰ! მაინც გამომჩნა, – იგი ხომ მწერა-  
ლიცაა, კრიტიკოსიცაა, ჟურნალისტიცაა...  
ყველაფერია ყველაფერში!  
ჩავეხედოთ გაზეთ „ლიტერატურულ  
საქართველო“-ს (10, 2002 წ.) და წავი-  
კითხოთ:

„ქართულ მწერლობაში რ. მიშველაძე  
თავიდანვე სკანდალურად, ინტრიგებით  
და ნაირ-ნაირი ხეანჯებით შემოვიდა. ამ-  
კარა თუ ფარული ხრიკებით ცდილობდა  
ყურადღება მიეპყრო, თვალსაჩინო ფი-  
გურად ქვეყლიყო და საამისოდ არანაირ  
ხერხს არ თაუილობდა, სადაც მამხალე-  
რობა და მლიქვნელობა არ გასჭრიდა, იქ  
ამკარა შანტაჟს მიმართავდა“.

იქვე შავით თეთრზე სწერია:

„ამ ორიოდ დღის წინ ტელეკომპანია  
„მეცხრე არხის“ ეკრანიდან შევიტყვეთ,  
რომ სტუდენტთა თვითმმართველობას  
ჩაუტარებია გამოკითხვა – ყველაზე კო-  
რუმპირებული და ზნედაცემული ლექტო-  
რის გამოსავლენად! საოცარია პირდაპირ  
– ყველა გამოკითხულ სტუდენტს ერთხ-  
მად და ერთსულოვნად, მხოლოდ ერთა-  
დერთი ლექტორი – საქართველოს პარ-  
ლამენტის წევრი, რევაზ მიშველაძე დაუ-  
სახელებია. იმის მიუხედავად, რომ იგი  
ახალი გარიცხული გვეყავს მწერალთა კავ-  
შირის რიგებიდან, ჩვენ, ქართველ მწერ-  
ლებს თვით ეს ფაქტიც კი ვერ გვათავი-

სუფლებს ჩვენი წილი პასუხისმგებლობი-  
საგან! ეტყობა ამ კაცის მიკარება არც  
ერთ წესიერ საქმეზე არ შეიძლება! ამ სა-  
მარცხვინო გარემოებიდან გამომდინარე,  
რაკი რევაზ მიშველაძე მწერალთა კავში-  
რიდან უკვე დათხოვილი გვეყავს, ახლა ჯე-  
რი სახელმწიფო უნივერსიტეტზეა, შემდ-  
გომ – საქართველოს პარლამენტზე“...

იქნებ ყველამ არც იცის, რომ პარლა-  
მენტიდან და უნივერსიტეტიდან მიშვე-  
ლაძე კი არ გააგდეს, არამედ, სულ მოკლე  
ხანში, ჯერ მწერალთა კავშირში აღადგი-  
ნეს, შემდგომ მწერალთა კავშირის ყრი-  
ლობაზე მწერალთა კავშირის ერთ-ერთ  
მდივანდაც აირჩიეს!

აი ძმოსან კვაჭი და მერე როგორი!  
კიდევ ვინმე მკითხავს ახლა, – რუსთა-  
ველის პრემია როგორ მიიღო?  
როგორ? რანაირად? რატომ?  
ამ კითხვებს მე ნუ დამისვამთ!  
ეს კითხვა ისეთი თავსატეხია, რომ

# როგორი არ უნდა იყოს ადამიანი (ციკლიდან – ომი ბნელეთიდან)

უამრავი ფურცელი დამჭირდება ამოსახ-  
სნელად!

ერთი კი ვიცი, ამ საქმეში მიშველაძის  
სულღერმა მამამ, ძმამ, ბიძამ და ნათლიამ  
– შევარდნაძემ მიიღო მონაწილეობა!  
დანარჩენი?

უნდა მოვითმინოთ და ნება-ნება შევყ-  
ვეთ იმ უღრან, ბნელ ბილიკებს, მიშველა-  
ძე რომ დაიარება!

მიშველაძე, – რომლის შესახებაც „დი-  
ლის გაზეთი“ (1998 წ. 18 აპრილი) ჩემთვის  
უცნობი ჟურნალისტი (ან იქნებ მწერალი)  
ქალი, ციციო ჯაფარიძე, აღტაცებით (აღ-  
მაფრენით) შეყვარება-შეყვირებით!) წერს:  
„25 წლისამ დაიცვა საკანდიდატო დი-  
სერტაცია, 33 წლისამ – სადოქტორო დი-  
სერტაცია... 22 წლისამ გამოსცა პირველი  
წიგნი! და მას შემდეგ, მგონი, კალამი არ  
მოუცდენია. 40 წელი მთქნარებით და მუ-  
თაქაზე თავის დებით რომ არ იწერება,  
ცხადია!.. ბატონმა მწერალმა თავისი „მი-  
ლიონი“ პერსონაჟი ჩამოათვალიერა და  
რომ ვერ მიცნო, მკითხა: „რა გინდა, ჩემს  
ნოველაში მოხვედრა ხომ არ გინდა?“

ჟურნალისტი ციციო ჯაფარიძე, რო-  
გორც ჩანს, ჩინებულად იცნობს მიშვე-  
ლაძეს და დიდ მწერალ-ნოველისტად მი-  
აჩნია. მხურვალედ ესაუბრება მიშველა-  
ძეს და ამ უკანასკნელის ფრაზას – ჩემს  
ნოველაში ხომ არ გასურს მოხვედრა, კომპ-  
ლიმენტად მიიჩნევს. ქალბატონი ციციო  
გვეუბნება, რომ რევაზ მიშველაძე „100  
ახალი ნოველის“ ავტორია და საბოლოოდ  
მაცნო ვერ გაურკვევია, – რა საქმიანობას  
ენევა მის წინ მოკონაჩევ „ნოველისტი“.

ამიტომ ეკითხება: თქვენი ნაწილები „დო-  
კუმენტური მოთხრობების, ნოველებისა,  
პუბლიცისტიკა თუ მწერლობა?“  
ინტერვიუს დასასრულს, მეტად აღფრ-  
თოვანებული ქალბატონი ციციო გვახა-  
რებს: „რეზო მიშველაძე დატვირთული  
კაცია. გაგვიკვირდებათ (თვითონ რომ უკ-  
ვირს ციციოს და უზარა, ასე ჰგონია, სა-  
ქართველოში თითოეულ მკითხველსაც  
ასევე დაემართება! ჯ.დ.), როდის ასწრებს  
წერას. უნივერსიტეტში ლიტერატურის  
კათედრის გამგეა, გალაკტიონ ტაბიძის  
კაბინეტის ხელმძღვანელი, მწერალთა  
კავშირში პროზის სექციის თავმჯდომარე  
და პრეზიდენტის წევრი, ჟურნალ „ნუგე-  
მის“ მთავარი რედაქტორი, ქართული ფე-  
ნომენის აკადემიის პრეზიდენტი, ყოველ-  
თა ქართველთა მსოფლიო კონგრესის  
პრეზიდენტის წევრი, საზოგადოება  
„თვისტომის“ პრეზიდენტი, რუსთაველის  
საზოგადოების გამგეობის წევრი, ორი სა-  
მეცნიერო საბჭოს წევრი, მერიის მრჩე-  
ველთა საბჭოს წევრი და ყველაფერთან  
ერთად ერთ ნელინადმი დანერგილი „100  
ახალი ნოველის“ ავტორი, რომელიც რუს-  
თაველის პრემიაზეა წარდგენილი“.

აუჰ! კიდევ რამდენი რამაა რევაზ მიშ-  
ველაძე და დავინყნია ციციო ჯაფარიძეს...  
სამწუხაროდ, ამ ქალბატონმა გვონებ არ  
იცის, ვინ გახლდათ ცხოვრებული ოტია  
პაჭკორია, – ჯერ კიდევ საბჭოურ წლებში  
კომპარტიის მიერ რეპრესირებული და  
უნიჭიერესი კრიტიკოსი, რომელსაც,

განსხვავებით ციციოსი, სულ სხვა აზრი  
გააჩნია რეზო მიშველაძის შესახებ.

მოვეუსმინოთ ოტია პაჭკორიას, რომ-  
ლის სიტყვა დაბეჭდილია გაზეთ „ლიტე-  
რატურულ საქართველო“-ში (10, 2002 წ.)  
მცირე სარედაქციო კომენტარით:

„თუ რა ხვითი გამოგვერია სამწერლო  
ოჯახს მიშველაძის სახით, ამის შესახებ ჯერ  
კიდევ ოტია პაჭკორია წერდა თავის „უბის  
ნიგნაკში“, რომლის ეს საკმაოდ გახმაურე-  
ბული მონაკვეთი ქართული ლიტერატურის  
ისტორიაში უკვე შევიდა, როგორც პორტ-  
რეტის ხატვის ბრწყინვალე ნიმუში...“

და ამის შემდგომ ვკითხულობთ მართ-  
ლაც გასაოცარ განსაზღვრას, დახასია-  
თებას, რომელიც დიდი ოსტატის ნიჭი-  
თაა დაწერილი:

„ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს ისეთი  
პროდუქტი ეპოქისა, ისეთი თავმოყრა ავი  
და მდაბალი თვისებისა ერთ კაცში, ისეთი  
ფიზიკურად და სულიერად სლიბი, ლორ-

ნოვანი არსება, როგორცაა მიშველაძე...  
იგი ისე შემოდის ლიტერატურაში, ისე იკა-  
ვებს ადგილსა და სივრცეს, როგორც  
იატაკზე დადგრილი ზეთი მოჭონავს მოხუ-  
რული კარის ჭრილებში. წარმოუდგენელია  
მასთან ბრძოლა გაუსვრელად, შენ თვით  
გახდები ჭრჭყინი და მორალურად შებლა-  
ლული. მე წავიკითხე მისი ნიგნი, გამაოცა  
ემოციურმა სიჩქუნგემ და, საერთოდ, ყო-  
ველგვარმა უფიცობამ. მე არასოდეს არა-  
ვისთვის არ მისურვებია ცუდი, მაგრამ მე  
არ ვიცი ძალა, რომელიც ამ კაცს თავის  
ბნელ გზაზე შეაჩერებს. მასში უაღრესად  
ბევრია რაღაც ამგვარი, თუ შეიძლება ითქ-  
ვას, იმპოტენტის გაბოროტებისა ნორმა-  
ლური მამაკაცების წინააღმდეგ. რა ჩინე-  
ბული მასალა იკარგება იეზუიტთა ორდე-  
ნისთვის, მას ხელთ სულ სხვა რაღაც უნდა  
ეპყრას! ვაი, ქართულ სიტყვასა და აზრს,  
იგი ყოველ მცირე მონაკვეთზე შობს თითო  
ჯოჯოსა და მაჯლაჯუნას, რომელიც ადა-  
მიანების სულს სახადივით თრგუნავს“.

არ ვიცი, ბატონებო, ამის წამკითხვენი,  
რა ხასიათზე დადებთ, მაგრამ მე ნალ-  
დად ცუდად ვიგრძენი თავი.

ისიც შეიძლება გაიფიქრო, – ამ გან-  
მარტების შემდგომ, რაღა უნდა დაწერო  
კაცმა ისეთი, რომ ახალი რამ თქვა მიშვე-  
ლაძეზე. იმასაც იფიქრებს ზოგიერთი –  
იქნებ პირადი რამ წყენა ჰქონდა ოტია  
პაჭკორიას და რევაზ მიშველაძე სულაც  
არ არის ასეთი ჭუჭყიანიო!

ვეყო და ბატონებო! აბა, რისთვის ვწერ  
ამ სტორიონებს? სწორედ რომ ცხოვრეუ-  
ლი ოტია პაჭკორიას (და არა მხოლოდ მი-  
სი!) სიტყვების ახსნა-განმარტება მაქვს  
ჩაფიქრებული და განზოგადოებული!  
როცა ბოლოში გავალ, როცა გამოძევე-  
ბით, მერე ნახეთ, – ვინ გახლავთ მტყუნა-  
მართალი!

შეპირებულს ვასრულებ: მოვეუსმინოთ  
ან გარდაცვლილ ცნობილ მწერალსა და  
მეცნიერს აკაკი ვასაძეს („ლიტერატუ-  
რული საქართველო“ 49, 1989 წ.):

„მიშველაძის უდღესი ფაერი ჩივილია.  
ჩივილი ეს საქმეების გაჩაჩხვისა თუ თავ-  
დაცვის მისი ერთ-ერთი არსებითი  
მოთხოვნილებაა და უმთავრესი ხერხია.  
რეზო მიშველაძემ 70-იანი წლების და-  
საწყისში უშიშროების კომიტეტში (კგბ-ში,  
ჯ.დ.) უჩივლა ოტია პაჭკორიას და ჭაბუა  
ამირეჯიბს – ეს ნაპატიმრალი მწერლები  
მოკვლას მიპირებენ, რაკი მათ ის არ მო-  
ვეუთმინე, რომ სიცოცხლისტურ რეალიზში  
მიგინებინო. ოტია პაჭკორია და ჭაბუა ამი-  
რეჯიბი კიდევ დაიბარეს კგბ-ში. იქ, პოლ-  
კოვნიკ შ. ზარდალაშვილთან დაკითხეს და  
ხელწერილები ჩამოართვეს, რომ რ. მიშვე-  
ლაძეს არაფერს დაუშავებდნენ (კგბ ტყუ-  
ილ-უბრალოდ არავის იცავდა. საკუთარ  
ღვიძლ შვილებს კი ყოველნაირად, ჯ.დ.).  
როცა ჭაბუამ და სხვა მწერლებმა გა-  
კიცხეს, რეზო მიშველაძემ შემდგომ კომ-  
პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდი-  
ვანთანაც და შინაგან საქმეთა სამინისტ-  
როშიც იჩივლა (რა თქმა უნდა, იქაც მიეს-  
ვლებოდა! ჯ. დ.) ერთ-ერთ ლიტერატორზე  
– გადამკვიდა, ხულიგანია და მოკვლას მი-  
პირებსო... მიშველაძეს შეუძლია, ეს თუ

დასჭირდა, თეთრს დაარქვას შავი და მის  
მიერვე დაწერილ უმარტოვეს სიტყვასაც  
შეუცვალოს ფორმაც და შინაარსიც. ვთქ-  
ვათ დაწერა „არა“, მაგრამ მერე, თუ დას-  
ჭირდა, ასე განმარტავს: ჩემ მიერ დაწერი-  
ლი „არა“ მხოლოდ და მარტოოდენ „ჰო“-ს  
ნიშნავსო. მიშველაძეს გასდის ასეთი უცხა-  
დესი ოინები. საოცარია!.. მაგრამ გასდის  
ჯერჯერობით... რეზოს უნდა და „ფორმა-  
ლია“, უნდა და „არაფორმალა“, უნდა და  
– სტალინის დამცველია, უნდა და – საბჭო-  
თა მმართველობის მამამებელია, უნდა და –  
საბჭოთა მმართველობის მაგინებელია... ის  
ახანგრძლივებს თავისი მოქმედებით „დამ-  
ყაყების პერიოდს“ ქართულ სინამდვილე-  
ში, ამაში, პირდაპირ ვიტყვი, – ბრალი  
მთელ საზოგადოებას მიუძღვის. ამასთან  
დავძენ: რევაზ მიშველაძის აღზევებას ერ-  
თობ ეხმარებიან „ძლიერნი ამას სოფლისა-  
ნი“, ხელს უწყობენ და უქმნიან მოქმედების  
პირობებს, რაც ხელს უშლის ეროვნული  
გამოფიზილების პროცესს... მიშველაძე-  
ბას უნდა შეეკვეცოს ოფიციალური ხელ-  
შეწყობა და პირობები. მივმართავ პირა-  
დად მუხრან მაჭავარიანს, როგორც მწე-  
რალთა კავშირის თავმჯდომარეს: პრეზი-  
დენტში რევაზ მიშველაძე რომ ამოგდგო-  
მათ გვერდში და მის „გამოხტომებს“  
იტანთ – ეს არ გვეკადრებათ არც თქვენ და  
არც ჩვენ მწერლობას... არიან ჭაობის ბინა-  
დარნი, რომელთაც ტანკითაც რომ გადაუ-  
არო, ვერაფერს დააკლებ, ისეთი სლიბი ტა-  
ნი აქვთ, ყველანაირ დაწნეხას უსხლტება,  
განზე თავს ამოყოფს და ქედმაღლურად  
გაიღმიჭება: გაჯობეთ თუ არა? ჭაობიდან  
მოისმის – გაუმარჯოს საქართველოს ჭაო-  
ბებს და მის ბინადართ, – ვაჰა!“

აკაკი ვასაძე ასე ასურათხატებს რევაზ  
მიშველაძეს. საყვედურსაც ამბობს და  
მართალიცაა! ისე მიიყურძირა საზოგა-  
დოებამ, ისე მიიყურძირა მწერალთა კავ-  
შირის სხვადასხვა მმართველობამ, რომ  
დღეს, 2004 წელს, რევაზ მიშველაძე მწე-  
რალთა კავშირის მდივანია და ერთი ნახ-  
ტომილა რჩება თავმჯდომარეობამდე!

ბატონი აკაკი ვასაძე, გამწარებული  
საზოგადოების გულგრილობით, გაზეთ  
„ახალგაზრდა კომუნისტი“ (1989 წ. 7  
ნოემბერი „ყვარყვარისმის სინდრომი“) წერს:

„საქართველოში ეროვნულ-განმათა-  
ვისუფლებელი მოძრაობა რომ აზვიროთ-  
და, რევაზ მიშველაძემა, როცა დაინახა,  
აქედანაც შეიძლება რაღაცის „გამოდნო-  
ბაო“, მაშინვე შეეცადა ეროვნული მოძ-  
რაობის ნიღბით საკუთარი საქმეების  
ჩარხვას, მაგრამ სხვადასხვა ეროვნულ  
ორგანიზაციებში, მესვეურებმაც და მე-  
წინავეებმაც იგი ახლოს არ გაიკარეს (ი-  
ცნობდნენ!)... მიშველაძის ენერგიის მქონე  
კაცს შეეძლო ლიტერატორიც გამხდარი-  
ყო, მაგრამ – ამისთვის მწერლური პატი-  
ოსნება, იდეალება და თავმოყვარეობა უნ-  
და გამოემუშავებინა. იგი უფრო ყოველ  
ნაბიჯზე ისე იქცევა, თითქოს არასდროს  
უსწავლია (თუნდაც ყრმობის წლებში  
„ბიჭების“ წრეში), რა შეიძლება გააკეთო  
და რა არა! რა გეპატიება და რა არ გეპა-  
ტიება! ამავე დროს იგი სუსტიან თუკი შეე-  
ჯახა სიმართლეს, რომელსაც ვერაფერს  
უპირისპირებს! რევაზ მიშველაძე უმთავ-  
რესად სოციალური მოვლენაა!“

დაიხ, ცნობილი მეცნიერი და საზოგა-  
დო მოღვაწე, აკაკი ვასაძე, ჯერ კიდევ  
ათეულწი წლის წინ ამბობდა, რომ მიშვე-  
ლაძე „სოციალური მოვლენა“ ანუ სოცია-  
ლური პრობლემა გახლდათ! ცხოვრების  
კიბზე გზაგახსნილი რეზო მიშველაძე-  
ბი წინ არავის უშვებენ. მიილტვიან ზე-  
მით და პატიოსანი ადამიანების ადგილს  
იკავებენ. შემდგომ პედაგოგები შეიქმნე-  
ბიან და მთელ თაობებს წამლავენ! სწო-  
რედ ამას ჩიოდა თავის დროზე ბატონი  
აკაკი ვასაძე და საზოგადოების გა-  
მოფიზილებას ცდილობდა! თუმც ამოაღ!  
არც ადრე, არც გუშინ, არც დღეს არავინ  
დარდობს მიშველაძეთა პარპაშს! პირი-  
ქით – ჟურნალ-გაზეთები და ტელევიზია  
სიამოვნებით აბზრიალებენ უკეთურებს  
წალმა- უკულმა! შემდგომ, მოდის დრო და  
გაისმის ხალხის გმინვა – რატომ ვართ ამ  
დღეში?

ვეყო და ძმებო! ამ ყოფაში იმიტომ  
ვართ, რომ მიშველაძეებით იცხება არე-  
მარე! ქვეყანას ჭლეკი ანუ მიშველაძე  
სურთ შეჰყარონ და უკურნებლად აქცი-  
ონ!

გვამალ დავლიანიძე

# და იქდა ქალი იგი ჩრდილისა გაყვლოვანსა და იყო... ფრიად მწუხარე

**„ყოველთვის მოცნობადი მწერლებს შორის დაპირისპირებაზე“  
ინტერვიუ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე –  
მაყვალა გონაშვილთან ჟურნალი „რეიტინგი“, 03.06.2013 №22**

„ყოველთვის ვოცნებობდი მწერლებს შორის დაპირისპირებაზე“-ო, ამას რომ საქართველოს მწერალთა კავშირის „თავმჯდომარე“, პოეტი ქალი დაგინერს, ცოტა ეჭვი ქე უნდა შეგეპაროს ბევრ რამეში.

იმასაც ვფიქრობდით, ინტერვიუს „კორესპონდენტი“ მიჰქარავს რაღაცას-მეთქი, მაგრამ როცა ჩვენი „რესპოდენტის“ მიერ გამოთქმული „ბრძნული“ აზრი ტექსტიდან სათაურშიც ვიხილეთ გამოტანილი, მთლად კარგ ხასიათზე ვერ დავდექით.

ქალბატონო მწერალთა... „თავმჯდომარე“!

ცხოვრებაში მეტი „საოცნებო“ არაფერი გქონდა, რომ თქვენდამი „დაქვემდებარებული“ მწერლობის ერთმანეთის დაჭმა გაგხარებოდა?

„ჩაახრამუნება“ ერთი მწერალი – მეორეს და ამით ბედნიერი გახდებოდი?

ეეჰ, შე კაი ქალი!

ამას არ სჯობდა ერთი ლამაზი ლექსის დაწერაზე „გეოცნება“?

ალბათ, ყოველივე შემთხვევით წამოგცდა!

ჩვენ გვიპატივებია, თუკი დედოფალი მუზა გაპატივებს ამგვარ მკრეხელობას!

ამ წერილის წერისას წინ ორი ინტერვიუ მიდევს: პირველი – ჟურნალი – „რეიტინგი“ და მეორე გაზეთში – „ქართული სიტყვა“, გამოქვეყნებული.

მაშ ასე: ჟურნალი „რეიტინგი“ (03.06.2013, 22)!

რადგანაც შენი ინტერვიუს, საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი, ათკაციანი დელეგაციით ყარაბაღში „გასეირნებას“ შეეხება, სწორედ აქედან დავიწყებთ.

მკითხველს კი შევასხენებთ ჩემი და ალეკო გაბელაიას წერილს – „გასეირნება ყარაბაღში“... მწერალთა კავშირის სცენარით („საერთო გაზეთი“, 47 (231), 14-20; XI; 2012 წ.)

მოგვყავს ამონარიდი მ. გონაშვილის ინტერვიუდან:

„- აზერბაიჯანმა არასასურველ პერსონად გამოგაცხადათ, რატომ?“ – გეკითხებათ კორესპონდენტი.

„- როგორც აზერბაიჯანთან, ასევე სომხეთთან (!) დიდი მეგობრობა მაქვს. რებდა და დღესაც ასეა!.. სტუმრად მიმინვიეს სომხეთში ახალგაზრდულ ფესტივალზე, რომელიც ყარაბაღში (ხაზგასმა ყველგან ჩვენი – ა. ჩ.) ტარდებოდა... ვიცოდი, ეს საკითხი რამდენად მტკინველი იყო (?) აზერბაიჯანლებისთვის და იქაურ მწერალთა კავშირის წერილი გაუგზავნე. ბედნიერი ვიყავი ყარაბაღში დანახული სიყვარულის გამო, ამას მოჰყვა უარყოფითი რეაქცია ქართველებში. განსაკუთრებით აქტიურობდა ანთონო ჩხაიძე, რომელსაც ვითომ ჩემზე მეტად შესტივა გული ამ ორი ქვეყნის ბედზე და სარკასტულ გამოხატვებებს არ იშურებს“...

შენი არ ვიცი, ჩემო მაყვალ, რომელ მხარეს „შეგტივა“ გული – აზერბაიჯანისა თუ სომხეთისა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამ ინტერვიუშიც იგივე სისულელეს იმეორებ და ლამისაა დავჭყვდე: იქნებ, მიზანმიმართულად ც-მეთქი.

ბოლოს და ბოლოს როგორ ვერ გაიგა, ყარაბაღში სომხეთის ტერიტორია არაა, იგი აზერბაიჯანს ეკუთვნის და ამიტომაც ჩამოგკიდეს „პერსონა ნონ-გრატას“ მედალი!

ამიტომაც ავიკრძალეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხვირის შეყოფაც კი და თუკი ამას მოინდომებ, შეიძლება იქაურ ციხეში ყარაბაღელ სეპარატისტ მეგობრებთანაც მოგიწიოს გვერდი-გვერდ ყოფნა.

იმის მაგივრად რომ ბოდიში მოგეხადა აზერბაიჯანელი ხალხისთვის, კვლავ აყე-

ნებ შეურაცხყოფას? ერთხელ და სამუდამოდ შეიგნე, შენი უგუნური საქციელის გამო როგორ ჩრდილს აყენებ საქართველო-აზერბაიჯანის მართლაც კეთილმეზობლურ დამოკიდებულებას!

მკითხველმა სარკასტ ანთონო ჩხაიძეს, რომ არ დაუჯეროს, მივანვდით აზერბაიჯანის რუსულენოვან ინტერნეტ-საიტზე (Vesti az politika, 2012 წ. 24 ოქტომბერი, ავტორი ბახრამ ბახტიევი) გამოქვეყნებული სტატიის („В Ханиенди глава союза писателей Грузии признался в любви к Карабахскому народу“) მცირე ნაწყვეტს:

მაშ ასე, მოვუსმინოთ ბახრამ ბახტიევს:

„მაშინ, როცა აზერბაიჯანის და საქართველოს ხელისუფლება ორმხრივად აღრმავებს სახელმწიფოთაშორის დამოკიდებულებას, რაც, უმთავრესად, სტრატეგიულ მდგომარეობას შეეხება, ამ დროს საქართველოს რამდენიმე „წარმომადგენელი“ წყალს ამღვრევს საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობაში.

ორმაგად გვაშფოთებს ის გარემოება, რომ ამას სწადაინ შემოქმედებითი ინტელიგენციის არა უბრალო წარმომადგენლები, არამედ მათი... ხელმძღვანელები.

აზერბაიჯანისთვის ყველაზე სუსტად გილს ეძებენ, – ეს ყარაბაღია!

თუმცა მათ ქვეყანას უკვე ოცი წელია ანალოგიური ორი ჭრილობა გააჩნია – აფხაზეთი და სამაჩაბლო!

... განსხვავებით იმ სომეხი ჟურნალისტებისაგან, რომლებიც ცდილობენ დამალონ იმ უცხო სახელმწიფოს „სტუმარ-მოქალაქეთა“ სახელები, მე დავადგინე ყარაბაღში ჩატარებულ ფესტივალს რამდენიმე მონაწილის ვინაობა.

რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაცემა და შემფოთება, როცა სეპარატისტების სტუმრებს შორის დავინახეთ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მაყვალა გონაშვილის გვარიც, რომელიც ყარაბაღში ათკაციანი დელეგაციით ჩამოძანებულია.

ეს სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ მიაფურთხო აზერბაიჯანის კანონმდებლობას და მიაფურთხო საკუთარ ქვეყანასაც, რომელიც ასევე ეწამა სეპარატისმისაგან.

გონაშვილს ფესტივალის გახსნისას აღუნიშნავს, რომ „ბედნიერია იყოს არცაზნი“. (არცაზი – ყარაბაღი სომხურად – ა. ჩ.)

„მე თან მიმაქვს სითბო და სტუმართმოყვარეობა ყარაბაღელი ხალხისა და ვიმედოვნებ სტუმარ-მფლობელის მის მჭიდრო კავშირს“ – ესეც, მ. გონაშვილის სიტყვებია.

ბოლომდე არ გვეჯეროდა, მაყვალა გონაშვილის ასე გაუცნობიერებელი... საქციელისა, მაგრამ ყველა ჩვენი ეჭვი გაიფანტა, როცა თავად დაუუკავშირდით მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს.

გთავაზობთ მასთან საუბარს, შეუკვცელს და დიქტოფონზე ჩაწერის:

– ქალბატონო გონაშვილო, მონაწილეობით ყარაბაღში ამ დღეებში ჩატარებულ ფესტივალში?

– დიახ, ვმონაწილეობდი. მე იქ მკითხეს: რას იტყვიან ამ ჩემი ვიზიტის გამო ჩემი ბაქოელი მეგობრები?... ვუპასუხე, რომ პატივს ვცემ ბაქოში მყოფ მეგობრებს და იმ ადგილსაც, სადაც პოეტები ცხოვრობენ. ეს პოლიტიკური კი არა, პოეტური შესხვედრა იყო. პოეტები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და იურთიერთონ, რომ ჩვენმა ხალხმა ახალი ცხოვრება დაიწყო. აი, ჩემი შეხედულება. მი სსა მფიძრობ!

– მთიან ყარაბაღში ვიზიტით თქვენ აზერბაიჯანის კანონმდებლობა დაარღვეეთ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს კანონმდებლობითაც, საციციალური თბილისის გარეშე, აკრძალულია სეპარატისტული რეგიონების – აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მონახულებ-

ბა. იცოდით თუ არა, რომ აზერბაიჯანის კანონებს არღვევდით?

– არა, არ ვიცოდი!

– თქვენი ვიზიტის შესახებ საქმის კურსში ჩააყენეთ თუ არა თბილისში – აზერბაიჯანის საელჩო?

– არა!

– გამოდის, თქვენ თვლით, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე პოეზია კანონზე მაღლა დგას?

– ნუთუ მე აზერბაიჯანის კანონები დავარღვეე?

– დიახ. თქვენ არ მიგიღიათ ოფიციალური ბაქოსა და თბილისში – აზერბაიჯანის საელჩოს თანხმობა და უკანონოდ გადაკვეთეთ აზერბაიჯანის საზღვარი, რადგან მთიანი ყარაბაღი ჩვენი ტერიტორიაა...

– მე არ ვიცოდი, რომ აზერბაიჯანის კანონები დავარღვეე. ვიცოდი, რომ მივდიოდი მთიან ყარაბაღში, მაგრამ არ ვიცოდი, რომ ამით კანონებს ვარღვევდი.

– ნუთუ არ იცოდით, რომ მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის ტერიტორიაა?

საპასუხოდ წყვეტილი ზარები მომესმა. ცდა იმისა, რომ ხელმეორედ დავკავშირებოდი გონაშვილს, უშედეგოდ დამთავრდა.

აქ დავემშვიდობოთ ბახრამ ბახტიევს და იმ მეგობარ აზერბაიჯანელ კოლეგებს, რომელთაც ასე ძალიან ეტკინათ გული.

აბა რა, ბახრამ, – არ იცოდა და რა ექნა! არც ახლა იცის, ამდენი უსიამოვნებების შემდეგ ჟურნალში – „რეიტინგი“, – კვლავ იგივე სისულელეს რომ იმეორებს!

ახლა თავად განსაჯოს მკითხველმა, რატომ გამოვიჩინე მე სარკასტული გამოხატვებით და რას ვერ ხვდება ქალბატონი მაყვალა!

მე არც ჩასაფრებული ადამიანი ვარ და არც ვისიმე ჯინი მჭირს. ეს, უბრალოდ, მცირე ნაწილია იმ ბრალდებებისა, რაც აზერბაიჯანელმა მეგობრებმა ბაქოდან გამოგვიგზავნეს იმ ვიდეოკასეტებთან ერთად, სადაც ყარაბაღელი „პოეზიის მოყვარული“ სეპარატისტების მიერ აზერბაიჯანელი ხალხის საშინელი ხოცვა-ჟლეტაა ასახული!

რაც შეეხება მაყვალა გონაშვილის მიერ აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარისადმი „ვითომდა“ გაგზავნილ წერილს, ხომ არ გაგვიმხელს, რა პასუხი მიიღო ასეთი – მიდი, მაყვალ, იმოგზაურე ყარაბაღში, სასომხეთისა რომ გგონია და ჩვენც აგერ ვდგავართო?

ისე, ბატონ ანვარისაგან (აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე – ა. ჩ.) ეს არც გვიკვირს!

კაცს რომ დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდება და საკუთარ იუბილეს სამშობლოში კი არა, აზერბაიჯანისთვის „პერსონა ნონ-გრატას“ გამოცხადებულ, ძვირფას „კოლეგასთან“ ერთად გადაიხდის, რა უნდა ელაპარაკო?!

ეტყობა ჩვენსავით, ბაქოს სამწერლობო წრეშიც არაა მთლად დალაგებულად საქმე!

ისე, ინფორმაციისთვის:

აზერბაიჯანშიც გავრცელდა ამბავი, რომ საქართველოში მწერალთა კავშირის ალტერნატივა, – ეროვნული აკადემია შეიქმნა და მალე „გამოცდილების გასაზიარებლად“ აპირებენ იქაური მწერლები ჩამოსვლას...

და იმ მწერალთა კავშირიდან, სადაც თითოეული მწერლის ყოველთვიური დახმარება სახელმწიფოს მხრიდან... ათასი დოლარია!

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში კი არა, ჩვენთან – თბილისში აპირებენ ჩამობრძანებას.

ხანდახან თურმე ჩვენც შეგვიძლია ვინმეს გამოვადგეთ!

ეს ტკივილნარევი ხუმრობით! ახლა, თქვენეული ინტერვიუების, რამდენიმე, სხვა „ამოდასამენ“ მონაკვეთებსაც ჩავეყვით.

კვლავ გაგავრძელოთ ჟურნალ „რეიტინგიდან“:

„- ვანო მერაბიშვილი ძალიან ნიჭიერი კაცია და გულსატკენია, რომ მის სახელს

ასეთი გადაცდომები უკავშირდება“ – ამბობს ერთგან.

„- რაში გამოიხატება მისი ნიჭიერება?“ – ეტყობა კორესპონდენტიც დააბნია ასეთმა „გულახდილობამ“.

და პასუხიც იქვეა:

„- მისი თანამშრომლებისგან გამიგია, რომ თბილი, ყურადღებიანი, გულისხმიერი, მაგრამ ამავდროულად მკაცრი მმართველო იყო, პოლიცია მისი მინისტრობის დროს ჩამოყალიბდა და ხალხისთვის საინიმიდო ორბანოდ იქცა“.

დაიკო მაყვალა!

ან ვანოსაგან და იმათი ნაციონალური ხროვისგან განამებული ქართველი ხალხი გგონიათ სულელი, ანდაც საკმაოდ „გონივრულად“ გეშლებათ რაღაც!

ასეთი აზრიც „გაგვიჩნდა“: მოდით, მწერალთა კავშირის სახელით აქცია მოვანყობ და მოვითხოვთ ომბუდსმენი, შუამდგომლობა და ბულისსმენი, „სახელმწიფოს ხერხემლად“ შერაცხილი ვანო ჩქას დაუყოვნებლივ გათავისუფლება!

კაცს ხომ უნდა დაუფასოსთ ამაგი!

მერე, როცა ოთხმოც წიგნ-წაკითხული, ნიჭიერი ვანო საკნიდან გამობაჯბაჯდება, იქვე დავხვდეთ, წითელი ვარდებიც მიუძღვნათ და მწერალთა კავშირის გამაწმამლებელი წიგნაკიც მივართვათ!

არაა ღირსი თუ რა?

სხვათაშორის სანდრა რულოვსი თუ ზარზემით გაანვერიათ, „განათლებულმა“ ვანომ რაღა დააშავა?

თქვენი „ადვოკატობის“ შემდეგი „სამიზნე“, კულტურის ყოფილი მინისტრი ნიკა რურუაა:

„... ასევე სიკეთე მახსოვს ნიკა რურუასგან. კონკრეტულად „მწერალთა კავშირის“ კუთვნილ შენობაში დაბრუნებაზე იყო საუბარი, როცა მან თქვა, შენობის რემონტი როგორც კი დამთავრდება, ბარაკშივე ფართს მიიღებთ“...

ძვირფასო, მწერალთა... თავმჯდომარე!

ხომ უნდა დაუუკვირდეთ რას ვამბობთ, თორემ მარტო ცარიელი სიტყვების რახა-რუხიდან არაფერი გამოვა.

თქვენ ხაზს უსვამთ, რომ ეს მწერალთა კავშირის „კუთვნილი“ შენობაა!

ისიც კარგად იცით, რომ შენობიდან უკანონოდ გამოგვადევნა სწორედ რურუამ და სააკაშვილის მთელმა ხროვამ.

და ისიც გვეჯერა, რომ საკუთარ ქონებას როდესმე დავიბრუნებთ!

მაშ, რაღა გიხაროდა? – ნუთუ ის, რომ „შენობის რემონტი როცა დამთავრდებოდა, ბარაკშივე ფართს მიიღებდით“?

რადგან გაგვიგია, რომ კარგი დიასახლისი ბრძანდებით, ვთქვით, ერთ მშვენიერ დღეს, გემრიელი მჭადი გამოაცხვეთ. შემოგივარდათ სახლში ცხვირგასიებული და მკლავებკუნთა მეზობელი, საკუთარი ხელით ავადგებინათ ცხელი კეციდან ის ჭადი, წავართვათ და წასვლისას მცირე ლუკმა მოგიტეხათ, თან დაგიბარათ, მაღლობა მითხარი, ასე რომ მოგექეცი, თორემო!..


კი, მაგრამ ეს უნდა „გაგხარებოდათ“? ხომ უნდა დაუფასოსთ ასეთი ამაგი ნიკა რურუას?

მთელი საქართველოს გასაგონად ვამბობთ: სწორედ, სააკაშვილისა და რურუას მიერ „მწერალთა-სახლის“ დირექტორ-მანდატურად (დღევანდლამდე!) დანიშნული ვინმე ნატა ლომოური ცხვირს იშვიათად გვაყოფინებს მწერალთა სასახლეში და თუ „მადლი მოისხა“, მცირევადიან, ნუთი-ნუთზე და წამი-წამზე გათვლილ ხელშეკრულებებზე გვანერინებს ხელს, თანაც შიგა-შიგ „გვმოძღვრავს“ კიდევ, კარგად დაიხსომეთ – ეს თქვენი სახლი არააო!

აბა, ვისი ჯანდაბისაა?

მაშინ შეუტყვალონ სახელწოდება და დაწერონ ასე: „ქართველი ხალხისაგან შეძლებული ნაციონალური მოძრაობის... დაცვის კლუბი“.

# ჩვენთან, ჩვენთან, ჩვენთან!




გოგი ხარაბაძე

## სოდომი

საშინელი ამინდია, ალბათ ისეთი, იმ დღეს რომ იდგა, როცა აბრაამი სოდომის დასაცავად ღმერთის წინაშე წარსდგა. არ უხდება თბილისის ასეთი ამინდი. ძვალბილი მატანს მისი ცვალებადობა. სტუდიისკენ ვიძრებით... ასეთ დღეებში ამინდიც იძულებულია უკან დაიხიოს. სხვა გზა არ რჩება. დღეს სოდომით ვინც...

„მიეახლა აბრაამი ღმერთს და უთხრა: ნუთუ მართალ კაცს ბოროტეულთან ერთად დაღუპავ? იქნებ აღმოჩნდეს ორმოცდაათი მართალი მაგ ქალაქში? ნუთუ დაღუპავ და არ შეინჯალებ მაგ ადგილს ორმოცდაათი მართლის გულისათვის, მანდ რომ არიან.“



უთხრა უფალმა: თუ ვპოვებ სოდომქალაქში ორმოცდაათი მართალი, შეინჯალებ მთელ მაგ ადგილს მათი გულისათვის“. მოდი და ნუ აფორი-აქდები. ნუ აგეშლება ფიქრები. ნუ დაიწყებ პარალელების გავლებას... დღეს რა ნაკლები უზნეობაა,

ნაკლები სისასტიკეა, ნაკლები დაუნდობლობაა?

გზად იპოდრომს უნდა ჩავუარო. მანქანები რამდენიმე მწკრივად არიან ჩახერგილები. ზღვა ხალხია შეკრებილი. ვინ არიან? ჩემიანები, ჩემი თანამედროვენი, ჩემი თანამემამულეები. რა უნდათ? პროტესტის ნიშნად იკრიბებიან. სხვადასხვა ფერის დროშების ზღვა... მოხუცი, ახალგაზრდა, ხეივანი, ქალი, კაცი... ზოგი მორბის, ეშინია არ დაავიანდეს... ზოგი მანქანის დაყენებას ლამობს... ზოგი უკვე დაკავებული აქვს ადგილი. ხალხი ყალყზე დგას, ესმის კი ვინმეს მისი ხმა... უფრო სწორად ვინმეს კი არა, მათ, ვინც უნდა გაიგონოს?!

„ორმოცდაათს რომ ხუთი დააკლდეს? ნუთუ დაღუპავ ამის გამო მთელ ქალაქს? უთხრა: არ დავეღუპავ თუ ვპოვებ იქ ორმოცდახუთი“.

იქნებ მეც აქ უნდა ვიდგე, ხომ მესმის მათი ხმა, მათი სატყვიარი.

მესმის, როცა ამბობენ: „არ იქნება სამართალი, არ იქნება მშვიდობა.“ თუმცა, ყოველთვის მეზიზღებოდა ყველაფერი კოლექტიური. არც ახლა ვიზიარებ ყველაფერს, ახლაც მარტო ვარ აბრაამს, ღმერთს და რამდენიმე უახლოვეს ადამიანს შერჩენილი. არა, არ მეხუმრება! იქნებ, აქ უნდა დავრჩე, ამ მემამბოხე ხალხთან, რომელთა დაუღლებლობას, მოთმინებას, თავდადებას ნამდვილად პატივს ვცემ? არა, მე ვერ გავალ ქუჩაში, ჩემი პროტესტი, ჩემი აქცია იქ არის, სტუდიაში, მიკროფონთან. რამხელა საშუაო მაქვს წინ, მთელი ბიბლიაა ჩასაწერი.

„უთხრა აბრაამმა: ნუ გამიწყობა უფალი და ერთხელაც ვიტყვი: ათი რომ აღმოჩნდეს? უთხრა: არ დავეღუპავ იმ ათის გულისათვის.“

არადა, არ აღმოჩნდა, არც ათი მართალი არ აღმოჩნდა იმ დროს სოდომში, აქ?

არა, ჩვენთან არის, ნამდვილად არის და თანაც არა ათი, ბევრად მეტი! ბევრად! ბევრად? თავს ვიმშვებ? არა რატომ? რომ არ იყოს, სოდომ – გომორივით ხომ გავგასწორებდა უფალი მინასთან...

არა, ნამდვილად არის, მაგრამ ისეთი რომ ბევრია, ვისაც ღამე არ უნდა ეძინოს შიშისაგან? - კი მაგრამ, მე ვინ მომცა მათი დახარისხების უფლება? არა, ისე ჩემთვის ვითვლი... ჩემთვის მეფიქრება...

რას ვერ ვიყოფთ? მინას, ფულს, ძალაუფლებას...

სასამართლო? ნეტა რამდენ მოსამართლეს, ძინავს ღამე მშვიდად...

ხალხის აბუჩად აგდება თუ ითვლებოდა ნეტავ სოდომში ცოდვად?

და „ნავიდა უფალი, როგორც კი შეწყვიტა ლაპარაკი აბრაამთან.“

ამ სიტყვებზე ხშირად ვფიქრობ. მარტო სიტყვებიც არ არის. ტვირთია – ზნეობრივი, მორალური, ადამიანური. სიტყვა ხომ უფრო იმით ფასდება, თუ ვინ წარმოთქვამს მას.

რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ქართული აუდიოვიზუალური წარდგინებაზე ბრძანა, ეს არის საუკუნის პროექტი, ხოლო მისი შემქმნელები ბიბლიის თანამედროვე გადამწერნი.

„საუკუნის პროექტი... ბიბლიის თანამედროვე გადამწერნი...“ ხანდახან ვფიქრობ, ნუთუ ეს ჩემი გაკეთებულია? ამ დროს, როგორც წესი, უხარიათ და არ სჯერათ.

მე მიხარია და მჯერა კიდევ, მაგრამ, ამავე დროს, არის ამ შეფასებაში რალაც, რაც მუდმივად მაფორიაქებს და არ მასვენებს. ალბათ ეს არის მოვალეობის გრძნობა, პასუხისმგებლობა მაღალ ფასეულობათა წინაშე.

საქმეც ხომ მეტი არაფერია – მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

## მაკაბელები

მოსეს ხუთნიგნეული და მეფეთა ისტორიები უკან მოვიტოვე. ახლა „მაკაბელებს“ ვეჭიდავები...

ო, როგორ ეურჩება ადამიანი ღმერთს, როგორ ვერ ელევა მინიერ ვნებებს. რამდენ სისხლს ღვრის... რატომ ვერაფერი ისწავლა საკუთარი ან სხვისი გამოცდილებიდან? თუნდაც, ჩვენ, ქართველებს რა გვასწავლა ილიას მკვლელობამ, გამსახურდიას გაქცევამ, შევარდნადის გადაგდება, გალაკტიონის თვითმკვლელობამ? რა გავითვალისწინეთ? რაზე ჩავფიქრდით? ან ბიბლიამ, მისმა ამოწმურავმა სიბრძნემ, საითკენ გვიბიძგა, რა დალექა ჩვენს სულზე? ან ამ ფირფიტებს მოუსმენს, ვინმე? იქნებ, ფუჭია ეს გარჯა?

რატომ მიჩანჩალებს ეს უდიდესი ისტორიის ქვეყანა ასე სანყლად იმ სინათლისკენ, რომელიც გვირავის ბოლოს უნდა გამოჩნდეს...

„ფრიად ფილოსოფიურ საგანზე მსურს საუბარი:

განაგებს თუ არა ვნებებს ღვთისმოსავი აზრი. მართებული იქნება ჩემგან, რომ გირჩიოთ მიჰყვეთ ფილოსოფიას.

რადგან ეს საგანი აუცილებელია ყველასათვის, ვინც ცოდნას ეძებს, ამავე დროს, ის შეიცავს ქება-დიდებას უმაღლესი სათნოებისას, როგორც არის გონივრული განსჯა“.

არის მაკაბელებში კიდევ ერთი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი, ხაზი. ბერძნების მიმდევარს, იასონს, რომელიც ეთნიკურად ებრაელია, მისი ქვეყნის „გაბერძნება“ „გაელინება“ უნდა და ამ საქებარ საქმეს ბერძნული სასწავლებლების – ლიცეუმების – გახსნით იწყებს. იცის ბიჭმა, რა მნიშვნელობა აქვს სასწავლებელს! როგორ შეილსაც აღზრდი, ისეთი ქვეყანა გექნება. რასაც ასწავლი, რა ენაზეც ასწავლი, იმას დაგიბრუნებს...

კიდევ ერთი დეტალი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. ებრაელებს ნაციონალური ქუდის ტარებას უკრძალავს. ისიც კარგად იცის, ეროვნულის, ტრადიციულის დაკარგვით რომ იწყებს ერი კვდომას.

ბევრი რამით გავს ჩვენი ისტორია, ებრაელებისას და იმიტომ მომხვდა იასონის ამბავი განსაკუთრებით გულზე.

ძველი რომ არ გავიხსენო, როცა გათათრებას ან გარუსებას გვიპირებდნენ, ახლაც საკმარისად შთაბეჭდილად მიდის – გავერობებოდა ან სულაც გაამერიკელების მცდელობის პროცესი.

მაგრამ ამ საქმეში, რუსეთი მაინც ჩემპიონია.

ჯერ კიდევ ეკატერინე II კარისკაცს გრაფ პანინს ჰქონდა ასეთი ფორმულა: „Душа Русская, Тело тамашнее“ და რუსული სულის ქართველების გამოყვანის იდეა აწვალდა. მეორე მაგალითი, სულმთლად ზღაპარს ჰგავს, მაგრამ ამის საბუთებიც არსებობს. მოსკოვის მეფემ თედორე ივანეს ძემ თავის ტიტულს მიუმატა სიტყვები – „ივერიის ქვეყნისა და ქართველთა მეფეების ხელმწიფე“. ეს მოხდა 1586 წ. სად მოსკოვი და სად ივერიაო, იკითხავთ. ასეც იყო. მაშინდელი სიტუაციის მიხედვით, რუსეთს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა საქართველოს ხელში ჩაგდებასა, მაგრამ მიზანი და სურვილი რუსეთის მეფეებისა კარგად ჩანს.

აი, ვისი მემკვიდრეები იყვნენ რუსი კომუნისტები, რომლებმაც პანინის ფორმულის თავისებური ვერსია შექმნეს – და ფორმით ვითომ ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საქართველოს რესპუბლიკა ააშენეს...

ნეტა რუსი ისტორიკოსები და პოლიტიკოსები არ იცნობენ ამ წყაროებს, თუ არ უნდათ რომ იცნობდნენ...

მოკლედ, დიდი ვერაფერი ისწავლა კაცობრიობამ... მაკაბელების დროიდან მოყოლებული.

## არა... პატრონო სტანისლავსკი...

თექვსმეტი წლის გახლდით, როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე მოვხვდი. თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი „მასოვკაში“ ვთამაშობდი. თეატრს ვამბობ, მაგრამ ვტყუი. ის ტაძარი იყო ჩემთვის, ნამდვილი ტაძარი.

რეპეტიცია უნდა დაიწყოს. ყველანი მზადყოფნაში ვართ.

ახალგაზრდები გაუბედავად, მორიდებით სიღრმეში ვდგავართ, კულისებს აკრულები. ჩვენზე წინ, სცენაზე „დამსახურებულები“, წინაღობის ბოჭქმური თავგადასავლებით აწონებენ ერთმანეთს თავს, მხოლოდ ჩურჩულით. ავანსცენაზე კი „სახალხოები“, თეატრის ელიტა

„ვალაჟნათ“ გადი-გამოდის.

უზენაესი – ღმერთო, მაპატიე! – თეატრის მთავარი რეჟისორის მობრძანებას ველით მო უთმენლად.

„ლაით“ დაძაბულობაა.

მთელი ყურადღება იმ კარისკენაა მი პყრობილი, საიდანაც „ის“ უნდა შემოვიდეს...

და აი, დგება ნანატრი წუთი, კარი იღება და სცენაზე „მის“ ნაცვლად გაბეღულად შემოაბიჯებს მუქ მწვანე კოსტიუმში გამონყობილი მამაკაცი, „ვედროთი“ ხელში.

აბსოლუტური სიჩუმეა. მხოლოდ წყლის თხლფათხლფი ისმის ვედროში. მამაკაცი კვეთს სცენას, ჩადის პარტერში, სადაც რეჟისორისათვის განკუთვნილი პატარა მაგიდა დგას და იქვე ამაყად დგამს ვედროს.

მხოლოდ ამის შემდეგ, პაპიროსის ხრჩოვით შემოგუგუნდება თეატრის სამხატვრო ხელ მძღვანელი, ლეგენდარული დოდო ალექსიძე, გამიერებს ზუსტად იმავე მარშრუტს, რაც ვედროიანმა შეასრულა, და მაგიდას მიუჯდება.

რეპეტიცია იწყება. სიმართლე გითხრათ, არაფერი მესმის, არც – „ზეამოცანა“, არც – „გამჭოლი მოქმედება“, მხოლოდ ვედროიანზე ვფიქრობ.

მერე მიხსნიან: დიმიტრი ალექსანდროვიჩი იმდენს ენევა, ხანძარი რომ არ გაჩნდეს, წყლიანი ვედრო სულ მის გვერდით უნდა იყოსო.

მერე კიდევ უფრო საკაიფო ამბავს იხსენებდნენ. ეს მეხანძრე ხორავას დროსაც აქ მუშაობდა. მხოლოდ იმას კულისებშიაც უკან დასდევდა ვედროთი, რადგან ხორავაც ალექსიძესავით უსაშველოდ ბევრს „წევდა“ პაპიროსსო.

ახლა მოდი და წარმოიდგინე ხალხით გადაჭედილი, გასუსული დარბაზი;

სცენაზე, მსოფლიო დრამატურგიაში ყველაზე მძაფრი ვნებები, დეზდემონა საძინებელში ელის ოტელოს. ჯერ არავინ უწყის, მოახერხებს თუ – არა ეს უბედური, უდანაშაულო ქალი უკანაკნელად ლოცვის წარმოთქმას.

ამ დროს კულისებში ტყავის ბოტფორდებში, ოქროს სამკაულებში – ჯაჭვებში, ბუჭებში, მედალიონებში – ჩამჯდარი, ჩახავრდებული, გიგანტი მავრი – ხორავა – მშვიდად ექაჩება თავის განუყრელ „კურორტის“.

... უკან კი ჩვენი ნაცნობი ვედროიანი! და არავინ იცის, ვინ უფრო ღელავს:

დარბაზი – დრამატული, ცრემლიანი სცენის, დეზდემონა – უკანასკნელი ამოსუნთქვის თუ ვედროიანი – სიგარეტის მოლოდინში?!

ამ დროს გაისმის: ბატონო აკაკი, ბატონო აკაკი, თქვენი გასვლა!

... და ხან ახალანთებული, ხანაც ნახევრადმონეული პაპიროსი (ეს იმაზე დამოკიდებული, რა რიტმში თამაშობენ იმ დღეს მსახიობები!) შიშინით მიფრინავს ვედროსკენ. ქრება ერთი ხანძრის საშიშროება და ინთება მეორე ხანძარი – სცენაზე!!!

მავრი, რომელმაც, ეს-ეს არის, წარმატებით ჩააქრო „კურორტი“, დეზდემონას საძინებელშია!

ვედროიანის ზემოცანა შესრულებულია!!! არა, არა, ბატონო სტანისლავსკი!...

თეატრი გარდერობიდან არ იწყება!







ლევან მასაძე

ვარ მათხოვარი

ო, რა ჯიუტად იცის შეჩენა  
კიკეთის მთებში კოჯრის ხედებმა,  
რა უცნაურად იცის შერჩენა  
როცა დროც აღარ მეიმედება!

ქცეულა ციხედ სულისთვის ყოფა,  
ზრუნვას ჩაუკლავს გულში ვარდები,  
მე ეს ზაფხული კვლავ არ მეყოფა  
ნამტირალევი ფოლიანტებით.

მკათათვის ღამეს ჭრიჭინა მუხნარს  
შემორევია სურნელი ფიჭვით,  
მიძინარე ქართლოსს კაბადონს უხნავს  
ახალი მთვარე დარდით და იჭვით.

ნელ-ნელა ვკვდები სიყვარულისგან,  
ვარ დაჩეხილი ზურმუხტის ლახვრით!  
და ვერ მოსწრების სინანულისგან  
ვფლანგავ სისხლისფერ ღვინოებს ზრახვით.

მიღადრავს განცდას ნაზი სურნელი  
ამღერებული ორქვიდების,  
როგორც ოცნება განუკურნელი,  
გადაკარგული სიმშვიდების.

ობლად ყეფს ძალი მგლის სუნის შიშით,  
და მიფრთხილებს პეპელას შუშად,  
და მეცოდება უღონო ფიქრით  
მიტოვებული ბავშვები მრუშად.

ვარ დადალული და დაღვნილი  
მღვრიე და ზანტი აღმოსავლეთით  
და მომდევს ქარში თმაანენილი  
იდუმალების მიუსავლეთი!

არც პოეტი ვარ და არც ვაჭარი,  
ვარ მათხოვარი დროის ყოვნების,  
არც ლომგული ვარ და არც ლაჩარი  
სიკვდილთან ასე მიახლოებით!

ო, რა ჯიუტად იცის შეჩენა  
კიკეთის მთებში კოჯრის ხედებმა,  
და რანაირად იცის შერჩენა  
დაღლილ თბილისად ნაფრენ გედებმა.

15 ივლისი, 2013, 1:45,  
კიკეთი

სამადლო

ძალიან ფრთხილად დაისობს  
თრიალეთს ისლის ქედები,  
ზაფხული ძლივსლა მაისობს  
ცაზე ცისფერი გედებით!

შემეცოდება ყოველი,  
ამ საოცრების მომსწრები,  
ჟამთა ყოვნების მთხოვნელი  
შვილი მარადი ოცნების!

სევდა ლხინია გულისა,  
მისი სიკარგის მთხოვრებელი,  
მეხოტბე სიყვარულისა,  
ნატვრაში მანათობელი!

ჩვენ დარდიმანდად ვერთობით  
ქალაქის არ გახსენებად,  
აქ, სადაც დაღლილს მეფობით,  
თამარს უყვარდა სვენება.

მწვანეში თეთრი სუფრები,  
ქალთა კისკისი, შვილები,  
სიმშვიდის ნასაჩუქრები  
ხილვები ქროლვით გრილები!

სიმღერის ნელი ნარნარი,  
საუბრის მზერით სვენება,  
თითქოს ეს დინჯი სამხარი  
გათელეს რულის ცხენებმა...

ნეტავი რითი დავღალო  
ეს რინდი განუკურნელი?!  
ან რა სურნელში გავცვალო,  
მკათათვის მოტკბო სურნელი.

იქნებ არც ღირდეს მცდელობად  
ჩახატვა უთქმელ ხვალისა,  
შეგრძნების გაურკვევლობად  
ამრევი მზის და მთვარისა!

მე ამ თბილისის გარენში,  
არ მაინყდება ცხინვალი,  
სოხუმში მტრების თარეში,  
და ზღვა ცრემლებით ბრწყინვალე!..

რა სინანულით დაისობს,  
თრიალეთს სიზმრის ქედები,  
ვილხენ და ველარ ვმაისობ,  
ვუმზერ და ვერ ვიხედები!

13 აგვისტო, 2012,  
ჭალა

მაყვლის სიტკბოში

მაყვლის სიტკბოში ჩავფლანგე დარდი  
ან გარდასული სიყრმის დღეების  
და მწარე ყოფა, ჩემზე ფეხმარდი,  
ველარ მაშინებს შემოშტერებით.

ხარბად ვიარე მკერდმოღელილმა  
მშობლიურ მიწის მთიან მიწდვრებზე,  
ვერ გაგებულმა, არ მოსმენილმა,  
ვღვარე ცრემლები მზიან რიდეზე!

როგორ მწყუროდა... როგორ მშიოდა,  
ვერ კი ვამონე სიავეს სული!  
ქართველის ყველა მარცხი მტკიოდა,  
და ვერ ვშველოდი მას გულმოკლული!

და აწი იქნებ ახლებმა ზიდონ  
თავისი წილი ქვეყნიერება,  
და დათმენაში იპოვონ თვითონ  
ამ ქართველობის ბედნიერება.

მაყვლის სიტკბოში ჩავფლანგე დარდი  
ან გარდასული სიყრმის დღეების...  
9-10 თებერვალი, 2013, კიკეთი, ანგინა

ჭალა

უცნაური ვერხვების მობაასე სულები,  
საუკუნეთ ვეხები, წყლებში ვეჩურჩულები.  
ამ მიდამოს, ამ მიწას ვერ ერევა ომები,  
მიტოვებულ კერიის ასავსებად მოვედი.

შემოვევლე ამ ჭალებს, გავდე მფრინავ  
ოცნებას,  
აქეთ ყანა მახარებს, იქით ხილვა ცოცხლდება.  
რატომ ვერ მოგვინყვია გალოკილი ევროპა,  
რა შვებაა, ვისია დროთა მოუსვენრობა.

ღმერთო, ბედნიერი ვარ, ვერ გამოვთქვამ  
შვებასა,  
რა მსუბუქად ვმღერევიარ სოფლის გათენებასა,  
სოფლის დაღამებასა,  
სოფლის მოსვენებასა,  
სოფლის მოფერებასა.

სუფთა სუნთქვით, სრული ხმით, ზაფხულს  
დანაფებული,  
შვილთა თქმათა ამოთქმით, ცქერით  
გახარებული.  
ღელეა და აბრუნებს დანაფქვილარ წისქვილსა,  
ჟოლოა და აღურჯებს ორლობეში სიყმილსა.

იქით შავმორევა საცურაო ტბორებით,  
ტარობის მტკრევა ტომრებით და გოდრებით.  
რძენარევი თხილია ნაადრევი ივნისი,  
ოდნავ კი სირცხვილია: – აღარ მინდა თბილისი.

აღარ მინდა ზამთარი, აღარ მინდა სკოლები,  
ჩემი სახლი აქ არი, სიზმრებად ნაცხოვრები.  
აქ დამნათის კედლიდან სახე დეკანოზისა,  
კუზნეცოვის თეფშიდან ხმა ჩამესმის კოვზისა.

აქ ვამთელე ავეჯი, აქ ვუხამე წნულები  
და აქედან წავედი გამრავლებად წყლულების.  
იქნებ ვერც კი გავძლებდი მე აქაურ ზამთრებში,  
ბარდნისას შევალბედი ჭიშკარს თოვლის  
ნამქერში!

და მოწყენით ვივლიდი უახლოეს სახლამდე,  
გათოშლილი პირიმზის უიმედო დაღლამდე.  
იქნებ არც ვივარგებდი ჭაპანწყვეტის ყოფაში,  
ზედმეტ ჭაჭას დავლევდი უვარგისად თრობაში.

დამარცხებით ნარცხვენი ჩავიდოდი ქალაქში,  
მოკითხვებით, დაღბენით, უდარდელ  
ლაპარაკში!  
გავატანდი თამბაქოს რაინდობის მცდელობას,  
ზღაპრად და საარაკოდ არშემდგარ  
ქართველობას.

მაგრამ ვცდიდი მაინცა, იქნებ რამედ მევარგა,  
სანამ წლებმა დამნისლა, სანამ შნო დამეკარგა.  
იქნემ ვცადო მაინცა წინაპართა ქველობა,  
იქნებ ვცადო მაინცა ნამდვილი ქართველობა!..

2 ნოემბერი, 2010



# რეპრესირებული პოეზია

მგრძობიარე ხმის პოეტს, პოლიტიკასთან ნაკლებად დაკავშირებულ ხარითონ ვარდოშვილსაც (ნიკოლაიშვილი) კი „უეცარი ავონია“ დაემართა, რადგან „ასეთი იყო უეცარი საშიშროება, სტიროდა მწარედ საქართველო და სასოება“.

აი, როგორ იყო იმ დროს პოეტის თვალთ დანახული მისი სამშობლო:

## უეცარი ავონია

მოდის ხმაური: ნამქერია მისი სახელი, უფსკრული გელის ჯოჯოხეთის თვალის გახელით – ამბობდა ქარი აღრუული საშინელებით, მიწა ჰკიოდა ავსებულნი თავის მკვლელებით, ნისლიან არეს ევლებოდა ცეცხლის მახვილი, ისმოდა გრგვინვა აღსასრულის გამომსახველი, თოვლიან თივას დამდაგველი ალი ეკიდა, სიკვდილის ჩონჩხი ზეცას თაღზე გადმოეკიდა, იყო ძახილი: „უნდა მოკვდეს დღის სატიკივარი, ნათელი გაჰქრეს ცრემლებიან ღრუბელთა ღვარით და განიბანოს ეს ქვეყანა წარღვნის ალებით, მიწა აივსოს განწირულთა თავის ქალებით, განსაცდელის აღს ვერაფერი ვერ შეეფაროს, ვისაც მოეკლას, მადლი ექნას, აწ მოეპაროს, არ იყოს აზრი, სინარული, არც სამართალი, იყოს გრიგალი ქვეყნის მეფე, ქვეყნის სარდალი, ასეთი იყო უეცარი საშიშროება, სტიროდა მწარედ საქართველო და სასოება.

დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარია) „სიკვდილის აჩრდილიც“ 1921 წლის 25 თებერვლის სევდის, იმედის წართმევის გამოძახილია.

იმავე „პოეზიის დღეში“ გამოქვეყნებულ ამ ლექსში „ჩამქრალი სანთელი“ აღექვანდრე აბაშელიც ამის გამო ჩიოდა:

როგორ მიყვარდა მწუხრის ჩრდილთა ჩუმი ვედრება, ჩამავალი მზის ბრწყინვალეობით განათებული. საოცარია დასისხლული ცის გათეთრება, როცა ლაჟვარდში იძირება მზე ანთებული...

მე ავდიოდი ცისფერ კოშკის მარმარილოზე; საფეხურებზე შუქი ენთო ფერად ღვარებად, სისხლი ჰყვოდა ჰორიზონტის ყვითელ ტილოზე და ისვენებდა დაქანცული მზის ელვარება.

უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ დევებით და ატორტმანდა მწვანე სივრცე ცეცხლის რაკეტებში, აივსო ჩუმი ბროლის კოშკი ცის ნანგრევებით და ქარმა სილა მომყარა ღია თვალბეჭდში...

გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ვედარ ახელს, გაბზარულ მიწას ხშირად უვლის ტანს ჭრუნავთელი. შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს, ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა სახელი.



ინტერნაციონალისტური იდეებით პოეზიის გაწყალება არც ვახტანგ კოტეტიშვილს ეხატა გულზე, ამავე „პოეზიის დღეში“, 1921 წელს, ის ჯიუტად ამბობდა: ეროვნული შემოქმედება გაიმარჯვებსო. გასაბჭოების პირველ თვეებში ახალი კომუნისტური ხელისუფლება ირწმუნებოდა – დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველყოფთო! ერთხანს ამას, როგორც წყალწაღებული ხავსს, მოკვიდნენ დამოუკიდებლობის ერთგული ქართველები;

იფიქრეს: იქნებ მართლაც შესაძლებელია, კომუნისტურმა საქართველომ დამოუკიდებლობა შეინარჩუნოსო.

ამის გამოძახილი უნდა იყოს სერგო ამალღობელის ეს სიტყვები, დაბეჭდილი გაზ. „ტრიბუნაში“ (1921.27.X): „ქართველი გლეხი მჭადის ნატეხით მოიღვნენ თუ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტია. ქართველი მუშა მეთხედ გირვანქა პურს ლოდნით გვახლება, საქართველოს დამოუკიდებლობა თუ რეალობაა“.

სერგო ამალღობელი იქვე დაბეჭდილ („ტრიბუნა“, 1921.8.X) სხვა წერილშიც კანონიერად მოითხოვდა:

„თავისთავად დაწესებულებათა გაეროვნება არც ნაციონალიზმია და მითუმეტეს არც შოვინიზმი. ეს უბრალო ადამიანური და ელემენტარული კულტურული მოთხოვნაა, რომლის წინააღმდეგ დღეს პრინციპალურად ვერავინ ხმას ვერ ამოიღებს, მაგრამ არ კმარა პრინციპების ჰაერში ჩამოკიდება. პოლიტიკა უმთავრესად პრაქტიკაა და ამდენადმე ყოველი პრინციპი სინამდვილეში უნდა ნაღდდებოდეს, იქ უნდა მტკიცდებოდეს“.

მეგობრებო, ეს ხომ სადღეისოდაც საგულისხმო სიტყვებია! საქართველოს დამოუკიდებლობის ასეთი ერთგული ხალხი ინტერნაციონალისტ, წითელი იმპერიის მსახურ ქართველ ბოლშევიკებს გულზე არ ეხატებოდათ, შემდეგ ასეთ ნააზრევს, ასეთ ლექსებს ხალხს ვილა ანახებდა, ავტორებს წიგნში ვინ შეატანინებდა?!

მაგრამ წიგნად გამოცემას ვინ ჩივის, ნეტავ სიცოცხლე ეცლიათ – 40 წელს ოდნავ გადაცილებული ვახტანგ კოტეტიშვილიც მოსპეს და სერგო ამალღობელიც...

1921 წლის მიმოხილვას ვამთავრებ ამ წლის დეკემბერში ჟურნ. „ზომალდის“ პირველ ნომერში დაბეჭდილი ამ ჟურნალის ფაქტიური რედაქტორის აღ. აბაშელის ვრცელი ლექსით „შორეული ნაპირი“, რომელშიც პირდაპირ, მიკიბ-მოკიბვის გარეშეა ნათქვამი ქართველი ერის უდიდეს ტკივილზე:

„და ერის ტანჯვის გამომსახველი იზრდება გულში ორი მწვერვალი, ერთი ნაღველის ორი სახელი: კრწანისის ველი და თებერვალი“.

ამ ვრცელი ლექსიდან კიდევ პატარა ნაწიგვების შემოთავაზებით უნდა დაგვაყოფილდეთ:

მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით, დასწვივით ცაში ყველა სიმები, გარდაცვალება ძველი ზღაპარი და გადაფრინდნენ სერაფიმები. სივრცე დაეთმო შავფრთიან გველებს, ცაში ავარდა რკინის აფრები და პროპელერმა მწუხრის ანგელოზს მოულოდნელად მოსწვივტა ფრთები და სადაც წინათ, შეუმჩნეველი, მზეს იჩრდილებდა შუადღით ფავნი, იქ აკაკანდა ტყვიისმფრქვეველი ჰაერობლანით გამონავზავნი.

1923 15 მაისს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მკაცრი განკარგულება გასცა (საქართველოს პრეზიდიუმის არქივი, 14-1-493 – ფ. 35, 41 – ოქმი №23):

- 1. გაზეთი „ლომისი“ დაიხუროს;
- 2. წინადადება მიეცეს ჩეკას – გამოიძახოს და დაიკითხოს გაზეთებში „პოეზიის დღე“ და „ლომისი“ დაბეჭდილი სტატიების ავტორები;
- 3. დაევალოს ცკ-ის აგიტპროპს – გაარკვიოს მთავლიტში ვის ევალებოდა გამოცემაზე მეთვალყურეობა. ამხ. შავიშვილს გამოეცხადოს საყვედური გაზეთებში „ლომისი“ და „პოეზიის დღე“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული სტატიების გაშვებისათვის.

წინადადება მიეცეს მთავლიტს – მკაცრად ადვენოს თვალს საქართველოს ყველა გამოცემას;

4. წინადადება მიეცეს განსახკომს – მოხსნას კ. გამსახურდია უნივერსიტეტიდან.

და პოეტები იძულებული გახდნენ, დაეწყით დაუბეჭდავი ლექსების სანდო მეგობრებში გავრცელება, შეუგუებლობის ლექსების უჯრებში ჩაკეტვა, ბოთლებში შენახვა უკეთესი დროის დადგომის მოლოდინში.

ამავე წლის შემოდგომაზე, ჩვეულებისამებრ, წაღვერში დასასვენებლად მყოფმა იოსებ გრიშაშვილმა სწორედ ასე გადაამალა „წერილები ბოთლში“:

მმაო, მოგვედო სენი წითელა, ყველას აუწყე, ყველას უთხარი აწმყომ სიცოცხლე გადაგვითელა – გაუფურჩქნავი, დაუკუთხავი.

...საშინელია ეს დროთა სიგრძე, ლამის ლოდინი მოკვდეს უშვილოდ,

სადა ხარ! ჩვენი ტანჯვა თუ იგრძენ – უნდა სამშობლოს ჩქარა ვუშველოთ.

...ყელში ამომდეს მეც აპეური. ...არ მინდა ერი სხვა ერს მოებას.

...დღეს გორგასლანის სატახტო ქალაქს მხოლოდ სახელი შერჩა თავისი, ყველა მივიღეთ მძებად და დებად, ვინც გვასახელა საზიზღარ ქცევით.

წაღვერი, 1923, 2 აგვისტო



გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ლექსები ფართო საზოგადოებამ ათეული წლების შემდეგ იხილა დაბეჭდილი (აქ კი მოგვაქვს „ცისკრის“ პუბლიკაციიდან – 2011წ. №5).

კომპარტიის აბსურდულმა მტკიცებამ – ნამდვილი მწერლობის, კულტურის ერთადერთი შემქმნელი პროლეტარიატია და მისი საგანი ეროვნული მოტივი კი არ უნდა იყოს,

არამედ კლასობრივ-პარტიული მიდგომაო, – ბევრი იწ. პროლეტარული მწერალი გააბრიყვა – ისინი ტუქსავდნენ იმათ, ვინც ეროვნულ პრობლემებზე ენას დაძრავდა.

მათ მხარს უჭერდნენ სამთავრობო სტრუქტურები, რასაც გვიდასტურებს აკაკი პაპავას ეს მოგონება (მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „აკაკასიონი“, პარიზი. 1964. IX):

„განათლების კომისარიატი“ ბრინხნიოვის და ბოგდატიევის მეთაურობით სასტიკად გვიტევედა და ჩვენი კავშირი კომუნისტების სათარეშოდ უნდოდათ გაეხადათ. დატრიალდა ეულის მეთაურობით მათი სექტორი.

მაგრამ მტკიცედ, შეკრული დაუხვდა მათ მთელი ქართული მწერლობა და მეტროლი საქართველო“.

1921-1923 წლები ხომ გლოვასა და მწუხარებაში, შფოთსა და დამოუკიდებლობის დაბრუნების მოლოდინში, შეუგუებლობასა და დაუმორჩილებლობაში გალიეს ჩვენმა პაპებმა და მამებმა, წინ უფრო მძიმე და სისხლიანი 1924 ელოდათ...

ჩვენი მწერლობის იმ ძალისხმევასთან ერთად, რომ ხალხში არ ჩამცხრალიყო 1918 წელს ნაგებები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წყურვილი, „თავისუფლების მიმშვილი“ (ი. გრიშაშვილი) გრძნობა – გონიერი და შორსმჭვრეტელი ქართველები ხალხს იმასაც ურჩევდნენ: თანდათან გაძლიერებულ საბჭოთა რუსეთთან იარაღით დაპირისპირებით შეუძლებელი იქნება დამოუკიდებლობის აღდგენა, საუკეთესო ქართველებს კი მოგვისპობენ და ამიტომ მთელი ჩვენი ძალები კულტურულ ფრონტზე უნდა მივმართოთ, რათა ეროვნული თვითმყოფადობა შეინარჩუნოთო.

კერძოდ, ასეთი იყო კონსტანტინე გამსახურდიას რჩევა (სიტყვები ქართველი ერისადმი. „სოც.-ფედერალისტი“, 1921. №70):

„ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს, საქართველოში კულტურული სააღყო წესები უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა. ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება“.

გაიხსენეთ – 1921 წლის 25 თებერვალს დაღუპულთა საფლავებთან წაკითხულ ლექსში იოსებ მჭედლიშვილი რაღაცას მოელოდა...

მაშინ ვთქვი: ის რაღაცა, რასაც პოეტი ელოდა და რისიც სჯეროდა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაბრუნება, საქართველოს თავისუფლების მოპოვება იყო!

ის ლექსი, რომელშიც ეს რწმენა იყო გამოთქმული, რა თქმა უნდა, არ დაბეჭდილა. მისმა ავტორმა კი ამის შემდეგაც ბევრი მწარე სიტყვა უთხრა ლექსად საბჭოთა ხელისუფლებას. ზოგი მათგანი, რამდენადაც გასაკვირი უნდა იყოს, გამოუქვეყნეს, დანარჩენის ქვეშ პოეტს გულუბრყვილოდ მიუწერია: არ დამიბეჭდესო.

აბა, როგორ დაუბეჭდავდნენ ასეთ სტრიქონებს ლექსიდან „ჩემი ლექსის მგზავრობა“:

მინდა გაგზორდეთ ლაპარაკის მომთაბარავეთ,

რათა ბუნდუნით დაუსრულით აღარა მჭამდეთ. ისიც გეყოფათ, რაც აქამდე მამასხარავეთ და ბოლოს კიდევ კოლექტივის გოდორში ჩამდეთ სიმდიდრისათვის თაღლითობთ იმდენს, რომ, ვისაც ჰქონდა, ჩამოართვით საცხოვრებელი და პოლიტცოდნას თქვენშიც ყველა იმისთვის იძენს, რომ ჯიბისათვის მოიხმაროს მარქსი, ბეგელი.

...მარქსის სახელით რა არ მაკადრეთ, რა არ წამართვით;

...სიბრაზისაგან ფერმხდილი და ანათროლი წითლად ჰხედავდა ჩემი ლექსი ქვეყანას მწვანეს, მაგრამ სიბრაზე რას არგებდა!.. შორს მინაქროლი გასაბჭოების პლატფორმაზე ჩამომამბრანეს!



ანდა ვინ გამოუქვეყნებდა 1930 წელს დაწერილ ლექსს, რომელშიც სტალინის დედას ასე მიმართავდა:

დედი! აგვისხენ ნათლად, გულწმინდათ, ეგ რა გდებია მუცელსა შინა! როგორ ატარე ცხრა თვეს მუცლითა?! რომელმა ღმერთმა შეგაძლბინა?! გვითხარ: მუცელში რას აკეთებდა? შიგ კოლხოზები არ დაგაიარა?!

პოეტის და მთელი ქართველი ხალხის მაშინდელი განწყობილება და ტკივილია გადმოცემული, აგრეთვე, პოემა „მგონის სიკვდილის“ (1937) შესავალში:

ერთი პატარა ქვეყანა, პატარა მთად და ბარადა, შვიდ ვარსკვლავით ბზინავდა აღმოსავლეთის კარადა, ერთ დროს ისიცა ჰყვოდა თავისი ია-ვარდითა, ცნობილი იყო იმ დროში თავის ცუდით და კარგითა. გლეხი იქაცა გლეხობდა, იქ მუშაკობდა მუშაკა, ბრძოლაცა ჰქონდათ იმ ქვეყნის მტანჯველთა დასაფუშადა... მაგრამ მოუნდა ჩაყლაპვა მისი ქრისტიან მელაპავსა, — დასტრიალებდა ზევიდან, როგორც არწივი ბატკანსა; დროც მოუძებნა... დააცხრა არწივად ორთავიანად, მაგარ კლანჭებში ჩაბლუჯა პატარა ერი მთლიანად, და ამ დაპყრობის საბუთად, გასამართლებლად თავისა, ერს პირში ბურთი დაუცო და მორჩილ მონად დაისვა, ზოლო ეს ბედი ერისა — სახელად იბერიანთა, სხვა ქვეყნებს, სახელმწიფოებს ამნაირ ამბად მიართვა: „ვით ქრისტიანი ქრისტიანი, შემომიერთდა ნებითო; დღეიდან იგი იქნება მშვიდად და მოთმინებითო...“

და, აი, მათი მორიგი მსხვერპლი ხდება ახალგაზრდა პოეტი გიორგი შატბერაშვილი. მან 1934 წელს გამოაქვეყნა ორი ლექსი „დასაწყისი განთიადისა“ („მნათობი“ №9) და „წერილი ახალგაზრდობას“ („სგ“, №14) ამ ლექსებმა ქარიშხალი გამოიწვია. ხელაღვე გამოქვეყნდა კრიტიკოს ვანო წულუკიძის წერილი („სგ“ 1934. №15) „სკეპტიციზმის შხამით მოწამლული“ (ამ სათაურით იყო ნათქვამი ყველაფერი!) და საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, დავით დემეტრაძის „დაკარგული იმედები“ („კომუნისტი“, 1934, №177) — შატბერაშვილი ჩვენს ახალგაზრდებზე მავნე შეხედულებებს ავრცელებსო.

იქნებ ამ მკაცრი წერილებით და ყურის აწევით დაკმაყოფილებულიყვნენ, მაგრამ 1934 წლის ბოლოს (I. XII) მომხდარი დიდი პარტიული ლიდერის სერგეი კიროვის მკვლელობა სტალინმა იდეოლოგიური ტერორის ჩასატარებლად გამოიყენა. ამდენად, არ უნდა გავვიკვირდეს, რომ 1935 წლის დასაწყისში უფრო მაღალი რანგის ფუნქციონირებმა შეუტყეს ახალგაზრდა პოეტს.

კარლო ორაგველიძემ გ. შატბერაშვილის ხსენებულ ლექსებს „კულაკური ახალგაზრდობის დეკლარაცია“ (ასე ჰქვია მის წერილს — „სგ“, 1935 №6 და „კომუნისტი“, 1935, №32) და „ნამდვილი ანტისაბჭოთა კულაკურ-ფაშისტური ხასიათის ლექსები“ უწოდა. სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ თუ რა ხალხი ასწავლიდა ჭკუას მწერლებს, რა ხალხი წვევებდა რა უნდა ეწერათ და რა არა, იმ მწერალს, მიხეილ ჯავახიშვილს მოვუსმინოთ, ვინც ყველაზე მეტად იწვინა ასეთი ბოლშევიკი ფუნქციონირების უხეშობა:

„ორაგველიძე კარლო — ულტრა იეზუიტი. ყველას ბადეს უქსოვს და ღუპავს. ეს არის მისი ერთადერთი ხელობა და სიცოცხლე. ჯერ მისი ღმირი არავის უნახავს. ადამიანი ტირის და იცინის. პირუტყვიც კი ტირის, მაგრამ არ იცინის“. (1935 წლის ჩანაწერი „უბის წიგნაკიდან“, გვ. 336)

ეს ის კ. ორაგველიძეა — „წითელი პროფესორი“, რომელიც, ამირან გომართელის დახასიათებით („ავს თუ ავი არ უწოდებ“, „თბილისი“, 1989. №7), ჩვენი უნივერსიტეტის რექტორობის დროს (1935-1937) ეწეოდა ამ სასწავლებლის ერთ-ერთი დამაარსებლის, დიდი ქართველი ისტორიკოსის ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის „სახელმწიფო საქმეების მკვლელობას“, ამისთანა გესლიანობისთვის კი ფუნაგორისტებმა ასე მოიხსენიეს: „კალოზე, ო, რა გველი ძეგს, — კარლოა ორაგველიძე“.

კომპარტიის ამ ერთგული დამცველის გამოსვლას იმავე გაზეთის შემდეგ ნომერში მოჰყვა ძველი ბოლშევიკის, სახელმწიფო მოღვაწის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მალაქია ტოროშელიძის წერილი „მეტი სიფხინლე“. მისი აზრით, გ. შატბერაშვილი „მზის ამოსვლას და განთიადს აწი მოვლის და ის, რაც უკვე არსებობს, ნამდვილ შუალედ მიანია.“

„ამკარა, ავტორს შეგნებულად თუ შეუგნებლად (უფრო შეგნებულად, ვიდრე შეუგნებლად) თავისი თავი ჩაუბამს კლასობრივი მტრის სამსახურში“.

შეგნებულად — ეს იმ დროს ყელში დანის გამოსმა იყო!..

შედეგად გიორგი შატბერაშვილი ყაზახეთში გადასახლეს.



იმის დასადასტურებლად — აქა ვარ, არსად გავქცეულვარო — თუ რამდენჯერ უწევდა შინსახკომის განყოფილებაში გამოცხადება — გააცნობთ ერთ პატარა ამონარიდს 1936 წ. 4 მარტს მშობლებისთვის გამოგზავნილი წერილიდან: „გამოცხადება ესლა თვეში ზუთჯერ მაქვს, ისე, რომ მოწყენილი არ ვიქნები ცხადა“.

მართალია, იქიდან მალე დაბრუნდა, მაგრამ შეხლდევები კარგა ხანს გაჰყვა.

მაგრამ მალე კომუნისტური ხელისუფლების ზემოხსენებულ ერთგულ მსახურებსაც, კარლო ორაგველიძეს, მალაქია ტოროშელიძეს და, მათნაირებს თვით მათმა პარტიამ არ დაუფასა ეს მონღოება და 1937-38 წლებში სასტიკი წამებით ამოხადა სული.

გ. შატბერაშვილისა და მისნაირთა ბედით შემოთქმულმა, პოლიტიკური ბრალდებით რეპრესირებული მამის შვილმა, ახალგაზრდა პოეტმა გრიგოლ აბაშიძემ სცადა მოსალოდნელ საფრთხეს გასცლოდა და კიდევაც გამოუვიდა — მოგვითხრობს მისი ვაჟი ჩინო (დავითი):

„...ერთხელ ლიტერატურულ წრეში განიხილეს რომელიღაც ლექსი სტალინზე და ჩათვალეს, რომ იგი კონტრრევოლუციური იყო. მერე დაინტერესდნენ ნიჭიერი თუ არის პოეტიო, ბოლოს ლექსი ახალგაზრდულ შეცდომად ჩათვალეს და რადგან ჭიათური-

დან იყო, დაავალეს დაეწერა პოემა სტალინის ჭიათურაში მოღვაწეობის თემაზე. მაშინ დაწერა „შავი ქალაქის გაზაფხული“. სხვათა შორის, მოუწონეს, თუმცა გრიგოლმა გადაწყვიტა თბილისიდან წასულიყო — აქ წარსულს, წარმომავლობას სულ გამიხსენებენო, წავიდა მოსკოვში, საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სასცენარო ფაკულტეტზე სწავლობდა. რეპრესიების დიდი ტალღა იქ გადაიტანა“ („ჩვენი მწერლობა“, 2001. 3-10.08).

ბოლოს დადგა ის ავადსახსენებელი 1937. მაგრამ ამ წლის მისის დასაწყისშიც კი, ჩანს, არ ფიქრობდნენ თუ ასეთი დაუნდობელი აღმოჩნდებოდა ეს წელი — 5-6 რიცხვში გამართულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე ტიცინ ტაბიძე ჩავლილ სიავედ იხსენიებდა მწერლობაზე პროლეტარულ მწერალთა ძალადობას:

„ჩვენ გვახსოვს ის დრო, როცა ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, როცა ქიქოძე-ნაროუშვილის აშკარა თავგასულობა იყო გამეფებული“.

...და უცებ, რამდენიმე დღის შემდეგ, 15 მაისს პარტიულ ფორუმზე გაისმა რესპუბლიკის კომპარტიის მეთაურის ლ. ბერიას ჩეკა-შინსახკომის უფროსობიდან გადმოყოლილი სისხლის გამყინავი გაფრთხილება მწერლების მიმართ...

და დაიწყო მწერლების წაყვანა, ერთიმეორის მიყოლებით, დასამცირებლად, საწამებლად, დასახვერტად...

ეს იყო დრო, „როდესაც ფიზიკურად ანადგურებდნენ აზრს, რომელიც არ სჭირდებოდათ“ (რეზო ჭვიშვილი, „კუდიანი ვარსკვლავი“)

არა მარტო პროლეტმწერალთა კრიტიკოსები, მწერალთა კავშირის თავმჯდომარეებიც (ერთი მაგალითი რამდენიმე აბზაცის წინ მოვიყვანე) დაუდევრად ამხედნენ პარტიის კონტროლის აუცილებლობას ლიტერატურაზე.

აი კიდევ ერთი მაგალითი: თავმჯდომარე (1935-37; შეთავსებით) აკაკი თათარიშვილი ასეთ ინსტრუქციას იძლეოდა:

„ძირითადი ამოცანა პოეტური სექციისა ის არის, რომ უხელმძღვანელოს პოეტებს თვით ნაწარმოების შექმნის პროცესში, რომ პოეტის მუშაობა დაყენებულ იქნეს კოლექტიური კონტროლის ქვეშ“.

ანდა პარტიის ცეკას პროპაგანდის განყოფილების გამგე, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში და შეთავსებით მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი კანდიდ ჩარკვანი პირდაპირ, საჯაროდ, ოფიციალურად, კომუნისტების ტერმინით რომ მოგახსენოთ, იძლეოდა ინსტრუქციას, რა და როგორ უნდა ეწერათ:

„ვინც ჩვენი რევოლუციური წარსულის შესახებ მხატვრული ნაწარმოების დაწერას მოინდომებს, მან სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ამხ. ლ. ბერიას მოხსენება: „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისთვის“.

სამწუხაროდ, მწერლები მეტ-ნაკლებად იძულებული ხდებოდნენ თავის მოკატუნებით, რაღაცის დათმობით, გამონაგონით, მიკიბ-მოკიბვით დაეცვათ თავიანთი პოეზია, სამწერლო კარიერა, თვით სიცოცხლეც...

ერთ ასეთ მაგალითზე დანახებით და გულისტკივილით საუბრობს, ტაქტიანი, მაგრამ სიმართლის დაუფარავად მთქმელი ლალი ავალიანი:

„30-ანი წლების სიბნელემ და სისასტიკემ, გაუსაძლისმა მორალურმა ტერორმა თითქოს ზაფანგში მოაქცია ჭეშმარიტი პოეტები; მათ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და სცადეს კიდევ „სოციალისტური აღმშენებლობის“ გალექსილი ხოტბა, თუმცა არ გამოვიდა. მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ვალერიან გაფრინდაშვილიც...“

ვალერიან გაფრინდაშვილი სიცოცხლეში მესამე პოეტურ კრებულსაც მოესწრო; ბუდის ირონიით, ეს 1937 წელს მოხდა. წინასიტყვაობიდან: „ჩემთვის როგორც პოეტისათვის, უდიდესი როლი ითამაშა ოქტომბრის რევოლუციამ, რომელმაც გააფანსა ჩემი შეხედულება და ჩემი მუშაობა. ჩვენმა გმირულმა ეპოქამ, ჩვენმა გენიალურმა ბელადმა ლენინმა და სტალინმა მოახდინეს ჩემზე უდიდესი გავლენა და შეძლებისდაგვარად გამოვეხმაურე ჩვენი დღეების თემატიკას. სიმბოლიზში უკვე განვლილი ეტაპია ჩემთვის და მე ვცდილობ ახლანდელ ჩემს ლექსებში სრულიად თავისუფალი ვიყო ჩემი წარსული მეთოდებისგან.“

მწელია გულისტკივილისა და თანაგრძობის გარეშე ამ სტრიქონების კითხვა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამ სიტყვებმა შეუნარჩუნეს პოეტს სიცოცხლე“ (ვალერიან გაფრინდაშვილი — „პოეზიის მთრთოლვარე მონა“, „ჩვენი მწერლობა“, 2009. №25).

# სიხატემახ+ხედიგოუხი დეტა+ძიოსა= აღმოსავერე ქაღს -ეხოფუდეგი



სვირა ყალბაგაშვილი

### პროლოგი

ანტიკური ქალების ბედნიერი გამო-  
მეტყველება ტილოებზე თუ სკულპტურ-  
რებში; მსახიობი ქალბატონები კინო-  
მატოგრაფიული შედეგებიდან; სამო-  
დელიო სახლების გამორჩეული მანეკე-  
ნები; მეგა ვარსკვლავები; ქალები ჟურ-  
ნალებზე, ბანერებზე, ბილბორდებზე;  
მოლიმარი სახეები ბანკებში, სასტუმ-  
როებში, ბიზნეს შეხვედრებზე, ბანკე-  
ტებზე, ქუჩებში და სახლებში... მოკ-  
ლედ, მშვენიერ სექსთა სახეზე აღბეჭ-  
დილი ბედნიერება ათასგვარად შეფუ-  
თული სიყალბეა და სხვა არაფერი. ქა-  
ლის ქეშმარიტად ბედნიერი სახის ნახ-  
ვა მხოლოდ ორ შემთხვევაშია შესაძ-  
ლებელი, ისიც რამდენიმე წამით – რო-  
დესაც იგი ორგაზმს განიცდის და რო-  
ცა, ის საკუთარ პირმოს ხედავს პირ-  
ველად. სანამ შემეკვამთებოდეთ, მიიყ-  
ვანეთ მენყვილე, ან შემთხვევითი პარ-  
ტნიორი ორგაზმამდე, თუ უფრო გაბე-  
დული ხართ, აჩუქეთ ბავშვი და ნახავთ,  
რომ ეს იშვიათი გამომეტყველება სხვა  
შემთხვევაში არ მეორდება. ქალთა სა-  
ხეზე აღბეჭდილი მოჩვენებითი ბედნი-  
ერება მხოლოდ და მხოლოდ ანარეკ-  
ლია იმ ქეშმარიტი განცდისა, რომელ-  
საც ისინი ორგაზმის დროს განიცდიან.  
ეს ზეაღმატებული მდგომარეობა დას-  
რულებისთანავე ინახება მათსავე  
ქვეცნობიერში ინფორმაციის სახით და  
საჭიროების შემსახის ნაკვეთი მო-  
მენტალურად იმეორებს წარსულში  
განცდილს, ანუ ავტომატურად ახდენს  
სიხარულის ვიზუალიზაციას. თუმცა  
ყველაზე უკეთესად შესრულებული  
რეპროდუქცია კი, ყოველთვის, რამ-  
დენჯერმე ჩამოუვარდება დედანს. ხო-  
ლო, ზოგიერთ ცივილიზაციაში ქალბა-  
ტონები ასლიდან იმეორებენ სიხა-  
რულს, რადგან დედანი არასოდეს უნა-  
ხავთ, მათი ფსევდობედნიერი გამო-  
მეტყველება სიბრაულს უფრო ინ-  
ვეს დამკვირვებელში, ვიდრე ალტაცე-  
ბას...

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი  
მკვდარსა ემსგავსოს...“ – რაღაც ხომ  
უნდა მეკეთებინა ცხოვრებაში და წე-  
რას მოვიკიდე ხელი – ეს არც ახირებაა,  
არც მოზღვავებული ნიჭის ტრანს-  
ფორმაცია და არც ის, ზეგარდმო მად-  
ლით ცხებას რომ ეძახიან... სისხლს უნ-  
და მივანეროთ ჩემი მწერლობა...  
კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ  
გაგანდობთ, რომ სისხლით არისტოკ-  
რატი გახლავართ, მაგრამ მოვლენათა  
ბრმა ტირანის გამოისობით, ბურჟუა-  
ზიული რევოლუციის დაჩქარებით და  
რუსი საბჭოელების დიდი გარჯით სა-  
ბოლოდ გამოეთხრა ძირი ჩვენი ჯი-  
შის უზრუნველ ყოფას... ჩვენს დროში  
კი მხოლოდ მწერლობაა მოერგო ჩემს  
ზარმაც, ამპარტავან და ცინიკურ ბუ-  
ნებას... მოკლედ ასე, მწერლობა მექცა  
საქმედ და როგორც ყველა დიდ საქმის  
კაცს, მეც უნდა გამოემეტებნა რაიმე ჰო-  
ბი, რადგან იშვიათად მაინც გავექცეო-  
დი „უსაშველოდ დამქანცველ“ პრომას  
– კალმოსნობას, სიტყვასთან ჭიდილს,  
ლიტერატორობას... ჰობიც მეტად  
არისტოკრატიული გამოვნახე – ქალები.  
ბოლოს ისე გამოვიდა, რომ ცხოვრების  
სამოცდაათ პროცენტს ზემოთ ხსენე-  
ბულ კობს ივთომობ, დანარჩენ ოცდა-  
ათს კი მწერლობაა, ძილი, მეგობრები,  
ნიგნები, მუსიკა და სხვა ასეთები ინა-  
ნილებენ. კარგად თუ დაუკვირდებით  
აღმოაჩენთ, რომ მექალთანე ვყოფილ-

ვარ, რომელიც მოცლილობის ჟამს წე-  
რით ერთობა. შეიძლება ასეც არის,  
თქვენი არ იყოს დღემდე ვერ დამიდგე-  
ნია – მწერლობა ჩემი საქმე და ქალები  
ჰობი, თუ პირიქით. ადგილთა გადაწაც-  
ვლებით ჯამი, რომ არ შეიცვალოს მე-  
ქალთანე მწერლის სტატუსით შემოვი-  
ფარგლები და ამ ნაწარმოებშიც ქა-  
ლებზე ვისაუბრებ. როგორც ზემოთ  
მოგახსენეთ არისტოკრატიული სისხ-  
ლის ჭურჭელი გახლავართ და კონსერ-  
ვატორულობა ჩემი სისხლისმიერი მო-  
ვალეობაა, ამიტომ ვეროპისა და ამერი-  
კის ქალებისგან თავს შორს დავიჭერ  
და ჩვენს ქალებზე მოგიყვებით, აღმო-  
სავლელ ქალებზე...

აღმოსავლელი ქალის სახეზე გად-  
მოკობრებული ბედნიერება იმდენად  
მდარეა, რომ ჩემნაირ ნარცისსა და ინ-  
დიფერენტულ ადამიანშიც კი აღვივებს  
სიბრაულის გრძობას, სიბრაული  
მონყალებისკენ მიბიძგებს ხოლმე და  
წერის მეტი, რადგან არა ვიცი რა, ყო-  
ველთვის ამ ფორმით ვცდილობ წყა-  
ლობის გაღებას.

კვაზიმენტალურმა ღირებულებებმა  
და რელიგიების არაჯეროვნად, არას-  
წორად შეცნობამ წყვიდადისფერი სუ-  
დარა გადააფარა აღმოსავლელი ქალე-  
ბის ქეშმარიტ ბედნიერებას; ეს უკანას-  
კნელნიც ასე, მორჩილად გლოვობენ  
სუდარის ქვეშ გამომწყველდ ღვთა-  
ებრივ განცდას, რომლის სიხარულით  
და სიცოცხლით სავე არის არასდროს  
უნახავთ, არასდროს შეუცვნიათ. სულ-  
გრძობობა, სხვათა სატიკურის გაზი-  
არება ჩემი სისხლისმიერი მოვალეობაა  
და მეც წლების მანძილზე ვცდილობ  
ქალთა სექსში სექსის საშუალებით  
მოვსპო წყვიდად, რათა ამ გზით მათ  
ცნობიერს საშუალება მივცე, საჭირო  
მომენტებში დედნიდან მოახდინონ  
ბედნიერების კობრება. გამოგიტყდე-  
ბით და, ეს საქმე უფრო რთულია, ვიდ-  
რე მწერლობა. ვინმეს ჩემს მამაკაცურ  
შესაძლებლობაში ეჭვი, რომ არ შეეპა-  
როს, დაუყოვნებლად – „ჟიმაობა“ და  
ქალის ქვეცნობიერის სტერილიზაცია  
ბევრად განსხვავდება ერთმანეთის-  
გან...

ერთ აღმოსავლელ გოგონას ვხვდე-  
ბოდი, ქალწული გახლდათ. „პანკობ-  
და“, „ანარქისტობა“, „ზასაობა“,  
„ჟიმაობა“, მაგრამ მაინც ქალწული  
იყო. ალბათ გიკვირთ – თუ „პანკობა“  
და „ანარქისტობა“ ქალწული რატომ,  
ან როგორღა იყო?... რატომ იყო ქალ-  
წული? ალბათ, იმობომ, რომ მშობლებ-  
მა დამოძღვრეს ამგვარად და მასაც  
რელიგიურ წიგნებში მხოლოდ ის თავი  
ჰქონდა ამოკითხული, სადაც წერია:  
პატივი ეცი დედასა და მამასა შენსა;  
გაუღებქი დედასა და მამასა შენსა და მე  
შემომიდექიო, ამის შესახებ, ვფიქრობ,  
არაფერი იცოდა; მგონი, ვერც იმას აც-  
ნობიერებდა, რომ ღმერთი სიყვარუ-  
ლია, სიხარულია და არა პირობითი სა-  
ხელი. ამასთან, მისი კვაზიმენტალუ-  
რად დახეობრებული ქვეცნობიერი მც-  
დარ სიგნალს აწვდიდა ფიზიკურ სხე-  
ულს – გაფრთხილებოდა საქალწულე  
აპკს... ჩნდება კითხვა: როგორღა იყო  
ქალწული, თუ კი „ჟიმაობა“ მარტი-  
ვად, მას ანალური სექსი ჰქონდა სამ-  
დღეში ერთხელ, ან დღეში სამჯერ. ალ-  
ბათ, მშობლები არაფერს ეუბნებოდნენ  
ანალურ სექსზე და ქვეცნობიერსაც არ  
მოეპოვებოდა რაიმე ინფორმაცია ამ  
სახის დარღვევაზე; ანდაც, ქალწულო-  
ბა უფრო პრიორიტეტული გახლდათ  
მისთვის, ვიდრე გაუკუღმართებული

**ვეთანხმები მამარდაშვილის მოსაზრებას –  
ქეშმარიტება პატრიოტიზმზე მალა უნდა იდგეს;  
ვფიქრობ ბეთჰოვენით –  
არ არსებობს წესები უფრო უკეთესისათვის;  
ვითვალისწინებ ნიცშეს რჩევას –  
ქალებთან მიდიხარ? მათრახი არ დაგავინყდეს...**

შესხეულება და გოგონაც ასე, თავისე-  
ბურად უხდიდა ხარკს ჩემს ჰორმონა-  
ლურ აფეთქებებს. ვარსებობ, მამასა-  
დამე ვაზროვნებ, მამასადამე გაუჩე-  
რებლად მუშაობენ სეკრეციის ჯირკვ-  
ლები და ქალიც თუ აზროვნებს, უნდა  
იცოდეს, რომ ჰორმონალური აფეთქე-  
ბით გამონთავისუფლებული ენერგია  
იდენტურია სექსისა – ეს მუდმივია, აქ-  
სიომა და ვრცელდება ცამეტი მილი-  
არდი სინათლის ნელინადის რადიუს-  
ზე, ამ მასშტაბებში კი ყოველთვის მოი-  
ნახება ქალი, რომელსაც სურვილი  
აქვს, იყოს გამტარი ზემოთ ხსენებული  
სასიცოცხლო ენერგიისა. რა ვუყოთ,  
თუ ჩემი სეკრეციის ჯირკვლები საშუა-  
ლოზე უფრო აჩქარებით მუშაობენ და  
ჰორმონალური აფეთქებების შედეგად  
წარმოქმნილი ენერგია არაზომიერად  
იზრდება, ანუ ფარდობითობის თეო-  
რიის გათვალისწინებით, რომ ავხსნათ  
– სექსი წინ უსწრებს ქორწინებას. თუ  
მე ანალური სექსით განგებისა და კოს-  
მიური ჰარმონიის საზიანოდ შევცოდე,  
ეს გოგონას მშობლების, ან მისი დახე-  
ობრებული ქვეცნობიერის ბრალია. არ  
იფიქროთ, რჩევა არ მიმეცეს. ჩემს  
წმინდა სისხლს ვფიცავ, ვურჩიე: ვაგი-  
ნალური სექსი სჯობია-მეთქი, მაგრამ  
არაო, ქორწინის ღამეს ქალწული უნ-  
და ვიყო... ჩემი სეკრეციის ჯირკვლე-  
ბი კი, მოგეხსენებათ, ძალიან აჩქარე-  
ბულად მუშაობენ.

ზემოთ მონათხრობით იმის თქმა  
მინდოდა, რომ ანალური კავშირის  
დროსაც არსებობს სიყვარულის ალბა-  
თობა, თუ მენყვილის ქვეცნობიერი და-  
ხეობრებულია, სექსსა და ქორწინებას  
შორის მანძილი კი უფრო მეტი, ვიდრე  
ჰორმონალური აფეთქებებისას გამო-  
თავისუფლებული ენერგია. მიუხედა-  
ვად იმისა, რომ გოგონასთან დაკავში-  
რებული ფუნდამენტური საკითხი ანა-  
ლური სექსით ადვილად გადავჭერი,  
რაღაც კითხვები მაინც გამიჩნდა მას-  
თან ურთიერთობის პერიოდში. მშობ-  
ლები, ნათესავები, მეგობრები, მეზობ-  
ლები... გოგონას ხშირად ლოცავდნენ  
ღვინით სავესე უზარმაზარი სასმისით,  
როგორც „მანდილოსანს“. მე მის თავ-  
ზე მანდილი არ მიწახავს, სხვა დატივი-  
რვაც ვერაფრით მოვუძებნე ამ ეროვ-  
ნულ და წმინდა „ნოდებას“. მოცემულ  
საკითხზე ფიქრს არ გადავყოლილვარ  
და ერთადერთ ფანტასმაგორიულ ვა-  
რაუდს დავეჯერდი, რომელიც კანაფის  
მოწვევისას მომივიდა – ადრე, აღმოსავ-  
ლელი ქალები მანდილებს ატარებდ-  
ნენ, მერე მობეზრდათ თავშესამოსე-  
ლით სიარული და კაცებისგან მალუ-  
ლად დაიწყეს თავის მოშიშვლება. არს-  
თაგამრიგე გაუწყრა ქალებს თვითნე-  
ბობისთვის და სირაქლემებად აქცია  
ისინი. დასჯილთ შერცხვით კაცების  
და თავები ჩარგეს მინაში. აღმოსავლ-  
ელი კაცები ძალიან ცუდად არჩევენ ერ-  
თმანეთისგან ქალს და სირაქლემას,  
ზოგჯერ კი სულ ერთია მათთვის ამ  
ორი არსების მსგავსება-განსხვავება,

მთავარი „მანდილია“. რატომ აქვს სი-  
რაქლემას, ანუ აღმოსავლელ ქალს თა-  
ვი მინაში ჩარგული? – ეს კითხვა ჯერ  
არ წამოჭრილა. წამოიჭრება მხოლოდ  
მამინ, როცა კავკასიაში „მანდილოს-  
ნის“ სადღეგრძელო დაიცილება; აზიაში  
კი ჩაით სავესე მადულარა. მანდილოს-  
ნის სადღეგრძელო არასოდეს დაიცი-  
ლება კავკასიაში, რადგან ძველი იბე-  
რია ღვინის ქვეყანაა; არც მადულარა  
შენყვეტს შიშინს, რადგან აზიაში ჩაისა  
და თრიაქის დიდი მარაგებით ებრძვიან  
ჟამთასვლას; ღვინის სმა არასოდეს  
მოსწყინდებათ კავკასიელ კაცებს,  
რადგან სწორედ დაუსრულებელი სმა  
და „მანდილი“ განსაზღვრავს მათ  
იდენტურობას; აზიელები კი გაუთავე-  
ბელი თრიაქის წევით, ცხელი ჩაითა და,  
რღა თქმა უნდა, „მანდილით“ ინარჩუ-  
ნებენ თავისთავადობას.

არც ისე დიდი ხნის წინ, ერთ შემოდ-  
გომასა და ზამთარს შორის გამოვიდე-  
ბულ ქალბატონს ვხვდებოდი, რომელ-  
საც თერთმეტჯერ უფრო მეტი დაბა-  
დებისდღე ჰქონდა გადახდილი, ვიდრე  
მე. ეთიკური ნორმებიდან გამომდინა-  
რე ქალბატონის ასაკის გაცხადებას  
მოვერიდები და ჩემს წლოვანებას მო-  
გახსენებთ – ოცდაექვსის გახლდით იმ-  
ხანად. ეს ქალბატონი ბანკირი იყო,  
უფრო ზუსტად კი, სხვათა ვალატაკე-  
ბით გამდიდრებული მილიონერის პი-  
რადი ოპერატორი ერთ-ერთი პრესტი-  
ჟული უბნის საბანკო ფილიალში. ხელ-  
ფასი დიდი ჰქონდა და დიდებულადაც  
იცვამდა – შანელი, ვერსაჩე, დიორი,  
ფერე, პრადა და ასე უსასრულოდ... გა-  
რეგულად არაუშავდა, მისი ასაკის  
ქალბატონებს ნამდვილად სჯობდა,  
განსაკუთრებით აზიდული მკერდითა  
და თილილი თითებით. აი, ისეთი იყო,  
გალატაკებული არისტოკრატი რომ არ  
დაიწუნებ. პირველ შეხვედრაზე ვიყ-  
ბედეთ, მეორე შეხვედრაზე „ვიზასა-  
ვეთ“, მესამე შეხვედრაზე „ჟიმაობას“  
ვგვეგვადი, მაგრამ არაო!... ქალბატონი  
ქალწული არ გახლდათ, სამაგიეროდ,  
რელიგიურ დეტას იცავდა. სამოთხის  
ბილეთს + მოკლებული ცელულიტიტი =  
რელიგიური დეტას = სიგარეტი, სამარ-  
ხვო შოკოლადი, სოიოს კოტლეტი და  
ცხრაგზის თვალთმაქცობა დღის გან-  
მავლობაში. გეთანხმებით, ამაზრუნი  
განტოლებაა, თუმცა აღმოსავლელი  
ქალები დღემდე ამ ფორმულით ჭრიან  
შექსპირის ყოფნა-არყოფნის საკითხს.  
ადამიანთა შეხედულებებს დიდ პატივს  
ვცემ, მიუხედავად იმისა, ისინი რამდე-  
ნად მცდარია ჩემთვის. მართალს გეუბ-  
ნებით, ეკლესიური დეტის გამო არა-  
ვინ გამიკიცხავს საჯაროდ, ყოველთ-  
ვის ვერიდები სხვათა გულის ტკენას.  
ბანკირ ქალბატონს მარტივად აფუხსე-  
ნი, რომ ვარსებობ, მამასადამე ვაზ-  
როვნებ, მამასადამე გაუჩრებლად მუ-  
შაობენ ჩემი სეკრეციის ჯირკვლები და  
ქალიც თუ აზროვნებს, უნდა იცოდეს,  
რომ ჰორმონალური აფეთქებით გა-  
მონთავისუფლებული ენერგია იდენ-

ტურია სექსისა – ეს მუდმივია, აქსიო-  
მა და ვრცელდება ცამეტი მილიარდი  
სინათლის ნელნადის რადიუსზე, ამ  
მასშტაბებში კი ყოველთვის მოინახება  
ქალი, რომელსაც სურვილი აქვს, იყოს  
გამტარი ზემოთ ხსენებული სასი-  
ცოცხლო ენერჯისა. ქალბატონმა  
ამისხნა, რომ ძალიან მოვინდო, მაგ-  
რამ თექვსმეტი წლის გოგონა ჰყავდა  
და თან ტრადიციულ ოჯახში იყო აღზ-  
რდილი, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავის  
შვილს და ოჯახს სასურველ კაცთან  
დანოლით შეურაცხყოფას ვერ მიაყე-  
ნებდა, თუმცა ჩემი დაკარგვაც ეძნე-  
ლებოდა და ამიტომ იმის გადასაწყვე-  
ტად, გადაეგა თუ არა ესოდენ საპა-  
სუხისმგებლო ნაბიჯი, დრო უნდა მიმე-  
ცა. არ იფიქროთ, თავშეკავებული ქალ-  
ბატონი ყოფილა... მისი კოცნის სიმ-  
ძაფრის გათვალისწინებით, მეორე  
შეხვედრაზევე დავასკვნი, რომ ქალ-  
ბატონის სეკრეტის ჯიჯვლები ჩემ-  
საზე უფრო აჩქარებით მუშაობდნენ,  
მაგრამ... პატიოსნების ნიღაბს + სექ-  
სუალური სურვილების გადავივება  
მენყვილები = კაი ტიპთან „ლეგალურ  
მრუშობას“, ანუ ქორწინებას. ზოგა-  
დად, ეს განტოლება აღმოსავლელ კა-  
ცებზე კარგად მუშაობს, მაგრამ ყოვე-  
ლივე, რაც განზოგადებულია, მე არ  
მერგება, არ მესატყვისება. ქალბატო-  
ნისთვის ხელი არ მიკრავს, შემოთავა-  
ზებაზე დავთანხმდი. როგორც ზემოთ  
მოგახსენეთ, ქალები ჩემი ჰობია. მათე-  
მატიკურად მოაზროვნე ქალებს კი ძა-  
ლიან გამაფრებელი ლოგიკა აქვთ და  
ასეთებთან თამაში, ინტერესის თვალ-  
საზრისით, კასპაროვისთვის ეტლის  
ჩუქებას უტოლდება, ოღონდ კასპა-  
როვს ეტლი რომ აჩუქო, ან სულელი  
უნდა იყო, ან ოსტატი. მოკლედ დაიწყო  
ჩვენი პარტია. ვხვდებოდით ყოველ-  
დღე, ან ორ დღეში ერთხელ; ვსივრნობ-  
დით; დავდიოდით რესტორნებში. ის  
უხორცო საჭმელებს მიირთმევდა,  
რადგან რელიგიურ დიეტაზე იყო, მე  
ხორციან კერძებს შევეტყუებოდი; ვენეო-  
დით თამბაქოს დიალოგებსა და ინტო-  
ნაციებს შორის, ის მენტოლიან სიგა-  
რეტს მოიხმარდა, მე კი ყოველთვის  
იმას ვენევი, რასაც მანვეინებენ, ანუ  
მეც მენტოლიანს გეახლებოდით; „ვზა-  
საობდით“ ბევრს და ვჩხუბობდით ცო-  
ტას. როგორც მოგეხსენებათ, ჩემი სეკ-  
რეტის ჯიჯვლები საშუალოზე უფრო  
აჩქარებულად მუშაობენ, ამიტომ პა-  
რალელური ურთიერთობის აუცილებ-  
ლობა გარდაუვალი გახდა.

ბარში, სადაც ჩემი მეგობრები „როკ  
ენ როლს“ უკრავდნენ ბრონეულის-  
ფერტუჩზე, ახლად სურვილებგაკვირ-  
ტული გოგონა გავიცანი. ჩვენ პირვე-  
ლივე დღეს დავლიეთ ერთად, ვიცეკ-  
ვით ბევრი, „ვიზასავით“ ბარიდან სახ-  
ლამდე და „ვიჟიმავეთ“ დილაღამ. ორი-  
ოდე კვირაში ჩემს ბანკირ ქალბატონს  
გამოუფტყდი, რომ ჰორმონალურ  
ენერჯებს ვერაფერი მოუხერხებ და  
პატარა გოგონასთან მაქვს პარალე-  
ლური ურთიერთობა-მეთქი. საშეყვა-  
რებულო პედოფილური გამოვლინებე-  
ბისთვის ცოტა გამიწყრა და თავადვე  
დამამშვიდა – მთავარია, მე არ გნახო  
მასთან, მისმა არსებობამ ჩვენს გრძნო-  
ბას არ შეუშალოს ხელი, ჩემზე წინ არა-  
სოდეს დააყენო, ისე კი რამდენიც გინ-  
და და ვისთანაც გინდა „ვიჟიმავე“, მეს-  
მის შენი, ბოლო-ბოლო კაცი ხარო.  
მოკლედ დანყებული პარტია გაგრძელ-  
და. ბანკირ ქალბატონთან შეყვარებუ-  
ლობანას ვთამაშობდი; გოგონასთან  
მარკიზ დესადობანას, კაზანოვობანას,  
რასპუტინობანას; სულიერ-ასტრალუ-  
რი სხეულით ოშოს გაკვეთილებს გავ-  
დიოდი, ხოლო ფიზიკურ-ფიზიკური  
არსებით - კამასუტრას.

ერთ დღესაც ქალბატონს ნერვებმა  
უმტყუნა, ჰორმონალური აფეთქები-  
სას გამონთავისუფლებულ ენერჯის  
ველარაფერი მოუხერხა და სასტუმროს  
ნომერში დამპატიჟა. სწორედ იმ ღამეს  
ჩამომიყალიბდა წარმოდგენა: ამორძა-  
ლებზე, კურტიზანებზე, გეიმებზე...  
ერთი უბრალო ბანკირი თავის არსება-

ში იტყვდა ქალური არსის უყამდროო-  
ბას – წრეგადასული მორჩილებითა და  
დემონური გაცოფებებით. ხარბად და-  
ვენაფე ლანგრით მორთმეულ მუშვიდე  
მცნებას და ამ წყალობის სანაცვლოდ  
უარი ვთქვი პარალელურ ურთიერთო-  
ბაზე. ისეთი პატარა მასშტაბის თამა-  
შებში, როგორც „ლეგალური მრუშო-  
ბის“ მოსურვილე ქალის გამოაშკარა-  
ვებაა, აკრძალულ იღებება არ ვიყე-  
ნებ, ანუ სუფთად ვთამაშობ, რაც იმას  
ნიშნავს, რომ ბარში გაცნობილ გოგო-  
ნას ოსტატურად ჩამოვმორდი.

რამდენიმე თვეში ბარში გაცნობილ-  
მა პარტნიორმა შემომჩვილა, რომ ორ-  
სულად იყო და დედამისი აბორტის გა-  
კეთებას აიძულებდა, რადგან უკანონო  
ბავშვი მათ ოჯახში სირცხვილად ითვ-  
ლებოდა. დაბნეულ მენყვილეს რელი-  
გიური ნიგნიდან ის ნაწილი შევახსენე,  
დედას და მამას რომ უნდა სცეს შვილმა  
პატივი...

ერთ კვირაში ბანკირმაც მახარა,  
რომ თავის რელიგიური დიეტით განწ-  
მენდილ სხეულში ჩვენი საერთო ემბ-  
რიონი ფეთქავდა... სანამ მე და ქალბა-  
ტონი ემბრიონის ყოფნა-არყოფნის სა-  
კითხზე ვფიქრობდით, მანამდე ბარში  
გაცნობილი გოგონა ყოველდღე მევედ-  
რებოდა, რომ დედამისისთვის როგორ-  
მე ბავშვის მოშლა გადამეფიქრებინა...

როგორც მოგახსენეთ, არ მიყვარს  
ადამიანთა გულის ტკენა და გადავწყ-  
ვიტე, მართლაც დავლაპარაკებოდი  
გოგონას დედას... ცოტადენი ტკი-  
ლული შევიძინე, დათქმულ მისამართ-  
ზე მივაზარუნე და ბანკირმა ქალბა-  
ტონმა გამილო კარი. აი, იმან, მე რომ  
არ ველოდი. ჩემი ხილვით დაბნეულ სა-  
შეყვარებულის შვილმა დაასწრო მო-  
სალმება, გადამეხვია და სევდანარევი  
სიამაყით მიაძახა დედას: ეს არის ის ბი-  
ჭიო... ცოტა დამამშვიდებლებისა და  
ბევრი ისტერიკების შემდეგ, სიტუაცია  
დასტაბილურდა... სანამ დედა-შვილი  
ფიქრობდნენ, მათთვის ვინ ვიყავი: სა-  
სიძო, სამამობილო, ნახევარძმის მომა-  
ვალი მამა, შვილიშვილის მეურვე, ორი-  
ვე ერთად, თუ არც ერთი... მანამდე მე  
ჰორმონალური ენერჯისთვის ახალ  
გამტარს ვეძებდი, მოგეხსენებათ რო-  
გორ აჩქარებულად მუშაობენ ჩემი სეკ-  
რეტის ჯიჯვლები.

მიუხედავად იმისა, რომ რძე ძალიან  
მიყვარს და ყველა ზრდასრული ადამი-  
ანის მსგავსად, ძირითადად ძროხისას  
გეახლებით, ჩლიქოსანი ცხოველები-  
დან ყველაზე მეტად, მაინც ცხენი მომ-  
წონს. ესთეტიკურობა არისტოკრატთა  
სისხლისმიერი მოვალეობაა და იგი ჩემში  
რამდენჯერმე აღემატება მადლიერე-  
ბას. ძროხასა და ცხენს შორის ესთეტი-  
კურ სხვაობას ფეხების სიგრძე განაპი-  
რობებს. რადგან ძროხას ცხენზე უფრო  
მოკლე და უშნო ფეხები აქვს, იგი ძალი-  
ან ცუდად დარბის, რქებიც სწორედ  
ამიტომ ამოუვიდა. სტატისტიკურად  
მტაცებლებს უფრო მეტი ძროხა ჰყავთ  
შეჭმული, ვიდრე ცხენი, ანუ რქები  
თავდაცვის საქმეშიც ჩამორჩება გრ-  
ძელ ფეხებს. მხოლოდ ერთი რომელიმე  
ჩლიქოსანი ცხოველის ყოლა რომ იყოს  
სავალდებულო, აუცილებლად ცხენს  
ვიყოლიებდი, რადგან ძროხა პერიო-  
დულად რძის მოცემას წყვეტს და  
უსარგებლო, მოკლეფეხება, რქიანი  
არსების მოვლა-პატრონობა არც ისე  
სახარბიელოა. ათი აღმოსავლელი ქა-  
ლიდან რვა ძროხას ჰგავს, ერთი ცხენს  
და ერთიც ქალს. თუ ჩემი არ გჯერათ,  
კარგად დააკვირდით აღმოსავლელი  
ქალის ფეხებს და ნახავთ, რომ ქვედა  
კიდურები ტანზე უფრო მოკლეა, ძუ-  
ძუები კი ორივეზე უფრო უშნო. სხვა  
ქვეყნებში არ ვიცი რა ხდება, მაგრამ  
აღმოსავლეთში ტრადიციების იდენ-  
ტურია ცოლის გინება, დამცირება, ცე-  
მა და მისგან ფარულად, ან დაუფარა-  
ვად საყვარლის ყოლა; აღმოსავლელი  
ქალი არა თუ გაურბიან, არამედ რქე-  
ბით იცავენ არსებულ მდგომარეობას,  
რადგან მათ მოკლე ფეხები აქვთ და  
გაქცევა არ ძალუძთ. აღმოსავლეთში  
გრძელფეხება ქალები ან ჰარმონიაში

ცხოვრობენ თავის პატრონთან, ან გა-  
ურბიან დისპარმონიას ახალი პატრო-  
ნის მოსაძებნად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს გამ-  
რუშმხეცებულ ფანტაზიებს ძირითა-  
დად მოკლეფეხება ქალები აწოვებდ-  
ნენ ძუძუს, მაინც მინდა, ვურჩიო მამა-  
კაცებს – ეცადეთ, ცხენისმაგვარი ქა-  
ლი მოძებნოთ, რადგან სათანადოდ თუ  
ვერ მოვლეთ, უარეს შემთხვევაში, ის  
უბრალოდ გაიქცევა; ძროხისმაგვარ  
ქალს ზრუნვა თუ მოაკელით, რძის მო-  
ცემას შეწყვეტს, რქენას დაგინყებთ და  
ვერასოდეს მოიშორებთ; აბა, როგორი  
ასატანია უსარგებლო, მოკლეფეხება  
და რქენარა არსება ოჯახში?! თუ იმ  
ერთ გამორჩეულ იპოვით ქალს რომ  
ჰგავს, ავრორას თქვენთვის გაუსვრია  
და ეს ის შემთხვევაა, ყოველგვარი ცი-  
ნიზმის გარეშე, რომ გისურვებთ:  
ჯვრისწერის მადლის ჟამსავესოებას,  
დღეგრძელობას, მზებგრძელობას, გა-  
ხარებას და გამრავლებას.

**ეპილოგი**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სამ-  
ყაროს დაახლოებით ოთხ პროცენტს  
ელემენტალური ნაწილაკები ინანილე-  
ბენ, ოცდახუთ პროცენტზე ცოტა მეტს  
მასა ითავისებს, სამოცდაათი პროცენ-  
ტი კი ამოუცნობი, უხილავი, ბნელი  
„მატერიაა“. ნუ გაგიკვირდებათ თუ  
გეტყვით, რომ ნებისმიერ მეცნიერულ  
მახინაზე მეტად შემოძლია ავანქარო  
აზროვნება, ანუ ყოველგვარი შეჯახე-  
ბა-აფეთქებებისა და ჰიგისის ნაწილაკე-  
ბის გარეშე განვჭვრიტო ის, რაც ასე  
ბუნდოვანია მთვარეზე ნამყოფი კა-  
ცობრიობისთვის. ის სამოცდაათი პრო-  
ცენტი, რომლის შესახებაც არავინ  
არაფერი იცის – არამატერიალიზებუ-  
ლი აზრები და იდეებია, რომლებიც არ-  
სებობენ, მაგრამ არ ჩანან, არ შეიგრძ-  
ნობიან. სწორედ ეს სამოცდაათი პრო-  
ცენტი ის, რასაც ჩვენ ღმერთს ვეძა-  
ხით, რასაც ვერ ვხედავთ, ვერ  
ვგრძნობთ, ვერ ვაცნობიერებთ, სა-  
ხელს ვერ ვარქმევთ. ადრე ღმერთი,

ანუ ბნელი „მატერია“ ასი პროცენტის-  
გან შედგებოდა, მერე გაჩნდა იდეა  
მერწყულის თანავარსკვლავედი, იდეა  
მზე, იდეა დედამინა, იდეა წყალი, იდეა  
კაცი, იდეა ქალი, იდეა ხატვა, იდეა სიმ-  
ღერა, იდეა ჭეჭა-ქუხილი, იდეა წვიმა,  
იდეა სახარება, იდეა ყურანი, იდეა წე-  
რა, იდეა „მეცხრე სიმფონია“, იდეა ფო-  
ტონი, იდეა ნეიტრონი, იდეა „ფარდო-  
ბითობის თეორია“, იდეა როკ ენროლი,  
იდეა ინტერნეტი, იდეა ტანგა, იდეა  
ჰიგისის ნაწილაკი... მოკლედ, დროთა  
განმავლობაში, იდეებისა და აზრების  
საშუალებით ასპროცენტიანი ბნელი  
„მატერია“, ანუ ღმერთი თანდათან სა-  
ხელებად გარდაიქმნა. რაც უფრო მეტი  
იდეა და აზრი გამონთავისუფლდება  
ბნელი „მატერიისგან“, მით უფრო ნაკ-  
ლებ სიბნელებში იქნება ღმერთი. თუ  
იდეები და აზრები კოსმოსისთვის სა-  
სარგებლოა, ისინი იმ ოთხ პროცენტს  
ემატება, ნაწილაკები რომ შეადგენენ;  
თუ უსარგებლოა, მას უსახური მასა  
შთანთქავს.

„სირაქლემას + რელიგიური დიეტა +  
ძროხა = აღმოსავლელ ქალს – ერთეუ-  
ლები“ – ამ იდეით, ანუ ლიტერატურუ-  
ლი განტოლებით შევეცადე ძალიან, ძა-  
ლიან, ძალიან პატარა ნაწილით გამო-  
მენტავისუფლებინა ბნელი „მატერია“,  
ანუ ღმერთი წყვდიადისაგან. რადგან  
იმ ღამეს, როცა ეს შედეგური დავასრუ-  
ლე, ჩემი კორპუსი, კომპიუტერთან ერ-  
თად არ აღიგავა პირისაგან მიწისა და  
სიბნელისგან გამონთავისუფლებული  
აზრი უსახურ მასას არ შეერწყა. გამო-  
დის, რომ კოსმოსისთვის სასარგებლო  
ჯაფა გამინევი, ანუ კიდევ ერთი ძა-  
ლიან, ძალიან, ძალიან პატარა ნაწილი  
შევიძინე ელემენტარულ ნაწილაკებს,  
რომლებიც სამყაროს მხოლოდ ოთხ  
პროცენტს ინანილებენ.



ბატონო თამაზ!  
 „ლიტერატურულმა საქართველომ“ ტაიმაუტი რომ აიღო, მას შემდეგ ცალი ფილტვით ვსუნთქავდი. ბევრს, და მათ შორის მეც, გვეჯეროდა, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო. დიას, ეს ტაიმაუტი საჭირო იყო კიდევ უფრო ახალი და გადამწყვეტი შეტევისათვის უწმინდურობისა და უკანონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამბობენ, სიმართლე მწარე აბსა ჰგავს, მაგრამ იგი კურნავს ადამიანს, ქვეყანას, ხალხს, ყველას, ვინც ბოროტებაზე და უკანონობაზე გულგატეხილი დადის.  
 ბატონო თამაზ!  
 გლოვოც ამ საყვარელი გაზეთის „საფიზნოს თავში“ დაბრძნებას სამართლიანობის აღდგენისაკენ მიმავალ გზაზე! გი-

**საქართველოს მენარტო პიროვნული აქავენი პიროვნულნი, ლიბერალნი-კრული საქართველომ“ მთავარ კვლავთვრს ბაზონ თაგაზ ნივნიპაქს**

ლოცავ არჩევნებში მიღებულ ხმათა ჩემპიონობას, რომელიც მწერალთა უმრავლესობით მიიღეთ. ამაში გამოიკვეთა თქვენდამი უდიდესი ნდობა და სიყვარული. მოგილოცავთ საქართველოს ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად არჩევას. ღმერთმა დაგლოცოთ, გაგიძლიეროთ თქვენი შეუქცევადი, მებრძოლი, შემტვენი ხასიათი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.  
 კანონის უზენაესობა ქვეყნის პოლიტიკური კულტურის უპირველესი მარკენებელია. ქვეყანაში სამართლიანობის განცდის დამკვიდრება კანონიერების კულტურის მთავარი მარკენებელია, კონსტიტუციისადმი პატივისცემაა.

სახელმწიფოში ფარული მოსმენებითა და ჩანაწერებით ღვთის მოძულეთა „გართობა“ ადამიანში პიროვნების განადგურების მკდელობის უბინძურესი მეთოდია.  
 ასეთივე ადამიანის პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების შექმნა და მისი ტირაჟირება. ეს არის ადამიანის წინააღმდეგ მიმართული ცინიზმის, პროვოკაციისა და შანტაჟის ნეოფაშისტური მეთოდებით აუტანელი სულიერი და ფსიქიკური ზეწოლა. მაგრამ არიან მტკიცე ნებისყოფის, ცეცხლგამძლე სულის ადამიანები, რომლებიც იტანენ ყველა წინააღმდეგობას და თანმიმდევრულად იბრძვიან მის ასალგამავად.

ქვეყნისა და ხალხის მოძულეთა ხელში ცოდვა ხალხიცა და ქვეყანაც. ამიტომ მიიღო ახალმა მთავრობამ გადაწყვეტილება, სამართლიანობის განცდის აღდგენის აუცილებლობაზე. მივესალმები! დანარჩენი იცის საქვეყნოდ აღიარებულმა „ლიტერატურულმა საქართველომ“, სიტყვა მასზე! როგორც ვლადიმერ მაიაკოვსკი იტყოდა: „სიტყვა შენზეა, ამხანაგო მაუზერ!“  
 მართალი სიტყვა იარაღზე ძლიერია. სწორედ მართალმა სიტყვამ წააქცია დამნაშავე მავანი ჩემს პატარა მოთხრობაში „შავსათვალისანი მამაკაცი“, რომელსაც აქვე გთავაზობთ.  
 უღრმესი პატივისცემით,  
**ჯემალ ჯაყელი**

**შავსათვალისანი მამაკაცი**



ნის ტვინი უმაღლესი ორგანიზებული მატერიაა. როგორ შეიძლება ტვინის იმასთან გათანაბრება!..  
 - ძალი ოხერია! - შეეცადა ერთი იმათგანი სამართლიანად აღმოფიქვნილი ადამიანის დამშვიდებას, - ალბათ, გრძობს რამე საერთოს... ისე, კაცმა რომ თქვას, ზოგიერთი ბოროტმოქმედის, სატანური სულის კაცის ტვინი უარესია, ვიდრე...  
 ამ სიტყვებზე ხალხი მიდგა-მოდგა. ზოგს გუნებაში გაეცინა, ბევრსაც ენიშნა... იმ გემდაკარგულმა ძალმა დრო იხელთა, შეიჭრა, ქვაფენილზე აზული ტვინის დაყნოსა, რომ დარწმუნებულიყო, მისი საყვარელი კერძი იყო თუ არა და ენა აუსვია. ძალი გააძვევს და თვალშიც გააყვოს. ის უბედური ქოფაკი ბანცალით გამოირდა იქაურობას, ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა, დაბარბაცდა და ნაიქცა. თვალეში მამინვე დაუსისხლიანდა და უცნაურად დაებერა.  
 ვილაც ცნობისმოყვარემ თქვა:  
 - ძალი გაცოფდა, ხალხო.  
 შეკამათდნენ, რას უნდა გაცოფებინაო.  
 - აზული ტვინის გემოს გასასინჯად ენა რომ გაუსვია, ეტყობა, მაშინ გათავდა მაგის საქმე.  
 - როგორ გეკადრებათ, - შენიშნა მეორემ, - ეს კაცი ცოფით არ ყოფილა ინფიცირებული. ხომ ხედავდით, სიტყვების „დეულში“ როგორ უპასუხა აბეზარ მოკამათეს. დალაგებით აღუვდა პასუხებს მებლად გამომწვევ სიტყვებზე, შენიშვნებზე.  
 - გასაკვირია! აქ ჩვენს სიახლოვეს რომ სუნსულედა, ცოფისა არაფერი ეტყობოდა.  
 - აბა, რა მოხდა? - შეეკამათნენ.  
 - რაც მოხდა, ეგ იცის იმ ძალმა და ამ უბედურმა მიცვალებულმა. პასუხს ვერც ერთისგან ვერ მიიღებ, რადგან ერთი ძალია და მეორე - მიცვალებული.  
 ისინი რომ ამ ამბავში იყვნენ, ქუჩაში პატრულმა ჩაიარა, პროფესიულმა ცნობისმოყვარეობამ დასძლია, მივიდა შევგუფულ ხალხთან და ოფიციალური ტონით იკითხა:  
 - რა ხდება აქ?  
 - ისეთი არაფერი, ბატონო! - უთხრეს.  
 - როგორ თუ არაფერი, ეს კაცი რატომ ნეცს აქ?  
 - მკვდარია, ბატონო.  
 - რა დროს ხუმრობაა, როგორ თუ მკვდარი, თვალეში დაჭყეტილი აქვს.  
 - აქვს, მაგრამ მინც მკვდარია, ბატონო.  
 - უყურე შენ, - გაუკვირა პატრულს.  
 - ვინ მოკლა, რა დამართა?  
 - შემხვედრმა ნაცნობმა, რომელმაც კარგად იცოდა მაგისი დანაშაული, როგორცაა ხალხის უმიზეზოდ დაჭყვება, პიროვნების ჩაშვება და განადგურება. სიტყვა ტყვიასავით ესროლა და წავიდა. ეს ჯერ გახვედა, მერე დაბარბაცდა და ნაიქცა. დაცემის გამო თავის ქალა გაეხსნა და ტვინი არ მოგვიტოლა, ბოლოს დრო იხელთა, შემოიჭრა, გემოს გასასინჯად ტვინი ენა გაუსვია და... კი დაინახეთ, რაც მოხდა.  
 - რა მოხდა, კაცო? - დაეჭვდა პატრული.

- ძალი გაცოფდა.  
 პატრულს ეგონა, მატყუებენო და გაბრაზებით თქვა:  
 - თქვენ ისე საეჭვოდ ლაპარაკობთ, რომ არაფერი დაგეჯერებათ. საჭიროა საქმის სწორი და სასწრაფო გამოძიება. იმის დადგენაც, მიცვალებულს თვალეში რატომ დარჩა გახელილი.  
 - მაგის ვარაუდი ასეთია, ბატონო, - მიუგეს ერთსულოვნად, - ასე ემართებათ იმათ, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე თვალეშიმდე უდრამოფხატული კოზიროკის ქვეშეშე იყურებდა, რომ სხვები დაინახოს, ხოლო სხვებმა კი ის ვერ იცნონ. შესაძლოა, მაგის თვალეშს ლამაზი, ლაყვარდოვანი სუფთა ცა დანახული არ ჰქონდა. ახლა დრო იხელთა და თვალეში გაახილა.  
 პატრული ჩაფიქრდა, სახე საკმაოდ შესამჩნევად შეეცვალა და ხალხი დაარწმუნა, რომ ყველაფერს გამოიკვლევდნენ. მან ძალიან კარგად იცოდა, რომელი სამსახურის თვითმარქვია თანამშრომლები დადიან ასე და ბრძანა: მიცვალებული მორგში გადაყვანა საჭიროო.  
 მართლაც მოვიდა მორგის მანქანა და ის უბედური წაიღეს. მის დანთხულ ტვინს კი ქვიშა დააყარეს, გამვლელმა შემთხვევით ფეხი არ ჩაქრას და ფეხსაცმელი არ დაესვაროსო. როგორ შეიძლება ტვინის შედარება სიბინძურესთან...  
 პატრულმა სიგარეტი გააბოლა და თავის თავს შეეკამათა:  
 „რა მნიშვნელობა აქვს, მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძალი, ფეხსაცმელს თუ დაგისვრის, რა მნიშვნელობა აქვს, რა არის ის. თუმცა მინც შეურაცხყოფელი ამის გაფიქრებაც კი“.  
 სიმპათიურმა პატრულმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას და წავიდა. ის მიიღოდა ერთგვარად შინაგანად განწმენდილი იმ გადაწყვეტილებით, რომ არასოდეს ხალხის გულს სატყვენი საქმეს არ ჩაიდნეს და ასეთს არც არავის აპატიებეს. ადამიანის მიმართ ხალხის დაეჭვება, ჩაძირვა და სხვა იმაზე უარესია, რომ ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლო.  
 თვითმარქვია ინკოგენით თანამშრომლებმა კი, რომელი სამსახურშიც უნდა იყვნენ, უნდა დაიბრუნონ ადამიანის სახე... და ადამიანში პიროვნება კი არ გაანადგურონ ცინიზმის, პროვოკაციის და შანტაჟის მეშვეობით, არამედ განადიდონ.  
 P.S. „ობობას“ მარკის ავტომანქანის პატრონი ყოფილა ის უპატრონო, ღვთისაგან დაწყვეტილი ჰომოიდი, ქვაფენილზე ტვინი რომ დაანთხია.  
 გემდაკარგულ ძალს მისი ტვინი ის სიბინძურე ეგონა, რომელსაც დიდი სიამოვნებით მიირთმევდა და ენაც იმიტომ აუსვია, მაგრამ... გაცოფდა!  
 საბრალო ძალი...  
 მოძებნეს და მოიყვანეს.

მთავარმა გამკვეთმა გულის ფიცარი გადახსნა და უბედური შემთხვევის მიზეზის დასადგენად მუშაობას შეუდგა. მთავარი მიზეზი იყო ის, რომ დაედგინათ, ეს კაცი მართლაც ინფარქტით აღესრულა თუ აქ რაიმე სხვა მიზეზი იყო. მკერდის განაპობში ხელი ჩაყო, მაგრამ გული თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. ბრძანა, ძლიერი შუქის ჩაენათეხნათ განაკვეთში. ასეც მოიქცნენ, მაგრამ ჰოი, საკვირველებაც, გული დაბადებიდანვე უკან, ზურგისკენ იყო შებრუნებული. მინც ამოიღეს და დაადგინეს, რომ სიკვდილის მიზეზი იყო დიდი და მძიმე სტრესის შედეგად მიღებული ინფარქტი.  
 იულიამ ამოიცნო გვამი, მაგრამ „პირში წყალი ჩაიყენა“, არა და არ გააახილა ამ კაცის ვინაობა და საქმიანობა. ის იყო „ობობას“ მარკის მანქანის პატრონი. მისი ვინაობის გამხელა-გამჭლადების უფლება არ ჰქონდა, რადგან ის იყო იმ სამსახურის თანამშრომელი, რომლის სახელსაც არ ახენებენ.  
 პატრული დაინტერესდა გაკვეთის შედეგებით და ექიმს ჰკითხა:  
 - როგორაა, ბატონო, საქმე?  
 - ინფარქტი მოსვლია. მისი ნაცნობი წინ გადაუდგა, ჩადენილ დანაშაულში ამხილა, სიტყვა ტყვიასავით ესროლა და ეს უბედური წაიქცა...  
 - გასაგებია! - თქვა და ჩაფიქრდა პატრული. გაუკვირდა, გემდაკარგულ ძალს ამისი ტვინი რატომ ეგონა ის, რასაც ასე ეტანება, ტვინის დაყნოსვასა და ენის გასმაზე რატომ გაცოფდა, მიცვალებულს ხარვივით ბრძანა თვალეში გახელილი რატომ დარჩა, გული რატომ ჰქონდა და ამ კაცს შებრუნებული? „კარგი, ბატონო, ამ ყველაფერს შეიძლება პასუხი მოეძებნება, მაგრამ ის მინც შეურაცხყოფელია, რომ დანთხულ ტვინზე ქვიშა დაყარეს, გამვლელმა შემთხვევით ფეხი არ ჩაქრას და ფეხსაცმელი არ დაესვაროსო. როგორ შეიძლება ტვინის შედარება სიბინძურესთან...“  
 პატრულმა სიგარეტი გააბოლა და თავის თავს შეეკამათა:  
 „რა მნიშვნელობა აქვს, მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძალი, ფეხსაცმელს თუ დაგისვრის, რა მნიშვნელობა აქვს, რა არის ის. თუმცა მინც შეურაცხყოფელი ამის გაფიქრებაც კი“.  
 სიმპათიურმა პატრულმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას და წავიდა. ის მიიღოდა ერთგვარად შინაგანად განწმენდილი იმ გადაწყვეტილებით, რომ არასოდეს ხალხის გულს სატყვენი საქმეს არ ჩაიდნეს და ასეთს არც არავის აპატიებეს. ადამიანის მიმართ ხალხის დაეჭვება, ჩაძირვა და სხვა იმაზე უარესია, რომ ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლო.  
 თვითმარქვია ინკოგენით თანამშრომლებმა კი, რომელი სამსახურშიც უნდა იყვნენ, უნდა დაიბრუნონ ადამიანის სახე... და ადამიანში პიროვნება კი არ გაანადგურონ ცინიზმის, პროვოკაციის და შანტაჟის მეშვეობით, არამედ განადიდონ.  
 P.S. „ობობას“ მარკის ავტომანქანის პატრონი ყოფილა ის უპატრონო, ღვთისაგან დაწყვეტილი ჰომოიდი, ქვაფენილზე ტვინი რომ დაანთხია.  
 გემდაკარგულ ძალს მისი ტვინი ის სიბინძურე ეგონა, რომელსაც დიდი სიამოვნებით მიირთმევდა და ენაც იმიტომ აუსვია, მაგრამ... გაცოფდა!  
 საბრალო ძალი...

სიტყვა დაელო საფუძვლად კოსმიურ განსხვავებას. ღვთიურმა სიტყვამ შექმნა ციური ასტრალური სამყარო, მიწა და მიწის ბინადარი... ბნელისგან იშვა ნათელი და დაბადა ცნობიერი ადამიანი, ხატი უფლისა, მიკრო და მაკროკოსმოსი... სიტყვა ღვრიტა ადამიანის ადამიანად ქცევისა, მისი სულიერი ტაძრის აგების საფუძველი. ამ ტაძრის მსახურნი კი ქურუმები ბრძანდებიან, ყველა ჩვენგანში აზრის ნაპერწკალს რომ აჩვენონ და მერე გონებასაც გვიანათებენ... მეტიც, მისი მადლი და ძალი უფროვე ფასიანი და მადლმოსხმულიც არის: ის არის ერის შენობის საძირკველი და საყრდენი კედლების შემდგობელი. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენი თავისთავადობის შინაური თუ გარეული მტრები, უპირველეს

### ფიქრები ლაშა ნადარეიშვილის კოეზიზაზე

მომავალ უბედურებასაც მოიცავს, რაც აღსრულდა კიდევ: იმჟამინდელი ერთობ საგანგაშო მდგომარეობა, უფროვე მასშტაბური ფორმით, დღესაც გვახსენებს თავს. ამიტომაც არის, რომ პოეტის ეს ხილვა, ამხდარი რეალობაში, ერთგვარი მისტიკური ელფერი რომ დასდევს, მეტ დამაჯერებლობას და დარწმუნების ძალას იძენს. პოეტის ტრაგიკულ განცდას ამდაგვრებს გახსენება ჩვენი უახლესი წარსულისა, როს ილიას მკვლელობა გაუელვებს წამიერად და ამოიკვნესებს კიდევ: „რა უნდოდა მიწას გულთან, ისევ კივის წიწაშურთან ავაზაკის გასროლილი ტყვია“.

რომელიც დროდარო, განსაკუთრებით კი ექსტრავაგანტურ ვითარებაში, აქვეყნებდა საკუთარ პოეტურ ნიმუშებს, საოცარი უშუალოდობითა და გულწრფელობით მკითხველის დიდი მოწონება რომ დაიმსახურეს. დაბოლოს, პოეტმა ამ ლექსებს თავი მოუყარა და 2012 წელს გამოსცა კრებული – „ემაფოტზე წარმოსათქმელი ლექსები“.

საერთოდ, ლექსის სათაური მისი სემანტიკური სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც გვეხმარება პოეტური ქმნილების სრულყოფილ აღქმა-გაგებაში. ამ თვალთახედვით არანაკლებ მნიშვნელოვანია წიგნის დასათაურებაც,

გრძნობის, რომელიც მოგვიანებით პატრიოტიზმის სახელით მონათლეს, წარმოშობას აქვს ლოგიკური კონკრეტული საფუძველი, მაგრამ, იმავდროულად, იგი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაც გახლავთ, რადგანაც ადამიანს, სადაური წარმომავლობისაც უნდა იყოს, ამშვენებს ადამიანობის ატრიბუტი, რაც სწორედ ზემორე ხსენებული გრძნობით არის გაჯერებული. ამიტომაც იყო, რომ მის უარყოფელთ ადამიანებად არც კი რაცხდნენ ჩვენი წინაპრები – უდიდესი პოეტნი და ფილოსოფოსნი. შესაბამისად, საესებით ბუნებრივია, რომ ეს გრძნობა ოდითგან მოყოლებული დღემდე უმთავრესი და განმსაზღვრელიც იყო ქართული რელიგიური, ფილოსოფიური თუ მხატვრული აზროვნებისა.

## სამომხრომ რაიმ - ზფლის აღაომ - ას მარაღანად გინვევ ჭრილოზას?

ყოვლისა, ენას ესხმოდნენ და ესხმიან დღესაც თავს. საწუხარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში შინაური მტრები უფრო საშიში და ვერაინ არიან, ვიდრე გადამთიელნი და გარმაინელები!..

ამიტომაც უპირველესი ვალაია მამულიშვილისა, დაიცვას იგი ამ ბოლო დროს მომრავლებულ მტერთაგან. იმ ერისკაცთა შორის, ვინც ეროვნულობის ციხე-სიმაგრის კარიბჭესთან დგას, ერთ-ერთ თავდადებულ მებრძოლად ლაშა ნადარეიშვილი მეგულება, რომელიც აგერ უკვე რამდენი ათეული წელია, ეროვნული სულით აღვსილი გახეთით, „ასავალ-დასავალით“ ელოლიაგება ქართულ სიტყვას და პრინციპულობითა და შეუვალობით იცავს ჩვენი ერის ვინაობას და თვითობას ბოლო დროს ჭაობიდან ამობოდებული ჭია-ლუებისგან, თავი რომ მსოფლიოს ცაზე მფრინავ შევარდნებად წარმოუდგენიათ.

ამჯერად სწორედ ამ თვალთახედვით გვინდა ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ლაშა ნადარეიშვილის ერთობ საინტერესო ლექსების კრებულზე – „ემაფოტზე წარმოსათქმელი ლექსები“, რომელიც ავტორის პოეტური აზროვნების აღსაქმელად მრავალმხრივ საყურადღებოა. მაგრამ ჩვენს ყურადღებას ის, უპირველეს ყოვლისა, იმსახურებს, როგორც მხარადან დაშვებული ანკარა წყარო, სამშობლოს სიყვარულზე რომ იღუმალი ენით ჯიუტად გეწურჩულებს.

ლაშა ნადარეიშვილს პირველად დაახლოებით ოცდაათი წლის წინ შეეხვდი. მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი ვიყავი. რედაქციაში ყმაწვილი კაცი მეწვია, ლექსის ხელნაწერი გადმოცა და მორცხვად გვერდზე გადგა – პასუხის მოლოდინში... ლექსი რამდენიმეჯერ წავიკითხე, ძალზე მოვიხიბლე და მიუხედავად იმისა, რომ გახეთის ნომერი უკვე აწყობილი იყო დასაბეჭდად, მაინც იმავე ნომერში დაგებეჭდე. ამ ლექსს, რომელსაც სათაურად „დავითი“ ამშვენებდა, თავისი დინამიზმით, ეგფონიური ჟღერადობით და ალეგორიზმით შეუძლებელია, მკითხველზე შთაბეჭდილება არ მოეხდინა. აბა, გაეცხსენოთ:

ეს ზაფხულიც გათავდება,  
შემოდგომა გათათრდება,  
მოედება  
ბასიანს და ხრესილს...  
ცის თავანი დაიხრება,  
ჯოჯოხეთი განიხრება,  
საფლავებზე დაიყრება ხრემი.

ეს ლამის აპოკალიფსური სურათი იმჟამინდელი რეალობის ალეგორიული გადმოცემაა, რომელიც პოეტისეული ღრმა შინაგანი განცდით არის გაჯერებული. მაგრამ, იმავდროულად, წინასწარმეტყველის ხილვისეული აღქმით ქვეყნის

### ელიზბარ ჯაველიძე

მაგრამ საგანგაშო ის არის, რომ საქართველოს უხილავი თუ ჩენილი მტრები თანდათან კიდევ მეტად კანდიდებიან, მეტი პრეტენზია უჩნდებათ და მათი „გამოხრული თავები“ სვეტიცხოველსაც ჩემულობენ. ცხადია, კონკრეტულ პოეტურ კონტექსტში სვეტიცხოველი ოდენ ხუროთმოძღვრული ძეგლი როდია, ის არის ეროვნული სული, ცხოველი სვეტი, ეროვნულ თავისთავადობას რომ ამყარებს. შესაბამისად, პოეტის მიერ შემოკრული მწუხრის ზარის ექო უფროვე აღიქმება და ამ უსასოობის ჟამს ჩვენი დიდი წინაპრის, დავითის, სახე იმედად ევლინება და მას ვედრებს, სინათლისკენ გაგვიძღვეს და დიდგორის გამარჯვების რწმენას გვაზიაროს.

იქნებ უკვე მეტიც გთხოვეს,  
იქნებ უკვე სვეტიცხოველს  
იქაღინავე  
გამოხრული თავით...  
დიდგორიდან გადმოდექი  
და თუ შვილად გამოვდექით,  
სინათლისკენ გაგვიძეხი,  
დავით!

ეს სადაფის სისადავით ნათალი ლექსი მაშინ დაიწერა, როცა ეროვნული მოძრაობა ახლად იღვიძებდა და ქართლსა თუ ჯავახეთზე გაბატონებას ლაშობდნენ ჩვენი მეზობლები. ამიტომაც ქართველთა დროების შესაბამისი საერთო გულისწუხილის და სულის ყივილის წარმოსახვა გახლდათ. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არი იყო მხოლოდ დროის ჩარჩოებში მოქცეული კონკრეტული ვითარებით აღძრული ტკივილი და აღტყინება. არამედ ეს გახლდათ წარსულის, ამჟამინდელი ყოფის და მომავლის პერსპექტიული აღქმის საერთო განცდა, რომლის დროსაც პოეტი ცდილობს, წარსულის ნათელი ფერებით გადაფაროს ბნელი აწმყო და არცთუ კეთილი მყოფად. ამიტომაც ამ ლექსის წაკითხვა, გნებათ, დეკოდირება, სწორედაც რომ, დიდი დროის მანძილზე – წარსულის, აწმყოსი და მყოფადის ასპექტში შეიძლება მოხდეს. და, ამავე მიზეზით, მისი დაწერის შემდგომ, მიუხედავად მრავალი წლის გავლისა, ის დღესაც არ კარგავს აქტუალობას, ზემოქმედების ძალას და ემოციური ზემოქმედების ეფექტს!

მეტიც შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის ცხოვრება-განვითარება იმდევარ კალაპოტში და ისეთი მიმართულებით მიდინება, რომ პერსპექტივაში რაიმე საიმედოს და დასამშვიდებელს არ გვიქადის... მოგვიანებით ლაშა ნადარეიშვილი ქართველმა საზოგადოებამ გაიცნო, როგორც ერთობ პოპულარული გახეთის არანაკლებ პოპულარული რედაქტორი,

რომელიც გასაღები გახლავთ კრებულში თავმოყრილ, ერთი შეხედვით, განსხვავებულ აზრთა შემცველ ლექსთა სემანტიკური სისტემის საერთო საფუძვლის მოსაძიებლად, რასაც საბოლოოდ შემოქმედის მსოფლადქმის გაგებად მიგვაყაროთ და იღუმალი ჩანაფიქრის წვდომას გვიადვილებს.

ჩვენი აზრით, ლაშა ნადარეიშვილის კრებულის არცთუ ორდინარული სათაური უპირველესად გვაუწყებს, რომ ლექსთა მსაჯული და განმკითხავი მკითხველი საზოგადოებაა, რომლის განჩინებაც ძალზე მნიშვნელოვანია, რამეთუ მას ძალუმს პოეტის ემაფოტზე აყვანა. უფრო სხვაგვარად, ის ფიქრობს, რომ პოეტის ხვედრი ერთობ მძიმეა და იგი მზად უნდა იყოს უმადლესი სასჯელისათვის. აკი თავის ერთ-ერთ ლექსში ამას თავადაც ცხადად გვაუწყებს:

პოეტი უნდა  
უფალთან წარსდგეს,  
მშვიდად მიიღოს  
სასჯელი მოგვთა...  
არა,  
პოეტი არ უნდა აღსდგეს,  
თუ ერთხელ მაინც  
პოეტად მოკვდა!!!

დაიხ, ლაშა ნადარეიშვილისათვის ჭეშმარიტ პოეტად სიკვდილი უფრო ფასეული გახლავთ, ვიდრე არაფრისმთქმელი ლექსებით ყელყელაობა. ამიტომაც თავის ზნეობრიობასა და მამულიშვილური პოზიციის მართებულობაში დარწმუნებული, მზად არის საკუთარი ლექსები ემაფოტზე დამდგარმა, თუნდაც სასიკვდილო განაჩენი ემუქრებოდეს, წაკითხოს, რადგანაც, მისი რწმენით, პოეტიც ერისთვის კალმით მებრძოლი ჯარისკაცია, რომელიც მზად უნდა იყოს, ქვეყნის გადარჩენისთვის თავი გაწვიროს.

მაინც რა არის ის გრძნობა და ფიქრი, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას?! ეს გახლავთ, არც მეტი არც ნაკლები, სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარული და მისი ურყევი ერთგულება. ეს გრძნობა არახალია: მას შემდეგ, რაც კი ადამიანი ადამიანად იქცა და გააცნობიერა, რომ სამშობლო მხოლოდ საცხოვრისი არ არის, არამედ უფრო ღრმა და ტევადი ცნებაა, რომელიც წინაპრის და მომავალ თაობათა სიყვარულის, შთამომავლობის გენეტიკური ჯიშის განმსაზღვრელი კოდია, სულიერების, ცნობიერების, აზროვნების, ეროვნული კულტურის, ტრადიციების და ზოგადად ხასიათის საფუძველთა საფუძველიც არის, მას უნდა ელოლიაგებოდეს ყველა, ვინც ადამიანობამდე ამდღდა და ცხოველის საფეხურზე არ დარჩა. ამ

მას შემდეგ, რაც ღმერთი ავად გამოაცხადეს და ადამიანის მსგავს არსებას მოაკვლევინეს (კირკეგორი, ნიცშე), მას შემდეგ, რაც ადამიანთა ერთმა ნაწილმა ღმერთს ზურგი აქცია და ემპაქისაკენ პირი იბრუნა, გადაგვარებულ არსებათა ერთი ნაწილი, თავს ადამიანებად რომ მოიხსენიებს, ამ ღვთიურ გრძნობას აბუჩად ივლებს, ცხოველურ ინსტინქტებს წინ წამოწევს და ამით ამყოფს კიდევ. ერთი სიტყვით, ცხოველობას და ცხოველურ თავისუფლებას ამჯობინებს ადამიანობასა და ადამიანურ ზნეობას.

ამ სენმა ბოლო ხანებში, ჩვენს სინამდვილეშიც იჩინა თავი. განსაკუთრებით ნეოლიბერალური იდეებით ნასაზრდობე, უნიჭობით დაღდასმულ და ამ უნიჭობის „ორიგინალურობით“ გადაფარვის მოწადინე ე.წ. მწერლებში, თავადვე მეტისმეტი მონდომებით პოეტისა და პროზაიკოსის სახელს რომ ირქმევენ და ქა ქულად არ მიანჩნათ და დედამიწა – ქალამნად. ამ ქონდრისკაცთა გნაისს კაცი ყურადღებას არ მიაქცევდა, რომ არა ერთი საშიში ტენდენცია – ამ უხამსობის გავრცელებას დიდი მონდომებით პროპაგანდას უწევს პრესა, განსაკუთრებით კი ელექტრომედია და, რაც მთავარია, ყოველივე ეს ხდება სულგაყიდულ ხელისუფალთა თავკაცობით, ამგვარი ავადმყოფური გადახრები სახელმწიფოს პოლიტიკად რომ გამოაცხადეს.

აი, სწორედ ამ ანტიეროვნულ იდეოლოგიას, მსოფლიო გლობალური პოლიტიკით რომ არის ნასაზრდობე და წარღვნის წამლეკავ ძალად ევლინება მთელ კაცობრიობას, ებრძვის ლაშა ნადარეიშვილი ეულად, ვითარცა ჯოჯოლა. საგულისხმობა, რომ ეს კრებული იწყება ლექსით, რომელიც მთლიანად მებრძოლის სულის აღტყინებით არის შემართული:

დარუბანდის  
კართან გელი,  
არც – სამშობლო,  
არც მხედრობა...  
ვარ ქართველი  
ესე იგი,  
შემრჩა  
ბრძოლის  
თავხელობა!!!

ამ ერთგვარი სიამაყით წართქმულ სიტყვებს წინ უძღვის სევდიანი უვერტიურა, რომელიც გვაუწყებს, რომ ყოველივე ქვეყნად წარმავალია, ყოველი აღხევებული მეფე დაემშობა, იმპერიებიც დაემშობილა და დაემშობა მომავალშიც, როგორც კართავენი, ოსმალეთი... ამ ისტორიულმა ქარტეხილებმა მას სამშობლო წაპყვარეს, მხედრობაც გაუფანტეს, მაგრამ ერთი რამ ვერ დააკარგვინეს, ეს არის ქართველობა! ხოლო პოეტის გაგებით, ქართველობა ევროპელობა კი არ

არის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, „ბრძოლის თავხედობა“. სწორედ ამიტომაც ის ჯოჯოლას გენის მატარებელი ეული მეციხოვნეა, რომელსაც სწადია, „მარტოკა“ შეებრძოლოს გარემორტყმულ მტერს.

ლამა ნადარეიშვილს სწამს, რომ გენეტიკურად ქართველობა დიდი სიმდიდრე და ფასეულობაა. მისთვის აქ დაბადებაც და აქ სიკვდილიც – ეს არის უდიდესი საგანძური, რომელიც უნდა დაიცვას ყველა მამულიშვილმა, თუნდაც ეს სისხლის ფასად დაუჯდეს. მას ისიც კარგად აქვს გააზრებული, რომ ეს იოლი საქმე რო-

**აქ დავიბადე  
და აქ მოკვდები,  
სხვა საგანძური  
არ გამაჩნია...  
ხმალო, ბრძოლაში  
ნუ დამოკვდები,  
ვიდრე კრწანისი  
დაღად მაჩნია!**

მაგრამ, რადგანაც, პოეტის მოსწრებულ თქმით, ქართველობა ღვთის მიერ გამოტანილი „მარადიული განაჩენია“, რაც ყველა ქართველს და თავად პოეტს სიამაყით ალაგვებს, მის დაცვას განსაკუთრებული სიფხიზლე ესაჭიროება. ქართველობამ ძილქუშს თავი უნდა დააღწიოს, რასაც თვით ღმერთიც ელოდება. ხოლო გამოღვიძებულმა ქართველებმა კვლავ უნდა დაბადონ დავითი, რომელიც, მისი პოეტური წარმოსახვით, არის სიმბოლო საქართველოს სიძლიერის, ქართველთა უტყუარობის და, საერთოდ, ერის მარადიული არსებობისა. აბა, მოეხმობთ თავად პოეტს:

**ჩვენს გაღვიძებას  
ღმერთიც ელოდა,  
დავითი ისევ  
გასაჩენია...  
და მიხარია,  
რომ ქართველობა  
მარადიული განაჩენია!**

„ქართველობა მარადიული განაჩენია“-ო – ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ამბობს პოეტი და ამ სადა ფრაზისგან რაოდენი გრძნობა იღვრება, რაოდენი ზემოქმედების ძალი შესწევს ამ ორ სიტყვას და მკითხველშიც, რომელსაც ოდნავ მაინც აწუხებს სამშობლოს სიყვარული, დიდ ფიქრსა და განსჯას აღძრავს: მამ, რაღაა ქართველობა, თუ არა უფლით დადგენილი ვიში, გამორჩეული და შეუფასებელი საგანძური, ჩვენი დიდი წინაპრების მიერ ქარცეცხლში გამოტარებული და დღემდე ჩვენამდე მოტანილი, რომლის დაკარგვის უფლება არავის აქვს, განსაკუთრებით კი მათ, ვინც ქართველად დაბადებულა და ქართველადვე სიკვდილს აპირებს. და ერთიც, მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო ლექსი მთლიანად დღეს არსებული დროებისა და ვითარების ამსახველია, მისი (დროის) განვითარების ბუნებრიობა დარღვეული და უგულვებელყოფილია და წარსული, აწმყო და მომავალი ისეა ერთ მთლიანობაში აღქმული, რომ მისი დანაწევრებული გააზრება შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით, მისტიკოსების გაგებით, საფუძველი დროის კატეგორიისა, მარადიული ყოფიერების და ერთარსებობის განცდისა, რომლის დამსარცხებელია. ეს არის წამი, როცა სამშობლო, თავისი წარსულთა და მომავლით, ბედკეთილობითა და უბედობით ერთ სიბრტყეზეა აღქმული და იგი ერთადერთ ღმერთის დარად მოიაზრება.

თუმცა, თუ გადავხედავთ ლამა ნადარეიშვილის პოეტურ სამყაროს, დავრწმუნდებით, რომ იგი ჩვენი ისტორიული წარსულის როგორც დიდების, ამაღლების და გმირების და აწმყოს, როგორც ერის დაკნინებისა და დაცემის სიმბოლოს ნიშნად უპირისპირებს ურთიერთს. ეს მკვეთრი კონტრასტი კი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ქართველის ძილქუშიდან გამოფხიზლებას და მისთვის იმედის მინიჭებას. პოეტის სული აღვსილია ქართლის ხედვით, ბეთანიის მონასტერი

კი დიდი თამარის ოქროს ხანას აგონებს, რაც ერთგვარ სიამაყეს ანიჭებს მას. მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდლობის გახსენება სულ სხვა ფიქრებს აღუძრავს და სევდას გვრის პოეტს, იგი დაექმებს დიდებით გაბრწყინებულ სამშობლოს: „გეძებ მთაში და გეძებ ბარადო, საქართველო, ჩემო მარადო“. ეძებს მეხსიერებაში შემორჩენილ, დიდების შარავანდელით გაბრწყინებულ სამშობლოს. მაგრამ დღევანდლობის აუტანელი ვითარება ბუნებრივად აღძრავს მასში სარკაზმულ კითხვებს:

**საღლა არაინ  
ახლა ისინი,  
მამულში ისმის  
გველთა სისინი!**

ეს გველის სისინი აფრთხობს და მოხვედრას უკარგავს ლამა ნადარეიშვილს, რომელიც გრძნობს, რომ ყოველივე ეს სიკეთეს არ უქადის ჩვენი ქვეყნის მომავალს, მაგრამ ის მაინც ცდილობს იმედით და ბრძოლის ჟინით ალაგვოს თავისი თანამემამულენი, ამიტომაც მისი სამშობლოსადმი მიმართვა და მოწოდება საოცარი დამაჯერებლობითა და მორწმუნე ადამიანის ურყევი რწმენით არის გაჯერებული:

**ჩემო ერთავ და  
ჩემო ნაწილო,  
მინდა, იმედი გაგინაწილო:  
ლოცვით დატოვე  
უფლის ტამარი  
და დიდგორისკენ  
ჯარი დაძარი!!!**

აბა, დააკვირდით, რა უბრალო და თითქოსდა ჩვეულებრივ მიმართვაში: „ჩემო ერთავ და ჩემო ნაწილო“, რა არაჩვეულებრივი და ტევადი აზრია განფენილი, რაოდენ დიდი სიყვარულის გამოხატულებაა ეს მიმართვა, გულიდან რომ ამოხეთქავს და სულის ერთ იფრქვევა... სწორედ ეს განსაკუთრებული მკითხველში ათასი ფიქრის აღძვრისა და ურყევი იმედის დაბადებისა. პოეტის ამ მიმართვას რაღაც მისტიკური იდეალუბა ახლავს, რაც კიდევ უფრო ღრმა შინაარსს და დარწმუნებას სძენს მომდევნო, ასევე თითქოს სპონტანურად გამოთქმული ფრაზით: „ლოცვით დატოვე უფლის ტამარი და დიდგორისკენ ჯარი დაძარი!“, გვარწმუნებს პოეტი ყოველგვარი ფიცილის და არგუმენტების გარეშე, მაგრამ სწორედ ეს მშვიდი და უდრეკიველი ტონი მას ანიჭებს იმეგარ დამაჯერებლობას, როგორც უფლის ტამარში ტემპირატივად მორწმუნე ქრისტიანის ლოცვას ახლავს ხოლმე.

საერთოდ, პოეტს მუდამ თან სდევს და არ ასვენებს სამშობლოს ხატი. როცა ფხიზლობს, ქვეყნის აწმყო და მომავალი ადარდებს, ძილს მისცემია და კვლავაც მამულის დასაცავად მახვილს ლესავს. მას არ ღალატობს გენეტიკურად გადმოცემული სიამაყე და ვედრებს უფალს, რომ კავასისი ქედი, კავკასიელთა ყველა ტომის უდრეკელობის და მარად არსებობის სიმბოლო, დაადგას მკერდზე. საგულისხმოა ისიც, რომ მშვიდ და მღორე რიტმულ კონსტრუქციას თანდათან ენაცვლება დინამიკა და ყოველივე სულიერი თუ უსულო მოძრაობაში მოდის, პოეტის ამგვარი აღტყინება ბუნებრივად წარმოიქმნება; რადგან ის უმადლეს მშვენიერებას სამშობლოს ბუნების წარმოსახვით აღიქვამს. მაგრამ, როგორც ხდება ძლიერი, ამაღლებული გრძნობის მოზღვაგების დროს, მასაც ვერ გაუცნობიერებია, თუ რა არის ამ აღტყინებისა და სიყვარულის მიზეზი და ამიტომაც მიმართავს ყოვლის შემოქმედს, აუხსნას, თუ რატომ უყვარს ასე ძლიერად „სვანური“ და „მეგრული“ „სისხლით ქართული იავანა“? ამ შემთხვევაში მის კითხვებს რიტორიკული ელფერი გადაჰკრავს, მაგრამ სავსებით დაცლილი ხელოვნურობისგან:

**„რატომ მაგიჟებს  
ველი ალაზნის,  
რად ვიბადები  
ისევ იორთან,  
ანდა ფაზისი –  
ასე ლამაზი,**

**პონტოს ნაპირთან  
როდის მიგორდა?“**

ეს დინამიზმი ლექსის მომდევნო სტროფებშიც არ ნელდება, პირუკუ, კიდევ უფრო ძლიერდება და მკითხველსაც თან იყოლებს და მას ექსტაზურ განწყობას ჰგვრის: ის ნათლად აღიქვამს დაუდგრომელი თერგის და ენგურის ღრიალს, ალაზნის და რიონის მშვიდი დინების დგაფუნს. მაგრამ არსებითი მაინც ის არის, რომ საქართველოს მდინარეთა ეს განსხვავებული მდინარეა მეტაფორულ დონეზე გადმოგვცემს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა განსხვავებულ ხასიათებს, რასაც ასევე კარგად აღიქვამს მკითხველიც. თუმცა, ამ მდინარეებს მეტი სემანტიკური დატვირთვა აქვთ, ისინი გვაგონებენ ჩვენი ქვეყნის ქართველებში გამოტარებულ ისტორიას და მომავალში არანაკლები საფრთხის დადგომასაც გვაუწყებენ, ამიტომაც არის, რომ პოეტის მშვიდი, დინჯი ტონი ყვირილმა შეცვალა:

**რატომ იხრჩობა  
მტკვარში არაგვი  
ან ვის ეძახის  
ახლა ყვირილა?  
თუ საქართველოს  
მტერი გადაგვის,  
მზუც დააყრუოს  
ჩემმა ყვირილმა!**

პოეტის ეს სულის ძახილი თუ ყვირილი ღრმა ტკივილითა და უკურნებელი სენით არის გამოწვეული, რასაც წარმოშობს საქართველოს ავადმყოფი წარსული, არანაკლებ ბედკრული აწმყო და იმედით მბრუნავი მომავალი, რომლის ნათელ ფერებში წარმოჩენა ჯიუტად სურს პოეტს, მაგრამ ვაგლახ, არსებული რეალობა ამის წარმოსახვას აბრკოლებს და ისევ მხილებას ამჯობინებს:

**საქართველოსთვის  
აჭრიან ტუპუს  
საქართველოდ  
კვეთენ მარჯვენას!  
მე ვერ გაპატიობ  
ტირანთან ტუნძულს,  
ვიცი – ღალატში  
ისევ მარჯვე ხარ!**

ამ ტრაგიკული სურათის ფონზე, როცა ღირსეულ ქართველებს რწმენისა და მამულის სიყვარულისთვის ტუპუს ავლევდნენ, მარჯვენას ჭრიდნენ, ლამა ნადარეიშვილი გვიხატავს სულგაყიდული თანამედროვე ქართველის პორტრეტს, ტირანთან რომ დაძუნძულებს და ღალატობს და ყიდის ქვეყანას. ამ კონკრეტულ ფაქტს, დღევანდლობას რომ ესიტყვება, კვლავაც მოჰყვება ჩვენი ისტორიული წარსულის მოგონება: პომპეუსიდან მოყოლებული ჯალალედინის ჩათვლით – იხსენებს დიდგორის გამარჯვებასაც და მარბდის მარცხსაც, თავად ქართველთა ურთიერთქმედობა და გაუტანლობა რომ გამოიწვიას. პოეტს იმდენად აქვს გათავისებულები ისტორიული დრო, რომ მასშია გარდასახული. ამჯერად წარსული და აწმყო მის ქვეცნობიერებაში ერთ მთლიან განცდად არის მოცემული, რომელიც თავს იჩენს ცნობიერ დონეზეც და იგი თავს გარდასული ტრაგედიის თანამონაწილედ აღიქვამს და გვარწმუნებს, რომ „გუშინ შემოპყრო ჯალალედინმა, მერე მტეტხთან თავი მომკვითა“-ო და ამ სინამდვილესთან შეუსაბამო რწმუნებას მხატვრული ზემოქმედების იმეგარი ემოციური ძალა ახლავს, მკითხველს ეჭვიც არ ეპარება მის რეალობაში. აი, ეს განსაკუთრებული ეფექტი, როცა სინამდვილეს, რეალობას ამარცხებს ხელოვნება და მხატვრის ნიჭიერება. ყოველივე ამის შემდეგ კი, სავსებით სარწმუნოა პოეტის მომავლის რწმენა და იმედიანობა, ქართველ ხალხს რომ უნდა დაუბრუნოს. ამ იმედის აღმძვრელი თავად პოეტსა და ქართველებში ჩვენი გმირი წინაპრებია:

**მე სამარეში  
გმირები მიწვეს,  
ფრთხილად ვეხები  
ღვთიურ ფილაქანს...**

**ჩვენ დავიბრუნებთ  
დაკარგულ მიწებს!  
ჩვენ ზღვიდან ზღვამდე  
გავფლით იალქანს!**

ლამა ნადარეიშვილის ესოდენ დიდი ყურადღება ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი, ძირითადად, სწორედ დღევანდელი ავადმყოფობით არის გაპირობებული. ჩვენი ისტორია მისთვის, ერთი მხრივ, არის ქართველი ხალხისთვის შეხსენება იმისა, რომ ჩვენი წარსული – ეს იყო განუწყვეტელი ომი მომხდურ მტერთან, რომელიც დროდადრო კი გვამარცხებდა, მაგრამ საბოლოოდ ვერ იმარჯვებდა, ვერ აღწევდა უმთავრეს მიზანს – ქართველს ხელი აეღო სამშობლოსა და ქართველობაზე, ხოლო მეორე მხრივ, ამ გმირული წარსულის გახსენებით ყველა ჩვენგანისთვის დაეხრებინა ღირსების გრძნობა, რაც მაგანთა და მაგანთა მცდელობით ასე თვალსა და ხელს შუა დაგვარგეთ. გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტი ისტორიული გმირული წარსულის წარმოჩენით კონტრასტულ ფონს ქმნის ჩვენი დღევანდელი უსასობისა და უსუსურობის აღსაქმელად. არსებული მდგომარეობა კი, საქართველოს გადაშენებას რომ უქადის, აძლიერებს პოეტში კრიტიკულ პათოსს და მისი ლექსებიც პუბლიცისტური პათოსით იფიქნება: დღეს მოღვაწე ქართველთა ერთი ნაწილის უკმაყოფილებით გაგულისებულ შემოქმედი პირდაპირ უსვამს კითხვას ქართველ ადამიანს:

**მიპასუხე, ქართველო,  
მამული ვინ არია?  
სვეტიცხოვლის გამთლელი,  
ესენი ვინ არიან?!**

ამ კითხვის პასუხს თავადვე გვთავაზობს:

**ქართველების აღმა ხნულს  
მტრები დაღმა ფარცხავენ...  
მკვლელს, ტამარში დანახულს,  
ანგელოზად რაცხავენ!  
ნეტავი, არ მენახა  
ღვთის ამდენი გამცემი...  
ერო, ისევ შენა ხარ  
ამ სატანის დამცემი!**

დაიხ, ეს შინაური თუ გარეული მტრების მომრავლება, ღვთის მგობელთა სატანური ამბორი მიაჩნია ლამა ნადარეიშვილს ამ დაცემის მიზეზად. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, როგორც არასდროს, აღზევებულან პილატეს ნაშინი და ბერბიჭაშვილები, მოღალატეობა ჩვეულებრივ საქმედ ქცეულა, ქვეყანა „სოლომონ-გომორად“ უქცევიათ და ამას ყოველივეს ავერიგებენ ხელი ჯალათის, რომლის შიშითაც, სამწუხაროდ, „ღმრთე ხარები, დუმს ჯამათი“, „მეფის ლოყიდან“ კი ირონიით „გვიშვრს მასხარა“. ყოველივე ამ ტრაგიკომიკურ ვითარებას მძაფრად განიცდის ლამა ნადარეიშვილი. ამიტომაც თავშეუკავებელი, მომატებული რისხვით მკვეთრად კითხულობს:

**ვინ შემორეკა  
სიონში მგლები?  
ვინ გააფრინა  
უფლის მტრელები?!  
და იქვე ასკვნის:  
ტამარო, ასე არ აიგები!**

**ტამარო, ასე გაცამტვერდები!**  
პოეტის მიერ დახატული ეს აპოკალიფური ვითარება, რომელიც გარკვეული ფერებით ბიბლიურ სახისმეტყველო ფერწერას გვაგონებს, დღევანდელი რეალური სინამდვილის ალგორითული წარმოსახვაა და მხატვრულობის მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა.

საგულისხმოა ისიც, რომ ლამა ნადარეიშვილი გვიხატავს არა მხოლოდ დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ბედკრულობას და ქართველი ერის მოსაპობისა და განადგურების ზღვარზე ლასლასს, არამედ იგი პუბლიცისტის მახვილი თვალით ეძიებს და ცდილობს, წარმოგვიჩინოს ის მიზეზები, რამაც ყოვლად გაუსაძლისი დღევანდელი წარმოშვა.

დასასრული შემდეგ ნომერში.




მძღვანელობას თუ მიყვარებულა ვინმე, განსაკუთრებით გულგასასხარი ოლიმპიური ამანატრებენია ქართული ეთნოლოგიისათვის დამახასიათებელი. დიას და დიასაც, მხოლოდ ოლიმპიური ამანატრებენით აიხსნება იბერიონელთა თავისთავადობის არსი. ეს გზა შორეული შუმერეთიდან საწყისდება და დაახლოებით კულტურულ 12 ათასწლეულს მოიცავს დღემდე. და მოდით, ჩვენც რულუნებით ვცადოთ ამ ჩინებული თუ თვალს მიფარებული რგოლების რესტავრაცია, რამაც ქართული სულიერების მართონულ გზაზე უწყვეტ ჯაჭვად – კონტინუუმად აკრიფა ჩვენი არსი, ჩვენი გასაგისი – აი ია, იაკობ გოგებაშვილისგან კოდირებული მომავალი შთამომავლობისათვის, როგორც ეს მოიმოქმედა 1000 წლის წინათ სინელმა ბერმა იოანე-ზოსიმემ საკრალური ტექსტით: „ქება და დიდება ქართულისა ენისა“.

„აი ია“ – აია – შუმერული „ან-ქი“-სა (ცა-მიწა, სამყარო) და მეგრული „ქი-ან“ (სამყარო) დაშიფრული ჩანაწერია. იგი ეზოტერიკის ენაზე იკითხება როგორც – ან-ქი – ქიანა, ანუ ბრძენკაცი იაკობისგან ტოლობის ნიშნით დასმული შუმერულ და იბერიულიდან (სვანურ-ლაზ-მეგრულიდან) აღმოცენებულ ქართულს შორის. ეს ყველაფერი ეზოტერიკული წიაღსვლებითაა მოტიანილი ჩვენამდე, საგანგებოდ შენიღბული ენით, სანამ მისი ხმა-მალა გაცხადების ფაში მოაწვედეს და რადგანაც ასეთი პერიოდის დასვლითა პროტო-ქართულ ცივილიზაციას ჩვენსას, შედარებით გასაგები ენით ავუხსნით შთამომავლობას, თუ საიდან მოვდივართ, ვინ ვიყავით 12 000,

„ნომოფალისტი“ ღვინჯილიას დვარცი ეწვის სრულიად საქართველოს სახით და დირე-თავზეთა – შემადგენელი ნაწილების – გადარჩენაზე თუხთუხებს ბრძობილი ჭირისუფალივით.

თანადროულია ასევე „ფაზისის აკადემიის“ მიერ ანათემას გადაცემული ენათმეცნიერების ვგუფის წარმოჩენა ტ. ფუტკარაძის ლოცმანობით. არანაირ აუცილებლობას წარმოადგენდა კვლევით-ციურად მომზადებული მისი მონოგრაფია „ქართველები“ თურქულ ენაზეც თარგმნილიყო, მაგრამ... მაშინ ლაზური კულტურის გადასარჩენად თურქეთში ახლახან დაარსებულ ფონდს „ჩუკნი ბერეპე“ (ჩვენი შვილები), გაუიოდებოდა ლაზნი ბავშვებისათვის მშობლიური ენის სწავლების შემოღება დაწყებით კლასებში. და, აი, ამას უმარჯვა ზურგში დანა ტ. ფუტკარაძის



**გური მტოპია**  
ტელ.: 571 21 27 70

# ანისტორეისია

**ქვეყნის რეალური ანაქსია იწყება მის სულიერ ფასეულობაზე შამოდავებით მიზობელი სახელმწიფოსგან, რომელსაც მოსდევს მერა ეროვნული ანაქსია, ანისტორეისია – ისტორიული მისიერების სრული დაპარგვა**

8 000, 4000, 2000 წლების წინათ, რათა გაცილებით გულწყვილად მიადევნოთ თვალი პროტობერელების ყოფიერების სპირალს, რომლის მიხედვით ცხადდებოდა დალაგება ჩვენი სულიერების ანი და ჰოე, ალფა-ომეგა, საწყის-სასრული, თუნდაც გამოუსწორებელი ფილოლოგიის მეცნიერებათა მენამცევე დოქტორი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე იყოთ?!

რის გამო უნდა გვეგროდეს ჩვენ, იბერიონელებს, ცრუპენტელა წყაროებისა, რომლითაც აიეტის ასული მედეა ძმისმკვლელად აქციეს, თითქოს ზომად „არ-გო-ზე“ ამოატყუებინეს ღვიძლი ძმა აფსირტე და ერ-გასულე (50) მოხალისე პელაგზს ნაკუწინს აქვეყნენს ჰელიოსის პატივმოყვარე ბადიში; ან იმ შეითხინილი „დოკუმენტებისა“, იგივე მედეას საკუთარი ხელებით რომ მოაკვლევინებენ საკუთარ ვაჟიშვილებს, როცა თავად დახოცავენ სალოცავის კედლებს შეხიზნულებს?!

რისთვის უნდა ვერწმუნოთ ჩვენ, იბერიონელები, კაცობრიული ცხოვრების პლაგიატური შინაარსის ინტერპრეტაციებს, რომლებიც წარდგინეს შუმერულ ტექსტებს თავიანთ ენებზე ამტყვევებენ, გადანათლავენ მის ჭეშმარიტ სულიერადმდებელ უთანაფიშითის ზიუსუდრად, ნო-ედ; ან ნიადაგ ჩასაფრებულნი, გაღმა შემოდავებათა ოსტატების „მეცნიერულ“ ჭინთებს, რომლებიც ურცხვად იმეებენ ჩვენს ტამარ-სალოცავებს, „ვეფხისტყოსანსაც“ კი, მაშინ, როცა თავად ვართ ამ და ათასჯერ მეტი მსოფლიო მნიშვნელობის ფასეულობათა შემოქმედნი?!

ყველაფრის გათვალისწინებით, რისთვის უნდა დავუვდოთ ყური ჩვენ, იბერიონელთა, დოქტორ ფუტკარაძეს, რომელიც დღინ-ღღინით მიუყვება ათასწლეულების მანძილზე ნაჯივან-გადაკეთებულ-მითვისებულ ქართული სულიერების კონტინუუმს და თვინიერად არც კი უწყის, რომ მის საკინკრიზო არგანსაც ორი ბოლო აქვს, მაგრამ იგი წესისამებრ შედარებით მსხვილით იწყება და არა – პირიქით; ჩვენი პროფესორი ვედარ განარჩევს საძირეს და დამწობილს, ხელში თხის კუდს ახვანცალებს და „ძროხის კუდიან“ ატყლაშუნებს ენას მარჯვნიდან და მარცხნიდან – ავანურ-ლაზურ-მეგრული ქართული ენის დიალექტებითა.

უდავოდ აღმამფთებელია „ასავალ-ასავალში“ (№3, 21-27 იანვარი, 2013), ნეტარი ღვინჯილიას სეპარატისტული ოფოფები: „...საქართველო ჩამოყალიბდა, როგორც ნეონაციისტური სახელმწიფო, სადაც გაბატონებულია ერთი ეთნიკური ჯგუფი – ქართველი, რომლებიც არ იძლევიან სხვა ხალხების, კერძოდ – მეგრელების, თავიანთი თვითმყოფადობის შენარჩუნება-განვითარების უფლებას. ...საქართველოში კვდება ლაზური, მეგრული, სვანური ენები... გამოსავალი არის ერთი – ეს არის სამეგრელოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა“. სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს,

მიკერძობულმა დოქტორინამ – არსებობს სალიტერატურო ენა ქართული, ხოლო დანარჩენი – სვანური, მეგრული, ლაზური – დიალექტებია (არადა, ეს ენები საყველპურო დონეზეც არ იცის ჩვენმა ენათმეცნიერმა!). ლაზური, რომელიც მეგრულის ტყუპისცალია, მოდის არა ქართულიდან, არამედ – პროტობერეულიდან – ქართველურიდან. იძებნება მრავალზე მრავალი წყარო, რომელთა მიხედვით – შავთმიანი შუმერების შემოქმედი თევზკაცი (ზღვაოსანი) იოანი (ონასისი, იგივე ენ-ქი, ბეროსის მიხედვით, ძვ. III). მოვა სამხრეთ მესოპოტამიაში ერთიორის ზღვიდან და აბორიგენ მოსახლეობას ასწავლის მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას, არხების გათხრას, დამწვრობას. და ეს ხალხი, დიასაც, უფალი ფუტკარაძის მიერ დაწვინებულ-დაკინებულ სვან-ლაზ-მეგრულია, რომელთა შვილებს „ბერე“ ჰქვიათ მათებურად, ხოლო თავად „ბერე“ შუმერულში მგელია. გამოდის, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარი საქართველოში – „ბერე“ ძირზე შექმნილი: ბერადე, ბერაია, ბერანძე, ბერია, ბერიძე, ბერეკაშვილი, ბერიტაშვილი, ბერიკაული, ბერიშვილი, ბერუაშვილი, ბერულავა, ბერძული, ლაზ-მეგრულია და ბერის – ეკლესიის მსახურის შთამომავალს კი არა (ბერებს საღვთო კანონით დღევსაც კი ეკრძობებათ ქორწინება ჩვენში და ეს მომენტი საველლო დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ალბათ, გადასინჯვას მოითხოვს საპატრიარქოსგან), ტოტემი მგლის ნაშიერს ნიშნავს, იგივე კურდიოგლუს, ვოლკოვს, ვულფს, მგელაძეს, გერგაიას, გერლიანს... უფალი ფუტკარაძე კი მიერეკება და მიერეკება თავისას – სვანური, ლაზურ-მეგრული ქართულის დიალექტებიაო, (რათა, თურმე აზერბაიჯანელებს, სომხებს არ გაუჩნდეთ მსგავსი პრეტენზიები. იმათ გაჩნიათ სამშობლოები და სამართლიანია პატივი მაგონ საქართველოს სახელმწიფო ენას – ქართულს – უცხოობაში. (იხ. <http://www.kvirispalitra.ge/politic/403-.html> სომხეთის პრეზიდენტი საქართველოში სომხური ენის რეგიონულ ენად გამოცხადებას ითხოვს! 07-09-2009), როცა პირიქითაა საქმე – ჯერ იყო პაპა და მერე – შვილიშვილი; ჯერ იყო პროტობერეული (სვანურ-ლაზურ-მეგრული) – და შემდგომ – ქართული ენა, და არა ისე, როგორც ფუტკარაძენი წარმოაჩენენ: იყო და არის ქართული ენა ლაზურ-მეგრულ-სვანური დიალექტებითურთ.

განსხვავებულია ჩვენი პასუხისმგებლობა იბერიული მოდემის მიმართ. ჩვენ მივაგენით შუმერული ენის გასაღებს – აია – აი ია – ა(ნ-ქი) (ქი)ანა – ცა-მიწა – სამყარო – საქართველო. ხოლო ამ და სხვა საიდუმლოთა მფლობელი ხალხი – პროტობერელები განფენილი იყო ინდოეთის ნახევარკუნძულიდან ევროპამდე (ივ. ჯავახიშვილი, ვ. ჰუმბოლდტი, ზ. გამსახურდია). თეთრი ალბინი ამ რასის მეტსახელია და ნიშნავს ალბეს

**იღის ავტორი ილირ-სეიტინი, ნოსტრატული ენების ისტორია**

# აია აიია

**ა(ნ-ქი)ი(ქ)ია(ნა)  
ცა-მიწა (სამყარო)  
საქართველო**

(ჰომეროსი), ალბანს, ჰალიდონს, ხალიბს – კოლხს – ზოგადად, დღევანდელ ქართველს. ატლანტიდის ცივილიზაციის დაღუპვის შემდეგ (პლატონი, რ. შტიანერი, პ. წულაია) ეს ხალხი აღვავსებდით მთელს მცირე აზიას და იწყება ჩვენი – პროტობერელების – თეთრი რასის – გაუგონარი მემსხვერპლობა დანარჩენი მსოფლიოს გასაპოხიერებლად. ვერ კოლხურ-პელაგზურ-ერტუსკულია ეს სივრცე. პროტობერელების შთამომავლები არიან რომაელთა ეთნარქები – რეში და რომულუსი – ტუ მგლის, დედალი ბერ-ის გამოკვებილი. ამ ჯიშ-ჯილაგს გეკავავენ, გვანადგურებენ ათსწლეულობით, გვაიძულებენ ასიმილაციას – გამანქურთებას, გასწავაურებას; შეგვყრიან ანისტორეისულ სამსალას (ისტორიული მესხიერების დაკარგვა) და მაინც ფეხზე ვდგავართ და მაინც ჩვენი ჩამომავალნი არიან ამერიკასა თუ ნისლან ალბინში მოდრეიფე შოტლანდიელები, ირლადიელები, ისლანდიელები, ბასკები, ნორვეგიელები; „უფროს ედაში“ სკანდინავიელების უმთავრესი ღვთაება ოდინი (რომელსაც რაღაცნაირად ეხმანება სვანების ვობი და მეგრელების ოდია). თანმხლები მგლით – გერით მოსიარულეა ზამთარ-ზაფხულ. არ იცის ამ ხალხმა ჯერონად ჩვენი სისხლი სისხლთაგანები, ხორცი ხორცთაგანები რომ არიან, თორემ არავის დაანებებდნენ ჩვენს თავს საჯივანად. დიას, მერამდენედ მოტყუებულ ქართველობავ, სრული ავარქმისაგან გადარჩენა ბეწოთი მაინც თუ გვევლია, წარსულის ძირებ-გაცნობიერებული (და არა გაყალბებული) ერთიანი საქართველოსთვის საომარ ლელოზე ყველა და ყველაფერი, ერი და ბერი, თითოეული ჩვენგანი – სამარხ-აკვინანი!

24. 06. 2013 წ.



ნინო ქუთათელაძე

ციკლიდან „ნიკოლოზ ბარათაშვილი“

1. სინანული

მცირეა საქართველოში
დღეს შენნაირი კაცები,
ენამწარე და გულთბილი,

2. მეცხრამეტე საუკუნე

მეცხრამეტე – დანისლული,
მეცხრამეტე – სევდიანი...
შენთან არის ჩემი გული,

3. სიბლი

მოფარდაგული იწვა მინდორი,
ემზადებოდა ღამის ძილისთვის,
შორით ელავდა ჯვარი სიონის

და იდგა ჩუმი ქართული დვინი...
...სიყვარულისთვის მოსული ერთხელ
ჩაინვა, როგორც სანთელი ცვილის.

ჩამოძონძილა ყვავების ძაძა,
სამყაროს სძინავს თეთრ მარმაშებში,
ამ სინმინდებში სხვას ვინ დაზრახავს,

ხანდახან უნდა განირო სიტყვა,
რომ მოიპოვო სიტყვათა დარდი,
სიტყვათა გლოვა და მერე დიდხანს

მინდა და ვდარდობ,
მინდა და ვკვენისი,
რადგან არავის აღარ ვანუხებ,

თან არ გამყვება,
არ შენუხდება არავინ დარდით,
უსიყვარულოდ დარჩენილ ცხედარს

ლამეა თეთრი
და თეთრ ღამეს თეთრი აქვს სევდაც...
მე ვმღერი შენთვის –
ზაფხულს მოაქვს ღიმილი შენთან;

შენთვის
ყველა ძვირფას ადამიანს, ვინც დავკარგეთ

იძინე მშვიდად,
მშვიდად იძინე! –
მინდა, გესიზმროს ვარდების ბალი,
მინდა, შეიგრძნო წვიმის სიმძიმე,

დევიდ გარეთის „ნოემბრის წვიმის“ მომენტისას
ნოემბრის წვიმა –
თეთრი ნაივი,
ნარნარი ბინდის ამონათება

ბალატიონს

ო, როგორ მინდა
ზენიტში მოვკვდე,
რადგან ზენიტი ფრენას გვთავაზობს...

ამ სტატიის სათაური, როგორც, ალბათ, ბევრ თქვენგანს უჩემოდაც მოეხსენება, ორიგინალური არ არის. გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში სწორედ ამ სათაურით გამოიცა დიდი გერმანელი მოაზროვნის, ოსვალდ შპენგლერის ცნობილი ფილოსოფიური ნაშრომი. ჯერ კიდევ როდის შეამჩნია იმ ცხოვრებულმა ევროპის მზის ჩასვენების ფრიალს სამსუხარო სიმბოლოები და ეს ამბავი იმდროინდელ კაცობრიობას აუწყა.

შპენგლერის ამ ნიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია. შეფასებები რადიკალურად განსხვავებული იყო, მაგრამ მთავარი ის არის, რომ იმდროინდელი მოაზროვნე საზოგადოების შინაგანი განწყობა მკვეთრად აფიქსირებდა ეჭვს: სასიკეთო გზით ვერ მიდისო ევროპის კულტურა. და როდესაც ეს ეჭვი კატეგორიული ფორმით მიაწოდა მას შპენგლერმა, სამეცნიერო საზოგადოების რეაქციას არ დაუყოვნებია.

მას შემდეგ თითქმის საუკუნე გავიდა. ცივილიზაციამ განვითარების არნახულ სიმაღლეებს მიაღწია ევროპაში. ფანტასტიკურად განვითარდა მეცნიერება და ტექნიკა. ევროპული ცხოვრება, თვალის ერთი გადავლევით, ბრწყინვალე და მავანთათვის მომხიბლავი გახდა. ევროპის მზის ჩასვენების თაობაზე შპენგლერის შავბნელი პროგნოზი, თითქოს, გაქარწყლდა... თითქოს!!! მაგრამ ევროპის განვითარების სიღრმისეულ პროცესებს თუ გავადევნებთ თვალს, სრულიად აშკარად გამოჩნდება „ცივილიზაციად“ „კულტურის“ გადაგვარების ტენდენცია, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში შეამჩნია შპენგლერის მახვილმა გონებამ და ეს მოვლენა კაპიტალიზმის გამარჯვებას დაუქვემდებარა.

კაპიტალიზმის განვითარებას მართლაც უკავშირდება ცივილიზაციის თვალსაჩინო წარმატებები. ეს გამოწვეულია საზოგადოებაში ფულადი ურთიერთობებისა და საყოველთაო კონკურენციის გაბატონებით, რამაც ახალ საზოგადოებრივ განწყობებს დაუყო სათავე: მოგების მიღება გახდა ცალკეული ადამიანისა თუ ადამიანთა დიდი ჯგუფების მოქმედების მოტივიც და მიზანიც. ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების პოსტულატად იქცა სენდენცია: რაც მოგებას იძლევა, ის კარგია და საჭირო, რაც მოგებას არ იძლევა, ის ზედმეტია და თავიდან მოსაცილებელი. ამგვარმა შეგრძნებამ ერთობ შეზღუდა ადამიანთა შორის ჰუმანური დამოკიდებულებების სფერო და იგი სარგებლიანობის (მერკანტილურ) პრინციპზე ააგო.

კაპიტალისტური მეურნეობრიობის კონკურენტულმა ბუნებამ და კერძო ინიციატივის ფართო ასპარეზმა შექმნა იმის ილუზია, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანს, თითქოს, სრული თავისუფლება ეძლევა და სწორედ ეს არის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულატორი.

პიროვნების სრული თავისუფლების მოთხოვნა ევროპული დემოკრატიის პირობითი დაკვეთად იქცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგომ პერიოდში, რაც ორგანულად დაუკავშირდა საზოგადოებრივი ცხოვრების ლიბერალიზაციას. ყოველივე ეს იმპერატიულად აისახა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პოლიტიკურ დოკუმენტში, რომელიც ჰელსინკში მიიღეს 1975 წელს და რომელსაც ხელს აწერდნენ ევროპის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა.

ჰელსინკის დეკლარაციამ ადამიანის უფლებების სახელმწიფოს უფლებებზე მალა დააყენა!

ადამიანი უმადლეს ღირებულებად გამოცხადდა! რა კეთილშობილება და ჰუმანიზმია, არა? თითქოს! მაგრამ ეს „თითქოს“ არსებით ხარვეზს ეხება, რაც აბსურდად აქცევს ზემოაღნიშნულ დეკლარირებულ ჰუმანიზმს.

საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანი, ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით, სოციალური არსება ანუ სოციალური გარემოს პროდუქტია. ადამიანთა საზოგადოების (ოჯახის, გვარის, ტომის, ერის, სახელმწიფოს) გარეშე ადამიანის

ნაშეიერი ადამიანად ვერ ჩამოყალიბდება. სხვა პირობებში იგი შეიძენს იმ თვისებებს, რაც მის გამზრდელს (მაიმუნს, მგელს, ქურციკს და ა. შ.) ექნება. მთელი რიგი მიზეზების გამო, იგი ვერც სრულყოფილი მაიმუნი, მგელი თუ ქურციკი გახდება. ამიტომ, ობიექტურად, ცალკეული პიროვნების ინტერესი ანუ უფლებები საზოგადოების ორგანიზაციის უმადლესი ფორმის – სახელმწიფოს ინტერესებზე (უფლებებზე) მალა ვერ დადგება. შედეგი არ შეიძლება წინ უსწრებდეს მიზეზს! ასეთია განვითარების ლოგიკა.

ევროპულმა ლიბერალურმა დემოკრატამ ეს ლოგიკა დაარღვია და პიროვნების სრული თავისუფლება აქცია საზოგადოებრივ იდეალად. არავითარი შეზღუდვა, ერთის გარდა: შენი თავისუფლება არ უნდა ზღუდავდეს ჩემს თავისუფლებას! შენგან დამოუკიდებლად მე რასაც მინდა,

# ევროპის დაისი

იმას ვიზამ, ასევე მოიქეცი შენც! აი, ეს არის დეკლარირებული ევროპული დემოკრატიის მთავარი იმპერატივი.

ამ პირობებში, სადა არის საზოგადოებრივი, ეროვნული, სახელმწიფოებრივი, რელიგიური ინტერესები? სადაა ჩვეულებებისა და ტრადიციების ადგილი და მისთვის ანგარიშის განწვევის მოთხენები? დაბოლოს, სად არის საერთო ეროვნული კულტურა, რომელიც არა მარტო აერთიანებს ერს, არამედ გარკვეულ მოთხოვნებსაც უყენებს თითოეულ მის სუბიექტს! პასუხი ცალსახაა: სრული პიროვნული თავისუფლების პირობებში, რომელსაც დასავლელი პოლიტიკოსები ადამიანის უფლებების რეალიზაციას უწოდებენ, აღარსად არის არც ეროვნული და არც საკაცობრიო კულტურის ადგილი და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები. მასსადაამე, ყველაფერი ნებადართულია!

აქ მახსენდება უმცროსი კარამაზოვის გაცხებული ნამოძახება, რომელიც აღმოხდა მას, როდესაც მისმა ათეისტმა უფროსმა ძმამ ღმერთის არარსებობა დაუსაბუთა: „ღმერთი არ არის?! ესე იგი, ყველაფერი ნებადართულია!“ ღმერთი თუ არ არსებობს, რომელიც ზნეობრივი კოდექსის სახით არის მოცემული ჩვენში, მაშინ, ცხადია, ყველაფერი ნებადართული იქნება, რაც ათი მცნებით არის აკრძალული: გინდა კაცი მოკალი, გინდა იმრუშე, გინდა იქურდე, არავინ განგსჯის. ეს საფრთხე დაინახა ოსვალდ შპენგლერმა და მას ევროპის მზის ჩასვენება ანუ დაისი უწოდა.

ეგრეთ ნოდებული ლიბერალური ღირებულებების ადეპტები პიროვნების სრული თავისუფლების გამოხატულებად ყოვლისშემწყნარებლობას ანუ ტოლერანტობას მიიჩნევენ. მე თუ არ შემიძლია შევეგუო იმას, რომ ქუჩაში, ჩემ თვალწინ, ან სულაც ბავშვების თანდასწრებით იფიქრონ, მით უფრო, თუ ორივე პარტნიორი კაცია; მარტივად თუ ვიტყვი: მე თუ ვერ ვეგუებუ უზნეობას, მაშინ ჰომოფობია მჭირს თურმე და ევროპულ ღირებულებებთან არაფერი მაკავშირებს.

აი, მაგალითად, მამათმავლობის, უფრო გასაგებ ენაზე, პედერასტების პროპაგანდის წინააღმდეგ ქართველი ხალხის პრინციპულმა გამოსვლამ ევროპის „მამები“ ერთობ შეაშფოთა და უაპელაციოდ გამოგვიცხადეს, ჰომოფობია გჭირთ თქვენო.

ჰომოფობია პირდაპირი გაგებით კაცთმომიშობას ნიშნავს. მამათმავლობა და ლესბოსელობა არაბუნებრივ მოვლენად, პათოლოგიურ გადახრად თუ ჩათვალო (ნორმალური კაცი ამას ნორმალურ მოვლენად ვერ მიიჩნევს!) და მისი პროპაგანდა დაუშვებლად მიიჩნეს, ევროპულმა დემოკრატებმა რატომ უნდა ჩამითვალონ ეს კაცთმომიშობად ან, თუნდაც, კაცთმომიშობად, ნეტავი?

მამათმავლობისა და ლესბოსელობის მხარდაჭერა და ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება სწორედ კაცთმომიშობა, რადგან ერთიცა და მეორეც ადამიანის მოდემის გადაშენებისკენა მიმართული. განა მოსაწონია ისეთი თავისუფლება, როდესაც ავადმყოფობის, სხვადასხვა პათოლოგიური გადახრების გავრცელებასა და ხელშეწყობას „კანონიერად“ მოითხოვენ?

რა მართალი ყოფილა XX საუკუნის დიდი მოაზროვნე ჟან-პოლ სარტრი, რომელმაც ადამიანს „თავისუფლებით დაწყველილი“ უწოდა. სარტრამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენმა წინაპრებმა გამოუტანეს განაჩენი „სრულ თავისუფლებას“. გახსოვთ, ალბათ, ცნობილი ქართული სენტენცია – „გიჟი თავისუფალია!“

ადამიანი სოციალური ფენომენია და შეუძლებელია მისი სრული თავისუფლება.

ზნეობრივი, რელიგიური, ეთიკური, ტრადიციული და სხვა სოციალური იმპერატივებისაგან განთავისუფლებული სუბიექტი ადამიანობასაც კარგავს და მისი მოქმედებები თვითლიკვიდაციისაკენ არის მიმართული. სწორედ ამიტომ, წარსულის არა ერთი დიდი მოაზროვნე გვაფრთხილებდა, ზნეობრივი გადაგვარება უსათუოდ გამოიწვევს ფიზიკურ გადაგვარებასაც. ეს ისე, რბილად თუ ვიტყვით, თორემ სინამდვილეში ზნეობრივი კატასტროფა ფიზიკური კატასტროფის უტყუარი მათყვებელია.

აი, რატომ უწოდა ჯერ კიდევ ამ ასიოდე წლის წინ ო. შპენგლერმა დასავლური კულტურის დეგრადაციას „ევროპის დაისი“.

დღეს მომხიბლავი ევროპა იმ თურამაშულს ჰგავს, რომელიც გარეგნულად წარმტაცად გამოიყურება, მაგრამ შიგნით დამპალია. ვაშლს ადრე გაზაფხულის პირზე ემართება ხოლმე ეს. ვაშლის გამყიდველები ცდილობენ სწრაფად, თუნდაც ნახევარ ფასში გაყიდონ იგი, ვიდრე აპრილი დადგება და ეს ლოყანითელი თურამაშული დამპალი მასად არ იქცევა.

ვაშლის მაგალითი რად გვინდა, განა ასე არ დაემართა რომს? ბიზანტიას? გარეგნული ბრწყინვალეების მიუხედავად, ერთიცა და მეორეც აღიგავა პირისაგან მინისა იმათი ხელით, რომლებიც არაფრით იყვნენ გამორჩეულნი. ამ დიდ იმპერიებს ზნეობრივად გახრწნილი ჰქონდათ შიგნეული და იმიტომ!

ევროპის კულტურის დაისის ქრესტომათიული ილუსტრაციაა ორი მსოფლიო ომი, რამაც ტექნიკურ პროგრესს, ცივილიზაციის განვითარებას დიდად შეუწყვეს ხელი, მაგრამ ასევე ძალიან წაეხმარნენ ზნეობრივ გადაგვარებას. ისეთი სისასტიკე და არაადამიანურობა, რაც მეორე მსოფლიო ომში გამოავლინეს ცივილიზებულმა, ერთ დროს დიდი კულტურისა და ჰუმანიზმის მებაირალე ქვეყნებმა, არ ახსოვს მანამდე კაცობრიობას. კანტისა და ჰეგელის, გოეთესა და ჰაინეს ქვეყანაში მილიონობით უდანაშაულო ადამიანი შერეკეს გაზის კამერებში და დაწვეს. მანამდე არც ოქროს კბილების დაძრობა დაიწყებიათ! შექსპირისა და დიკენსის ქვეყნის უმადლესი ტექნიკით აღჭურვილმა ავიაციამ, მიწასთან გაასწორა ევროპული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი – დრეზდენი, რომელსაც არანაირი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა არ ჰქონდა...

XX საუკუნესთან ერთად ევროპის კულტურული დაისი თანდათან კუნაპეტ ღამეში გადაიზარდა. ლამპონებით გაჩაჩახებული ქალაქები, დაგილ-დავარცხნილი სოფლები ერთი შეხედვით თვალს ხიბლავს, მაგრამ თუ ოდნავ შეჩერდი და დააკვირდი, შიშით თმა ყალყზე დაგიდგება. არადა, „ერთი შეხედვით“ გამოწვეული ხიბლი მყისიერად გაივლის და შენ აღმოაჩენ, რომ ამ „კეთილდღეობის“

სამყაროში ადამიანებს ერთმანეთი ფეხებზე ჰკიდიათ, აღარც მეზობლობა იციან და აღარც ნათესაობა; ზნეობა, კაცობა, ქალობა, სიყვარული... მხოლოდ რომანებშია ჩარჩენილი, რომლებსაც აღარავინ კითხულობს. ერთადერთი კერპი და უსაზმნო თავყანისცემის საგანია დოლარი და ევრო. საკუთარი ფულიც კი აღარ აქვთ ისეთი დიდი ისტორიის მქონე ქვეყნებს, როგორებიცაა საფრანგეთი, ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, გერმანია... ფული კი არა, მალე, იქნებ, მათი გასაგისიც აღარ იყოს. ამგვარი კატასტროფის ნიშნები ცოტა როდია: ინგლისის დედაქალაქის ცენტრალურ უბნებში ღამით აბორიგენი ინგლისელის გამოჩენა სასიკვდილო საფრთხეს უკავშირდება...

ამას წინათ, ლონდონის ერთ-ერთი კლინიკური საავადმყოფოს ექთანი სამსახურიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ კისერზე ჯვარი ეკიდა: ვაი, თუ ვინმე ავადმყოფი გალიზიანდეს ჯვრის დანახვად. ინგლისის დედოფალი რომ ორი პედერასტის (ერთი მათგანი ძალზე ცნობილი „კაცია“) ქორწილში მიბრძანდა და იმ „დალიან ცნობილ“ პედერასტს რაინდის წოდება მიანიჭა, ამაზე აღარაფერს ვამბობ...

ამას წინათ, ერთი ცნობილი პოლიტოლოგი სატელევიზიო გადაცემისას, არც თუ იუმორის გარეშე, ნატრობდა: ნეტავი, ერთი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლავროვის სახე დამანახვა იმ დროს, გერმანიის საგარეო საქმეთა პედერასტი მინისტრი ოფიციალურ შეხვედრაზე თავის მეუღლეს რომ წარუდგენსო. ეს „მეუღლე“ ქმარია თუ ცოლი, არ დაუზუსტებია. არ იცის, ალბათ! გერმანიის კანცლერი, ანხელე მერკელს კი ეცოდინება, რადგან თავის საგარეო საქმეთა მინისტრს დეპეშით მიულოცა ქორწინება: გილოცავთ დიდ ოჯახურ ბედნიერებასო.

ოსვალდ შპენგლერი ამ ყველაფერს რომ მოსწრებოდა, მის წიგნს „ევროპის დაისი“ კი არ ერქმეოდა, არამედ „ევროპის ჯოჯოხეთური ნკვარამი“.

დიდმა ევროპულმა რევოლუციებმა თავისი მსახვრალი ხელი, პირველ ყოვლისა, ჰუმანურობის წინააღმდეგ აღმართეს. და ეს მოხდა, სწორედ, ჰუმანურობის, თავისუფლებისა და თანასწორობის სახელით. საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დროსა „თავისუფლება და თანასწორობა“ ეწერა, რასაც წარმატებით ახორციელებდა... გილიოტინა. ინტელექტუალური და ზნეობრივი საფრანგეთის დიდ ნაწილს სწორედ გილიოტინაზე დააყრევინეს თავები. „სრული თავისუფლებით“ ფრთაშესხმულმა ფრანგებმა ღმერთი უარყვეს, რადგან მის სახელს ათ მცნებაში მოცემული აკრძალვები უკავშირდებოდა და ეშაფოტზე დაინყეს ლოცვა: „წმინდაო გილიოტინა, იხსენი საფრანგეთი!“ ამ ლოცვის დაღადის ის მოსდევდა, რომ გილიოტინის დახმარებით თუმცა საფრანგეთს ვერაფერს შევლოდნენ, მაგრამ საკუთარ თავებს კი წარმატებით „იხსნიდნენ“ (პირდაპირი გაგებით!).

ზნეობასა და, საერთოდ, კულტურაზე რევოლუციური ძალადობა მთელი შემდგომი პერიოდის განმავლობაში თან სდევდა ევროპას. რევოლუციურ დეკრეტებს ვინც გაცეცხობა, ნათლად დაინახავს, სადამდე შეიძლება მივიდეს რევოლუციისაგან „განთავისუფლებული“ ხალხი და რისი გაკეთება შეუძლია მას სრული თავისუფლების პირობებში.

„ღმერთი არ არის! მაშინ ყველაფერი ნებადართულია!“ – აი, თავისუფალი კაცის თვითღირებულება!

ასე მივიდა ევროპა „პიროვნების სრული თავისუფლების“ შეგნებამდე და იმგვარ ტოლერანტობამდე, რომელიც ყოვლისშემწყნარებლობასა და შემგუებლობას გულისხმობს.

ე. წ. „ევროპულ ღირებულებებს“ ნაზიარებე ადამიანებს მავნე ჩვევად და ატავიზმად მიაჩნიათ დღემდე უმთავრეს ადამიანურ თვისებად ცნობილი სირცხ-

დასასრული მეოცე გვერდზე

ვილის გრძობა, რომელიც, თურმე, თრგუნავს ადამიანს და თავისუფალ მოქმედებას უზღუდავს მას. დაგცხა? გაიხადე ყველაფერი და დედიშობილა იარე! სექსი მოგინდა? თუ პარტნიორიც შენსავით „ვეროპელია“, რა გიძღვის, აგერ, ქუჩაში, სკამზე, დაიცხრო ვნება! ისე, სულ არ არის აუცილებელი, რომ შენი პარტნიორი განსხვავებული სექსის წარმომადგენელი იყოს.

ღირსება? ღირსება თუ შერჩა ევროპას?

ამას წინათ, ერთობ პოპულარულმა რეპერმა ემინემმა დიდი წარმოდგენა გამართა ლონდონის უდიდეს საკონცერტო დარბაზში. იმ კონცერტისას, საერთო სიყვარულით გარემოსილმა „მომღერალმა“ შარვალი ჩაიხადა, მიკროფონი უკანალზე მიიდო და ბუთქა, რამაც მქუხარე ტაში და აღფრთოვანებული მაყურებლის ოვაცია გამოიწვია. ეს ხდება რიჩარდ ლომგულის, ადმირალ ნელსონის, რობინ ჰუდისნაირი რაინდების ქვეყნის დედაქალაქში. ახლა თქვენ განსაჯეთ, იმ ხალხს, რომელიც ვინმე ემინემის გაკუებას ტაშითა და ოვაციით ხვდება, ან მათ ნაცნობ-მეგობრებს ღირსების გრძობის ნატამალი შერჩენიათ? რა თქმა უნდა, არა!

ევროპელებმა პედერასტების ოჯახები ხომ დააკანონეს, ახლა იმ კანონის მისაღებად ემზადებიან, რომლითაც ინცესტი კანონიერად ანუ ნორმალურ მოვლენად ჩაითვლება. მაშასადამე, და-ძმა, დედა-შვილი, მამა-შვილი თუ ერთმანეთთან... ღმერთო დაგვიფარე!

არა, ევროპის დაისი კარგა ხანია დამთავრდა და კულტურის ნკვარამი ჩამოწვა! თუმცა...

ამ კულტურულ ყიამეთში მაინც ჩანს ქვეყანა, სადაც მედგრად იცავენ ზნეობრიობის ანუ ადამიანის კაშკაშა მნათობს, სადაც ხელისუფლებასა და ხალხს ერთიანი ეროვნული ინტერესები აქვთ. ისინი წარსულსა და მომავალს შორის კავშირის ერთგულები არიან და სწამთ, რომ თაობათა შორის ხიდის ჩატეხვა ეროვნული ცნობიერების კატასტროფაა.

ევროპაში ჯერჯერობით არის კიდევ რამდენიმე პატარა ქვეყანა, სადაც პედერასტობა დემოკრატიული განვითარების ნიშნად არ ითვლება, მაგრამ იქ ისე ძლიერია დასავლეთის პოლიტიკური ზენოლა და ადგილობრივი გრანტიკლაპიების (იგივე ძღვენიჭამიების) პერმანენტული შეტევები, რომ, სავარაუდოდ უახლოეს მომავალში ისინიც „ევროპულ გზას“ დაადგებიან.

17 მაისს ქართველმა ხალხმა სრულიად ცალსახად გამოხატა ე. წ. „ევროპული ღირებულებებისადმი“ თავისი უარყოფითი დამოკიდებულება და ზნეობრიობისადმი ერთგულების მაგალითი აჩვენა. იმ გამოხატვის პროცესში სამღველოების წარმომადგენლებსაც რომ არ მიეღოთ მონაწილეობა, მაშინ ნახავდნენ უცხოელთა ძღვენით გამოზრდილი მუტანტები, როგორ უსწორდებიან კაცები არაკაცობის თავგადაკლულ აპოლოგეტებს.

ახლა, ვინმე „ევროპულად მოაზროვნე დემოკრატი“ მეტყვის, აგრესიასა და ძალადობას ამართლებ თუ რაშია საქმეო. მე ვუპასუხებ: ვისაც ჩემი ერის (ან სხვა ერების!) დაღუპვა, გადაგვარება და გადაშენება უნდა, მისი და მისწირების გადაშენებას მთელი გულით მივესალმები. „ვისაც ჩვენ არ ვებრალვებით, ჩვენ შევიბრალოდ რისადა, სიკვდილი თვითონ უფალსა, გაუჩენია მტრისადა“.

სადაც ეროვნული ხელისუფლებაა, იქ ქვეყანაც ეროვნული განვითარების გზით წავა, მაგრამ სადაც ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ პატრიოტიზმი, ეროვნული თვითშეგნება სახადა, რომელიც თუ არ მოხიადე, ისე თანამედროვე ადამიანი ვერ გახდება, ყველა გზა ზნეობრივი (და ფიზიკური) გადაგვარებისაკენ მიდის.

ნუ აწყებით ზნედაცემულ ძღვენიჭამიებს და ევროპას ნუ გადააწყვებთ ზნეობრივ და ფიზიკურ მოუსავლეთში. თუკი რამე შეგვიძლია, ვეცადოთ ევროპული კულტურის გადარჩენას, ნაწილობრივ მაინც.

**ზურაბ ცუცქერიძე**

**პროკრუსტა, კარკიონი და... ქალის კაზაში გამოსხაღვალე სინისი**

ახლა ისევ მწერალთა კავშირის „სამეულს“ მივუბრუნდეთ, ჩემო ძვირფასო მკითხველო. რა ვქნა, გული თუ შეგიღონეთ, მაგრამ გულგრილთა დუმილმა ბიბლიური კალიბრით უფრო გადაჭამა და იავარქმნა ოაზისები, ვიდრე ამ პატივმოყვარე აბრაგთა და ავაზაკთა შავბნელმა საქმეებმა. თანაც როგორ ჰგვანან გაჭრილი ვაშლის ნაწილებით ეს აბრაგები მათ ხელდამსხმელ ნაცების მესვეურთ! უსირცხვილოდ, ლაგამწყურით აქეთ რომ გვიკივილებენ კიდევ მორალსა და ზნეობრიობაზე, პატიოსნებასა და ღირსებაზე.

ნუთუ, არ დადგა მათი საბოლოო ალაგვისა და საკადრის ადგილზე მოსმის დრო?

გაიღვიძეთ, გრიშა ბიძიებო, სუსანა დეიდებო! რა ძილქუში და ლეთარგია დაგცემიათ?! გაიღვიძეთ, ჩვენი ექსპრესი თავანყვეტით მიქრის ზედ უფსკრულის პირზე! ჩვენ კი, ზოგიერთებს, არხეინად გვძინავს, ზოგნი განურჩევლობის უღრანში გავრინდულვართ, ზოგნი კაზინოებში კვლავთ დღედათვილ სიცოცხლეს, გარნა ერთი დიდი ჭკუსასანავლი სიბრძნე დაგვიწყინა: ვინც დროის მოკვლა მოინდომა, უმალ დრომ მოინელა ყველა!

გამოფხიზლდეთ, შევიყაროთ, გავმართოთ სამჯავრო და ყველაფერს დავარქვათ კუთვნილი სახელი: შავს – შავი, თეთრს – თეთრი, დედრს – დედრი, მამრს – მამრი, თორემ ბაბილონის გოდოლის მშენებელთა უარესი ხვედრი გვეწვევა, ლაგამის დაწყველა დალოცვად მოგვეჩვენება!..

გამოფხიზლდით, მირმიდონივით ქედდადრეკილნო, ტირანთა და ავაზაკთა ნების მონა-მორჩილნო! თუ ხედავთ, როგორ გარდაქარებულა ასტრეას საუკუნენი, ღრიანკალის თანავარსკვლავედში როგორ შევსულვართ, როგორ დაგვიკარგავს არიანდნას გორგალი? სად არის ჩვენ შორის არგუსი?

გამოფხიზლდით, ქიმერებს ადვენებულნო! ნუ ცხოვრობთ ღრუბლებზე გუგულის სახლში!

მოკვდავთაგან ვის აუხდია საბურველი ისიდასთვის, მაგრამ ამ ლაპუსტაკა-იშკილბაზებისთვის ნილბის ახდა რა საჰერაკლო საქმედ გაგვიხდა? მატარაცობენ კიდევ, თვალეში ნაცარს გვაყრიან, გვაბალითებენ, ყბას გვიქცევენ – წიწვივადემ დაყიდა მწერალთა კავშირის ქონებაო!

ლეთადალეულეებთან არაფერი მესაქმება.

მინდა ჯერ მესხიერებადაქვეითებულებს მივმართო, მათ, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია ხსოვნის მცირედი უნარი:

ხომ გახსოვთ შავბნელი 90-იანი წლების ერთ-ერთი, 31 დეკემბრის დღე? მწერალთა ჩაბნელებულ, გათოშლლ სასახლეში მწერლები მოწყალეებს – 25-25 ლარს რომ ველოდით? ყველანი კავშირის მამრინდელი თავმჯდომარის, ბატონი თამაზ წიწვივადის იმედად ვიყავით. მთელი დღე არ მივუტოვებდით ამ პატიოსან კაცს – ჩვენთან ერთად იშინებოდა, ჩვენთან ერთად გაიზიარა იმედისა და უიმედობის ნუთები, ჩვენთან ერთად გადაიტანა გაუსაძლისი სიცივე და თოში. მაინც არ მიგვატოვა. ბოლომდე სდია ხელისუფალთ და, რბილად რომ ვთქვათ,

ლომებს ხახიდან ამოაცალა ჩვენი მწირი არჩივი... როგორ მახსოვს დეკემბრის ის საღამო, ცივი, ძვალთგამყინავი... მწუხრჩალამებული ოთახები... სადღაც შვიდი საათისთვის მოიტანეს ფული. შიმშილი-სა და სიცივისგან მისავათებულნი გამოვცოცხლდით – პურსა და ყველს მაინც მივიტანდით სახალწლოდ; ლარის ტკბილეულს, ლარის შაქარს, ლარის პურის ფქვილს... იმას, რასაც 25 ლარი გასწვდებოდა...

თავმჯდომარემ სევდიანი თვალებით შემოგვხედა. პირველად მაშინ შევნიშნე ამ გაუტეხელი, ენერგიული კაცის მზერაში ჩალექილი დაქანცულობა, უიმედობა, ზიზღი ამ უბადრუკი სინამდვილისა. შემოსულ მოლარეს უთხრა: სიცივით და შიმშილით ქანცვანყვეტილ მწერლებს როგორ ვაკადრო 25-25 ლარი, ვინც აქ არის, 50-50 ლარი დაურიგეთო...

მოლარე დაიბნა, კი მაგრამ, ნახალწლევს მოსულ დანარჩენ ნევრებს რა მიეცეთო? – მაგათაც მიგხედავო, როგორმე... ამის მერე ადგა, ბოდიში მოგვიხადა, უნდა დაგტოვოთო. ამდენი ნერვიულობით, ამდენი ომითა და ოდიგარით, ამდენი გაჭირვებული მწერლის ყურებით დათრგუნვილი ჩაუყვავა კიბეებს...

ნახალწლევს მეც და ბევრი ჩემი კოლეგა ისევ შევიყარეთ თავმჯდომარის კაბინეტში. მე, ალექო გაბელაია, ცოცხალი მონმე ვარ ამ ფაქტისა. შემოვიდა ბ-ნი თამაზის მეგობარი ბიზნესმენი და წინ ასდოლარიანების შეკვრა დაუდო: ეს ახალ წელს უფულოდ დარჩენილ მწერალთა ნილი იყო...

ამ ფაქტის მონმე ჩემთან ერთად სხვაც ბევრი გახლდათ. ჰოდა, იმათ მიემართავ ახლა:

ჩემო ძვირფასებო, მთლად ლეთანასმურები თუ არა ხართ, გაიხსენეთ ეს ფაქტი და დამიდასტურეთ. არ გვინდა სხვა ფაქტები – ეს ერთიც საკმარისია ამ ადამიანის სულიერი პორტრეტის დასანახად.

თქვენ კი, პატივმოყვარე აბრაგნო! თუ ამ კაცმა ქონება გაუყიდა მწერლებს, მაშინ თქვენ რა ვერ გაიყავით ერთმანეთში, ასე ურცხვად რომ დაერივნენით ერთმანეთს ღია ეთერში? რითი ვერ გარკვეით, ვინ რამდენი მიიტაცეთ და მიისაკუთრეთ მილიონობით დოლარიდან? თუ გახსოვთ ის უცხო ქვეყნები, ის მდიდრული ვოიაჟები უცხოეთის ფშენებელურ სასტუმროებში, როცა აქ პატიოსანი მწერლები შიმშილში, უმწეობასა და უწამლობაში ღაფავდნენ სულს?

არ გეყოთ დაყიდული ქონებიდან მიღებული ასეულ ათასობით დატაცებული დოლარი, თქვენი ბინძური ტორები პრემირებულ ნანარმოებთა პონორარებზეც დააადეთ და კუთვნილი თანხიდან ზოგს – ნახევარი, ზოგს – მესამედი, ზოგსაც კი სულაც არაფერი მიაკუთვნეთ!

ამ დროს თქვენ, ქალბატონო მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ურცხვად, საქვეყნოდ აცხადებთ: საკუთარ ნივთებს ლომბარდებში ვაგირავებდი და მწერლებს პურის ფულს ვურიგებდიო. ღმერთო, როგორი ამაზრზუნია ამგვარი სიტყუე!!

რაა?! გვარ-სახელების ჩამოთვლას მთხოვთ? კეთილი ინებოს თითოეულმა მათგანმა და თავად განაცხადოს ამის თაობაზე. მე კი, თუ მომთხოვთ, იმ მწერალთა სახელით გაცემე პასუხს, რომელიც ახლა ცათა შინა სუფევენ.

იმედი მაქვს, ახლოა ჟამი თქვენი განკითხვისა!..

**აკითხველთა საჩუქრად ღებოლ!**  
გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქარესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).  
გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“  
კოდი: MIBGGE22  
ანგ. № GE61PC0183600100029708

**მიმა – „მთავარსარდალი“**

გარეგნობით – გოლიათის სადარი, იტყვი: – ამისი მომრევი სად არის?! შინაგანად არის კურდღლის სადარი, – ასეთია „მიმა მთავარსარდალი“!!!  
რუსმა ჭკუითაც გვაჯობა, ომითაც; გამწარებულს – თავის მოკვლა მომინდა! სამარცხვინო იყო მთელი ერისთვის, – ამბები რომ მოდიოდა გორიდან!!!  
სამაჩაბლო ხომ დავკარგეთ მთლიანად... აფხაზეთი, თავის ზღვიან-მთიანად...  
ოცი წელიწადი გადის უკვე და – საქართველო ვერვინ გაამთლიანა! როცა კურდღელი გყავს „მთავარსარდალი“, მინისტრი კი – ნარკომანი, უვიცი...  
მათი მოსაგები ომი, სად არის?!  
ჰე, ქართველნო, რა მოგველის, თუ ვიცით?! „მთავარსარდლის“ ფორთხიალი მინაზე, – ვერ ჩაგვიყვანს სოხუმში და რინაზე...  
სტალინს უნდა ჰგავდეს მთავარსარდალი, – მაგრამ მისი მსგავსი კაცი სად არის?!  
მთელი ერი თქვენ დაგტირით, შვილებო, რა ტყუილად დაიღუპეთ, გმირებო?!  
გარეგნულად – გოლიათის სადარი, იტყვი: – ამისი მომრევი სად არის?! შინაგანად არის კურდღლის სადარი, – ასეთია „მიმა მთავარსარდალი“!!!

**აკითხვილ მეგობარიშვილი**